# განცხადებანი.

---

## ჟურნალი

# «ივერია»

(წელიწადი მერვე)

მომავალ 1884 წ. იანვრიდამ ჟურნალი «ივერია» გამოვა ყოველ-თთვე და თთვე იმავე სახით და სივრცით, როგორც აქამომდე გამოდიოდა.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში: შავერდოვის სააგენტოში და «ივერიის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლებში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან, სადაც ზედა სართულში «დროების» რედაქციაა და იქავ, შუა სართულში, რედაქცია «ივერიისა».

ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან.

ბათუმში, «წერა-კითხვის საზოგადოების სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან,

ფასი მთელის წლისა 7 მან., სოფლის მასწავლებელთათვის—5 მან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებნი ამ ადრესით უნდა დაიბარონ ჟურნალი:

*Въ Тифлисъ, въ редакцію журнала «ИВЕРІЯ»*

ხვედრი ფული ხელის-მომწერმა ჟურნალის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

რედაქტორი და გამომცემელი ილ. ჭავჭავაძე

## მიიღება ხელის-მოწერა
## მომავალ 1884 წლისათვის
# «დროებაზედ»
(წელიწადი მეცხრამეტე)

თბილისში, «დროების» რედაქციის კანტორაში, სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან.

თელავში, განო როსტომაშვილთან.

ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან.

ბათუმში, «წერა-კითხვის» სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან.

3 გორში, საზოგადოების დეპოში, ალალო თუთაევთან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: въ Тифлисъ, въ редакцію «ДРОЭБА».

## ფასი ხელის-მოწერისა

წლით (12 თვით) 9 მ., 11 თვით—8 მ. და 50 კ. 10 თვით—8 მ. 9 თვით—7 მ. და 50 კ., 8 თვით—7 მ. 7 თვით—6 მ. 6 თვით 5 მ., 5 თვით—4 მ. 50 კ., 4 თვით—4 მ., 3 თვით—3 მან., 2 თვით—2 მ., 1 თვით 1 მან.

სოფლის მასწავლებელთათვის წლით—7 მან., 6 თვით—4 მან, 3 თვით—2 მან.

ხვედრი ფული ხელის-მომწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

გამომცემელი გ. ქართველიშვილი.

რედაქტორი ი. მაჩაბელი

# განცხადებანი

## 1384 წ. იანვრის თვიდამ

### ქ. თბილისში

გამოიცემა ყოველ-თვიური ყრმათა საკითხავი სურათებიანი

ჟურნალი

# ნობათი

პედაგოგიური ნაწილის დამატებით.

მთელი წლის გამოცემა ჟურნალი «ნობათი»-სა იქნება 12 წიგნი, რომელიც ზედ მიწყებნით შეადგენს 800 გვერდამდე დიდი ფორმატისა და თითო წიგნი არა ნაკლებ 4 ბეჭდ. ფურცლისა.

ყრმათა საკითხავ წიგნისათვის საჭირო სურათები დამზადებული იქნებიან პეტერბურგში.

---

ქრისტეშობის თვეში გამოვა ნიმუშად ერთი ნომერი, რომელიც უფასოდ დაურიგდება 1884 წლის ხელის-მომწერლებს.

ყრმათა საკითხავ წიგნში დაიბეჭდება: ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, სურათები ხალხის ცხოვრებიდამ; ბიოგრაფიული მოთხრობები, მოგზაურობა, ეპიზოდიური მოთხრობები ისტორიიდამ, ამბები გეოგრაფიიდამ და ბუნების მეცნიერებიდამ; იგავები, ანდაზები, გამოცანები, შაირები, არითმეტიკული გამოცანები; სათამაშოები, რებუსები, სიმღერები ნოტებით და სხვ.

დამატებაში—მშობელთა და აღმზრდელთათვის—დაიბეჭდება: პედაგოგიური სტატიები მშობელთა და აღმზრდელთათვის შესახებ ყმაწვილების აღზრდისა და სწავლისა (პირველ-დაწყებითი). კრიტიკული და ბიბლიოგრაფიული სტატიები პედაგოგიური თხზულებებისა. პედაგოგიური ქრონიკა ჩვენი და უცხოეთის ცხოვრებიდამ. ნარევი. «ნობათი»-ს ფოსტა. განცხადებანი.

დამოუკიდებელი მონაწილეობა ჟურნალ «ნობათი»-სა აღუთქვეს და მიიღებენ: თ. აკ. რ. წერეთელი, თ. რ. დ. ერისთავი, გ. ქ. წერეთელი, თ. ნ. ტ. დადიანი, ი. ზაქრაძე, ქ. რ. გაბაშვილისა, ა. მ. მოჩხუბარიძე (უაზბეგი) და სხვ.

ჟურნალზე ხელის-მოწერა:

ჟურნალი «ნობათი» ქალაქს გარეშე გაგზავნით და ქალაქში დარიგებით ეღირება წელიწადში ოთხი მანეთი. ცალკე ნომერი ათი შაური. მარტო ნახევარი წლით ხელის მოწერა არ მიიღება.

სოფლის მასწავლებელთ შეუძლიანთ გამოგზავნონ: თავ-და-პირველად—2 მან. და შემდეგ: მაისში—1 მან. და ენკენისთვეშიც—1 მან.

რომელთაც ამ რიგათ ხელის მოწერა ჰსურთ, პირ-და-პირ რედაქციას უნდა მიმართონ.

ხელის-მოწერა მიიღება:

თბილისში ჟურნალი «ნობათი»-ს რედაქციაში, ალექსანდროვის ბაღთან, ხაზინის ქვემოთ, თუმანიშვილის სახლ. № 7 და შაჰვერდოვის წიგნის სააგენტოში.

ქუთაისში—ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

გორში—ექ. ფურცელაძისას.

თელავში—ი. პ. როსტომაშვილთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію педагогическаго журнала «Нобати».

რედაქტორი-გამომცემელი ა. ს. ღულაძე.

## ОБЪ ИЗДАНІИ ВЪ 1884 ГОДУ ЖУРНАЛА

# ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ

(годъ четвертый)

Журналъ, какъ и прежде, будетъ выходить по четвергамъ, въ размѣрѣ отъ 1 до 2 печатныхъ листовъ, по слѣдующей программѣ:

I. Статьи по всѣмъ вопросамъ, вытекающимъ изъ теоріи права и судопроизводства.—II. Перечень, изложеніе и обсужденіе важнѣйшихъ распоряженій и узаконеній правительства.—III. Судебная хроника: а) отчеты о засѣданіяхъ въ судахъ, преимущественно Кавказскаго края, и б) особенно интересныя рѣшенія Кавказскихъ гражданскихъ судовъ по вопросамъ права и судопроизводства, вызваннымъ мѣстными особенностями края.—IV. Корреспонденціи юридическаго содержанія.—V. Краткіе отчеты о новыхъ книгахъ юридическаго содержанія (Обзоръ юридической печати и библіографія)—VI. Смѣсь (разныя извѣстія.) Случаи изъ судебной жизни и практики.—VII. Тезисы кассаціонныхъ рѣшеній: а) кассаціонныхъ департаментовъ сената и б) Тифлисской судебной палаты.—VIII. Извлеченіе изъ приказовъ о важнѣйшихъ назначеніяхъ по вѣдомству юстиціи—IX. Судебный указатель. Резолюціи Тифлисской судебной палаты по дѣламъ апелляціоннымъ и кассаціоннымъ—X. Объявленія казенныя и частныя.

При всей трудности изданія юридическаго органа на далекой окраинѣ Россіи, необходимость

и полезность такого органа на Кавказѣ доказывается вступленіемъ «Юридическаго Обозрѣнія» въ четвертый годъ своего существованія. Въ настоящее время редакція заручилась сотрудничествомъ многихъ юристовъ, врачей и публицистовъ. Мы можемъ указать, какъ участниковъ въ нашемъ журналѣ: К. Д. Анциферова, Д. З. Бакрадзе, Ѳ. А Быкова, Ф. К. Бакало, Кн. К. А. Бебутова, Г. Г. Гвиніева, А. А. Гребенщикова, С. І. Гулишамбарова, Н. А. Дингельштета, К. В. Долгова, Г. А. Джаншіева, Г. И. Еджубова, Д. И. Кипіани, Д. В. Квиркеліа. П И Ковалевскаго, П. М. Лебединскаго, Я. И. Лудмера. Н. Я Николадзе, П. А. Опочинина, Д. Н. Пурцеладзе, Я. И Рашета, Н. П. Смиттена, В. Д. Спасовича, А. В. Степанова, А А. Фонъ-Ашеберга, В. А. Хлѣбникова, Н. А Шаврова и др.

Въ распоряженіи редакціи имѣются статьи, какъ мѣстнаго, кавказскаго, такъ и общаго интереса. Изъ числа ихъ предназначены къ печатанію въ 1884 году: матеріалы для новыхъ Уложеній— Уголовнаго и Гражданскаго, о водовладѣніи на Кавказѣ и другихъ мѣстахъ по законамъ: царя Вахтанга, шаріату и др., о межеваніи, о пошлинахъ. о литературной и музыкальной собственности, о нефтяныхъ законахъ въ разныхъ странахъ, о колоніяхъ преступниковъ, о сельской адвокатурѣ, о безпріютныхъ дѣтяхъ, о формѣ суда присяжныхъ на Кавказѣ, о хизанахъ, о саношенахъ. о древне-армянскомъ законодательствѣ. (изслѣдованія Мхитара-Гоша), о мусульманскихъ законахъ на Кавказѣ, о древне-еврейскомъ законодательствѣ и пр.

# УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:

Редакція и Администрація журнала (для пріема подписки, объявленій и розничной продажи) —Тифлисъ, Сололакская ул., д. кн. Меликова.

Подписная цѣна на журналъ, съ доставкою и пересылкою: на годъ—10 р.; на 6 мѣс—6 р.; на 3 мѣс.—3. р. 20 к.; на 1 мѣс. —1 р 25 к. Подписываться можно съ 1-го числа каждаго мѣсяца и не далѣе конца года.

Разсрочка въ платежѣ денегъ допускается— для годовыхъ подписчиковъ: при подпискѣ 4 р., въ мартѣ и апрѣлѣ по 3 р., и для полугодовыхъ: при подпискѣ 3 р и черезъ два мѣсяца еще 3 р.

При перемѣнѣ адреса вносятъ 40 к.

Объявленія, казенныя и частныя—строка петита 10 коп., $^1/_2$ страницы 3 р. 25 к., цѣлая стран. 6 р. 50 коп.

Подписка и объявленія принимаются также въ Москвѣ и Петербургѣ, въ книжныхъ магазинахъ И. П. Анисимова.

Отдѣльные №№ «Юрид. Обозр.» продаются по 25 коп. въ Тифлисѣ, въ центральной книжной торговлѣ и въ г. Кутаисѣ. въ книж. маг. Чиладзе.

Статьи должны имѣть подпись и адресъ ихъ автора, для свѣдѣнія редакціи, и могутъ подлежать передѣлкамъ и сокращеніямъ.—Статьи безъ означенія условій гонорара признаются безплатными.—Обратная пересылка рукописей для редакціи не обязательна.

При доставленіи въ редакцію «Юридическаго Обозрѣнія» экземпляра юридическаго сочиненія, о немъ будетъ данъ отчетъ и сдѣлана публикація.

# ქართველ ხალხის მწერლობა და განათლება მე-VI საუკუნემდე.

(დასასრული *)

უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას, რომ ხუცურის ანბანის ხმარება ქართველებმა მე-VII საუკუნის დამდეგს დაიწყეს. ეს გარემოება მხოლოდ ლაპარაკმა მოიტანა და ჩვენც არ დავიზარეთ იმისი გახსენება. ამისათვის ადვილად ვსტოვებთ ამ საგანზედ ლაპარაკს და გადავდივართ შემდეგს საგანზედ, სახელდობრ, იყო რამე განათლება ქართველ ხალხში მე-V საუკუნეს, თუ არა? ჰქონდათ რამე წარმატება იმ სკოლებს, რომელნიც ამ დროს გაიმართნენ? რა სარგებლობა და ნაყოფი მოუტანეს ერის დიდებასა და გამოჩენას ამ დროის სკოლებმა? გამოაფხიზლეს იმათ ხალხის ჭკუა-გონება, თუ უფრო დაასბნელეს?

ფაქტები ამტკიცებენ, რომ მესრობის დროს ბაკურ მეფისა და არჩილ მეფის სურვილით გამართულ სკოლებში კარგად ასწავლიდნენ მაშინდელს ქრისტიანულს მეცნიერებას და ფრიადის მეცადინეობით უნერგავდნენ მოწაფეთ ეროვნობის გრძნო-

---

*) «ივერია» № 9, 1883 წ.

ბას, სამშობლო ქვეყნის სიყვარულს, საკუთარის მწერლობის აღყვავების სურვილს, პოლიტიკურისა და ეკლესიურის თავისუფლების წადილს. მასწავლებლად იყვნენ: ტერი, მუშე, ლეონტი, ენოქი, გნიტი და დანანი.

ესენი ყოველნი შთამომავლობით ქართველნი იყვნენ თუ არა, ამის შესახებ ქორენელი არას ამბობს; მაგრამ უეჭველი კი უნდა იყოს, რომ იმათ კარგად იცოდნენ ქართული ენა. თუ ასე არ ყოფილიყო, არც ოსტატებად დააყენებდნენ იმათ ქართველთ სკოლებში, ამისათვის რომ ამ დროს ეროვნულ მწერლობის აღდგენის ფიქრში და ზრუნვაში იყვნენ თვით ქართველნი; იმათ რომ ქართული არა სცოდნოდათ, ვერც ქართულ ენაზედ წერა-კითხვას ასწავლიდნენ ქართველთ ყმაწვილებს. აქედამ სჩანს რომ მე-V საუკუნეში ქართველთ შორის იყვნენ განათლებულნი და განვითარებულნი სწავლა-მეცნიერებით პირნი, რომელნიც წინ მიუძღოდნენ ერის განათლების საქმეს. მაგრამ ხსენებულნი მასწავლებელნი დიდ-ხანს არ დარჩენილან მასწავლებლების თანამდებობაში. უნდა ვიფიქროთ, რომ იმათ სწავლებისათვის სახელმძღვანელო წიგნები არა ჰქონდათ სამშობლო ენაზე სკოლებში სახმარად და ამისათვის წავიდნენ სირიას, საბერძნეთს, ალექსანდრიას (ეგვიპტეს) და პალესტინას ბერძნული და სირიული ენების ზედ-მიწევნით შესასწავლად და საეკლესიო და სამღვთო წიგნების გადმოსათარგმნელად. მოსე ქორენელი ამბობს, რომ მესრობმა და სააკმა ამ აზრით გაგზავნეს ხსენებულს ქვეყანას თვისნი მოწაფენი: იოსები, მისი ამხანაგი ეზნიკი, იოანე, არდცან, მოსე ქორენელი და სხვანი და ამათ თავის ნებით უკან

გაჰყვა ის ლეონტიცა, რომელიც ქართველთ სკოლაში ისპირს იყო მასწავლებლად*).

მოსე ქორენელი თავის მოთხრობაში გვაუწყებს, ვითომც მარტო სომხებს ჰქონოდეთ ამ დროს სურვილი საღმთო წერილის თარგმნისა და მეცნიერნიც მხოლოდ ისინი ყოფილიყვნენ; მაგრამ, ვგონებ, ეს სრული ჭეშმარიტება არ არის. მაშ რას აკეთებდნენ ის ახალ-გაზრდა ქართველნი, რომელნიც ამ დროს გამართულ სკოლებში სწავლობდნენ? რას ასწავლიდნენ ქართულს ენაზე, თუ წიგნები არა ჰქონდათ და არა სთარგმნიდნენ? ვინ იყო ლეონტი, რომელიც ისპირს მასწავლებლად იყო და წავიდა საბერძნეთს წიგნების სათარგმნელად, თუ არა ქართველი? ნუ თუ ესეც იმისათვის გაჰყვა უკან სომხებს, რომ წიგნები ეთარგმნა სომხებისათვის და არა ქართველთ სკოლებისათვის? საეჭვოა, რომ ლეონტის სომხურს ენაზედ წიგნები ეთარგმნოს. იმან მხოლოდ მოიტანა კონსტანტინეპოლიდამ ნამდვილი დედნები სამღთო წიგნებისა, ხოლო სააკმა და ეზნიკმა გადათარგმნეს სომხურს ენაზე**).

ერთის სიტყვით, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ მესრობის მოწაფეებად მარტო სომხები არ იყვნენ, აგრეთვე იმას, რომ საქართველოს მიწა წყალზე მე-

---

*) იხ. Ист. Хоренс. გვ. 209, 220, 221. Ист. В. Великого, გვ. 64

**) იხ. Всеоб. Исторія ст. Таронскаго, перев. Эмина стр 51.

სრობის დროს რამდენიმე სკოლა იყო გამართული. მესრობი ერთგულად მოქმედებდა ნუსის (ქიშში), ზაქათალის, (ბელაქანში), სიღნაღის (გარდაბანს ანუ გარდმანს), ტაშირის (ჯავახეთს), ისპირის (ბათუმის მხარეს) მაზრებში და აგრეთვე ივერიაში, მაშინ ვგონებ ადვილი მისახდომი იქნება, რომ საბერძნეთს და სხვაგან სწავლის გასაგრძელებლად წავიდნენ მრავალნი ახალ-გაზდა ქართველნიცა. მაგალითად, სად შეისწავლა თავადმა ჯაყულმა, რომელიც ვარდან დიდის სიტყვით მესრობის მოწაფე იყო, ისრე ზედ-მიწევნით ბერძნული ენა, თუ არა საბერძნეთში? ქორენელი იმას ბერძნულ ენის მთარგმნელს ეძახის. რათა, რისთვის, თუ რომ ის არა სთარგმნიდა წიგნებს ბერძნულ ენიდგან? უეჭველია, რომ იმას ბერძნულისა და სომხურის ენების «მთარგმნელად» არ დაასახელებდა, თუ რომ არ გაეწია ეს შრომა. ამ გვარსავე სახელს ის უწოდებს ახალ-გაზდა ალბანიის მეცნიერს ბენიამინს, მხოლოდ იმ გარჩევით, რომ უკანასკნელს «ნიჭიერ მთარგმნელად» იხსენიებს. თუ ასეა, მაშ უეჭველია, რომ მესრობის დროს სომხნიც თარგმნიდნენ წიგნებს ბერძნულის ენიდამ, ქართველნიც და ალბანიელნიც, —ყველანი თავ-თავიანთ სამშობლო ენებზე, და უცხო ქვეყნებს წავიდნენ მეცნიერების უფრო ზედ-მიწევნით შესასწავლად აგრეთვე ქართველნიცა. მართლაცა და არიან ისეთნი ისტორიულნი თქმულებანი, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ამ დროს საბერძნეთს, სირიას, მცირე აზიას და პალესტინას, წავიდნენ სწავლა-განათლების მისაღებად მრავალნი ქართველნი.

ბაკურ მეფის დროს სკოლები რომ დაარსდა საქართველოში, ამის შემდეგ, არ გასულა დიდი ხანი, წავიდა საბერძნეთს ამავე მეფის შვილი მურვანოსი «სხვათა თანა სეფე წულ-

თა». «ქართლის ცხოვრება» ამბობს: «საბერძნეთს წასვლამდე მურვანოსმა ზედ-მიწევნით იცოდა ქართული ენა და შესწავლული ჰქონდა აგრეთვე სამღვთო წერილიო. ეს იყო ტასტის მემკვიდრე, მაგრამ საბერძნეთს რომ წავიდა, მსწრაფლად ისწავლა ბერძნული და ასურული და ფილოსოფოსობა სრულიო»; მაგრამ მიიღო ბერული მიმართულება, ტასტის მემკვიდრეობაზედ ხელი აიღო და იერუსალიმს წავიდა. იმას თან ახლდა ორი კაცი. ვინ იყვნენ ეს ორნი, თუ არა დავით და სტეფანე მთარგმნელნი? ანუ მასთან მყოფი საჭურისი იოანე და მისი მოწაფე და ცხოვრების დამწერი ასურულს ენაზე ქართველი ზაქარია? აქედგან მურვანოს გაემგზავრა და მოიარა ჯერ მთლად ეგვიპტე, ნახა ყოველგან მოღვაწე ბერები და განდეგილნი, მერმე მოვიდა ისევ იერუსალიმს, აღაშენა მონასტერი, დასახლდა იქ, მოუყარა ქართველებს თავი, რომელთაც შეისწავლეს ბერძნული და ასურული ენები და შეუდგნენ სამღვთო და საეკლესიო წიგნების თარგმნას. მას თან ახლდნენ დავით, სტეფანე და ზაქარია. ამ უკანასკნელმა დასწერა მურვანოსის ცხოვრება ასურულს ენაზე და ერთმა მისმა მოწაფეთაგანმა ქართულად სთარგმნა. მაგრამ პლატონ იოსელიანი იხსენიებს მეოთხე პირსაც, რომელსაც სახელად ტატიანეს (ტატოს) ეძახის. იმ ამბობს, რომ მონასტერი [იერუსალიმში ამ თავადმა აღაშენაო; ჩემის აზრით კი, ეს ტატიანე იყო არა უბრალო თავადი, არამედ მეფის ბაკურის (ანუ ვარაზ-ბაკურის) მემკვიდრე შვილი. საქართველოში მას ერქვა მურვანოსი, ქრისტიანულად ტატიანე და ბერად რომ შედგა, დაარქვეს პეტრე. იერუსალიმში მოღვაწეობის დროს იმას მიუღია ევტიხის მწვალებლობა (ერესი). ისტორიკოსი ბარონია, რომელსაც ამოუწერია ცნობები ამ პეტრეზე ევაგრის ისტორიიდგან, ამბობს,

რომ ეს პეტრე ევტიხიანებმა, შემდეგ ხალკიდონის კრებისა, მაიუმა ქალაქის ეპისკოპოზად ამოირჩიესო. ის უკურთხებია ამ თანამდებობაზე იერუსალიმის პატრიარქს, და ყოფილა კაცი ძლიერ ღვთის-მსახური, კეთილ-განმზრახი, უმანკო ცხოვრებით და ისრეთი გამოჩენილი სწავლით, რომ პაპამ გრიგორი დიალოგმა მისი ქება დასწერა თავის თხზულებაშიო, ამბობს «ქართლის ცხოვრება». საქართველოს ეკლესია მის სიწმინდეს აღიარებდა მე XVIII საუკუნის ნახევრამდეო და მოიხსენებდა წმინდათა-თანაო, ამბობს პლ. იოსელიანი. ამის შემდეგ კი ის გამოირიცხა წმინდანების სიიდგან, რადგან მას ევტიხიანების მწვალებლობა ეჭირა*).

თუ კი ერთხელ მიიღეს პეტრე წმინდანად, რაღათ-ღა გამოირიცხეს შემდეგაო?—მკითხავთ. ნუ თუ მე XVIII საუკუნემდე ქართველებმა არ იცოდნენ, რომ პეტრე ევტიხის მწვალებლობის მომხრე იყო? ეჭვი არ არის, რომ იცოდნენ, მაგრამ საქართველოს ეკლესიურიცა და სამოქალაქო ისტორიაც მოწმობენ, რომ ქართველთ ეკლესიას მხოლოდ ის სულიერნი და ისტორიულნი პირნი მიუღია წმინდანად, რომელთაც ერის ბედნიერებისა, პოლიტიკურის თავისუფლებისა და სამშობლო ქვეყნის მტრისაგან დასაცველად შეუწირავთ თავი, როგორც მაგალითად არჩილ მოწამეს, არგვეთის მთავართ: დავით და კოსტანტინეს, გობრონის, დიმიტრი თავ-დადებულს და სხვათა. თუ ასეა, მაშ რაღა სიკეთე უყო თავის სამშობლო ქვეყანას მურვანოსმა ანუ პეტრემ, რომ ის წმინდანად მიიღეს? ეს სი-

*) იხ. «ქართ. ცხოვ.» გვ. 103, 104 და 105; აგრეთვე: «Жизнеоп. Святыхъ Груз. Церк.», Іосел. გვ. 13 და 14., «Истор. Груз. Церк.» გვ. 27

მკოე და სამსახური სამშობლო ქვეყნისათვის, მის მიერ გაწეუ-ლი, უთუოდ მდგომარეობდა იმაში, რომ მან აღაშენა იერუ-სალიმი მონასტერი, მოუყარა აქ თავი ბერად შემოსილ ქარ-თველებს და დაიწყო საღმთო წიგნების თარგმნა, რომელნიც ამ დროს საქართველოს ერს ესაჭიროებოდა ახლად გამართულ სკოლებში სახმარად.*)

შესანიშნავია ამ დროს აგრეთვე ეპისკოპოსი ავდი. ის იყო კარგად ნასწავლი ქართველი, მაგრამ სცხოვრებდა სპარსეთში, არ ვიცით რა მიზეზით. ისტორია ამ კაცზედ მოგვითხრობს, რომ ქრისტიანობის სიყვარულით მან დასწვა სპარსეთში ცეცხლის თაყვანის მცემლების ტაძარიო**).

ამ ისტორიულ ცნობების მეტი სხვა რომ აღარა გვქონოდა რა, მაშინაც კი სამართლიანად თქმა შეიძლებოდა, რომ მე-IV საუკუნის დასასრულს და მე-V საუკუნეში ქართველ ხალხის განათლება რიგიანს გზა-კვალს ადგა და ადგილობრივს სკო-ლებში ნასწავლნი პირნი ჰგრძნობდნენ სწავლის გაგრძელების საჭიროებას. მაგრამ ჩვენ გვაქვს ხელში უფრო უეჭველნი ის-ტორიულნი თქმულებანი ამ საგნის შესახებ.

ჩვენ უკვე ვსთქვით, რომ ეროვნული სკოლები დაარსდა ბაქარ მეფის და არჩილ მეფის დროსაო. აი ამ უკანასკნელის დროს საქართველოში მთავარ ეპისკოპოსად იყო ვინმე ურჯუ-ლო მოგვი მობიდან. ის შთამამავლობით იყო სპარსელი; მა-გრამ საქართველოში იყო გაზრდილი და ჰქონდა შესწავლილი ქართული მწიგნობრობა. მთავარ-ეპისკოპოსი ბასილი რომ

---

*) იხ. «Истор. Груз. Церк.», გვ. 26 და 27.

**) იხ. Нумизмат. факты груз. царства Баратова, გვ. 52.

გარდაიცვალა, მეფე არჩილმა ის განაწესა მის ადგილას, რადგან გარეგნობით ძალიან ერთგული ქრისტიანი იყო; მაგრამ იმას გულში ედვა ის ფიქრი, რომ გაევრცელებინა საქართველოში ცეცხლის თაყვანის-მცემლობა. ვიდრე მეფე არჩილი და მისი შვილი მირდატ მე-V ცოცხალნი იყვნენ, ის ძალიან ფრთხილად იყო. «ფარულად სწერდა წიგნებსა ყოვლისა საცდურებისასა და მეცადინეობდა ეკლესიის წესების შემლასა». მაგრამ მათ გარდაცვალების შემდეგ გამოცხადდა მისი ურჯულოება. ეს ამბავი მოხდა ვახტანგ გორგასლანის დედის გამგეობის დროს. ამ დედოფალმა მოიპატიჟა საბერძნეთიდგან მსწავლული ეპისკოპოსი მიქელ და უბრძანა გაეშინჯა მობიდანის დაწერილი წიგნები. ეს წიგნები აღმოჩნდნენ ქრისტიანობის წინააღმდეგად, რისა გამო «დასწვა ყოველი წერილი მისი ჭეშმარიტმან ეპისკოპოსმან მიქელ»*).

ამ ფაქტიდგან შეგვიძლიან დავასკვნათ ის აზრი, რომ არჩილ მეფის დროს ქართულ ენაზე წერა-კითხვა გავრცელებული იყო ხალხში და იწერებოდნენ მისთვის საკითხავად სხვა-და-სხვა თხზულებანი, ზოგნი ქრისტიანობის თანახმად, ზოგნი ამ სწავლის წინააღმდეგ. ამ აზრის დასამტკიცებლად მოვიყვან იმ თქმულებასაც, რომ არჩილ მეფის მემკვიდრე შვილმა თავის ცოლისათვის გადმოათარგმნინა ქართულს ენაზე წმინდა სახარება. ქართლის ცხოვრება ამბობს: «ქმარმან მისმან მოჰგვარა კაცნი სჯულის მეცნიერნი და უთარგმნა სახარება»**). ეს ფაქტი მოწმობს აგრეთვე იმას, რომ ამ დროს

*) იხ. «ქართ. ცხოვ.», გვ. 110

**) იხილე იქვე

ქართველთ კარგად სცოდნიათ ბერძნული და ასურული ენები, რომლებიდგანაც ისინი სთარგმნიდნენ საღმრთო წერილსა.

ამ დროებს ეკუთვნიან ის 13 წმინდა მამანიც, რომელნიც მოვიდნენ სირიიდგან საქართველოში. საქართველოს ისტორიკოსთ სიტყვით ისინი იყვნენ მოწაფენი სვიმეონ მესვეტისა, რომელიც დაიბადა 390 წელს. გარდა ამისა ამბობენ, რომ მარტყოფის მონასტერი ააშენეს მეფე ვახტანგ გორგასლანმა და წმინდამან მამამან ანტონმა. ამას ამტკიცებენ ამ მეფის სურათით, რომელიც მონასტრის კედელზედაა დახატული და აგრეთვე მეფის იმამ-კულიხანის და ამის დისა მარიამის სიგელებით*). თუ ასეა, მაშ ეჭვი არ უნდა იყოს, რომ წმინდანი მამანი ყოფილან ვახტანგ მეფის თანა მედროვენი. მართალია, ვახუშტი ამბობს, რომ ისინი მოვიდნენ ფარსმან მე-VI დროსა, რომელიც მეფობდა გორგასლანის შემდეგ 555 წლიდგან 570 წლამდე, მაგრამ პლ. იოსელიანის სიტყვით საბუთებით შეიძლება დამტკიცდეს, რომ ისინი მოვიდნენ საქართველოში 446 წელს, როცა გამეფდა გორგასლანი. ეს აზრი ჭეშმარიტად მიგვაჩნია ჩვენცა.

როგორც ქართველნი, ისინი ჯერ საქართველოში სწავლობდნენ იმ სკოლებში, რომელიც გაიხსნენ ბაკურ მეფისა და არჩილ მეფის დროს, მერმე წავიდნენ სირიას ბერული მოღვაწეობისა და უფრო უმეტესად ჭკუა-გონების გასახსნელად და განსავითარებლად. ჩვენის ფიქრით, ისინი სწავლობდნენ ეფრატის მდინარის კიდეზე მყოფს ამ დროს აკემიტების, ანუ ქართულად, მღვიძარეთა მონასტერში. ის დაეფუძნებინა აქ

*) იხ. Ист. Грузіи Кн. Баратова, მე-II რვეული, გვ. 39.

ერთს მცირე აზიელს ბერს, სახელად ალექსანდრეს. პირველ ხანებში აქ წმინდა მამანი ცოტანი იყვნენ და დღე და ღამეს ატარებდნენ ფსალმუნების კითხვაში. მაგრამ მალე იმათ ბერნი სხვანიც მოემატნენ და ბერთა რიცხვი 400 დე გახდა. ემინი ამბობს, რომ ესენი «ჩამომავლობით იყვნენ: სირიელნი, სომეხ-ნი, ბერძენნი, რომაელნი და ეგვიპტელნიო»; მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ აქ იყვნენ ქართველნიც და მათ შორის 13 წმინდა მამანიც. როცა 20 წლის შემდეგ მონასტრის მოთავემ ალექსანდრემ დაითხოვა მამანი—მღვიძარენი და თავის 50 მო-წაფით წავიდა კონსტანტინეპოლს და იქ აღაშენა მონასტე-რი*), მაშინ ეს 13 ქართველნი წმინდა მამანიც წამოვიდნენ თავიანთ სამშობლო ქვეყანაში და აღაშენეს მონასტრები მო-ძღვრის მაგალითისამებრ. ქართველთ მემატიანენი ამბობენ: როცა ისინი შემოვიდნენ მცხეთაში, მეფე, ქათალიკოზი ევლა-ვი და ხალხი ქართულს ენაზე მოიკითხეს, დალოცეს და აკურ-თხესო. ეს თქმულება ამტკიცებს, რომ ისინი იყვნენ ქართ-ველნი და ამისათვის ქართული ენაც იცოდნენ. და ან კი რა საფიქრებელია მათი უცხო ნათესაობა!? თუ ისინი ქართველნი არ იყვნენ, მაშ სად და ან ვისთან შეისწავლეს ქართული ენა? აგრეთვე საკითხველია: როგორ და რა ენაზედ უქადაგებდნენ ქრისტეს სწავლას ქართველს ხალხს, თუ მისი ენა არ იცოდ-ნენ. გარდა ამისა იმათ არ შემოუშვებდნენ სამეფოში, თუ რომ ჩამომავლობით ივერიელნი არ ყოფილიყვნენ, ამისათვის რომ ამ დროს უცხო ნათესავთაგან შემდგარ სასულიერო წოდების და-თხოვნის თავდარიგში იყვნენ ქართველნი. ამათ შემოსევით

*) იხ. Хоренс., примѣчаніе 473 Эмина: გვ. 320.

უფრო გაძლიერდებოდნენ უცხონი და ამას ქართველნი არ იზამდნენ.

მოვიდნენ თუ არა საქართველოში, იმათ აღაშენეს თორმეტი მონასტერი, რომელნიც შეიქმნენ ყარაულნი და მცველნი ქრისტიანობისა. ხალხზე გავლენის მოსაპოვებლად, ისინი დასახლდნენ სოფლების მახლობლად. მათი უფროსი იოანე გადასახლდა ზედაზნის მთაზე. აქ იმან საკერპოები დაამხო, აღაშენა მონასტერი, შეჰყარა მრავალნი ქართველნი და დაუწყო ხალხს წვრთნა ქრისტიანულს სწავლაში*). აბიბოს ნეკრესელმა ჯერ მოაქცია ხალხი კახეთის გაღმა მხარეში, მერმე ეკურთხა ეპისკოპოსად. ამან დაარღვია ალაზნის მარცხენა მხარეს საკერპოები და გააძლიერა ქრისტიანობა ხალხში. ისეთი მხურვალე სიყვარული გამოიჩინა სამშობლოსადმი, რომ არ მოერიდა სიკვდილსა. ის მოკვდა სარწმუნოებისათვის სოფელს რეხაში, გორის მახლობლად, და დამარხეს იქვე; მაგრამ შემდეგ მეექვსე საუკუნეში ხალხმა ამოაღებინა სამღვდელოებას აქედგან მისი გვამი და დაასაფლავებინა მცხეთის ეკლესიაში. ქართველთ ისეთი ღრმა პატივის-ცემა ჰქონდათ მისდამი, რომ ეკლესიამ დააწესა ყოველ შაბათობით მცხეთის ეკლესიაში გადიხდებოდეს მის სადიდებლად და სახსენებლად წირვა-ლოცვა.

ამ წმინდა მამაზედ ნაკლები ღვაწლი არ დასდო საქართველოს აგრეთვე იესე წილკნელმა. ამანაც მეფის თხოვნით მიიღო ეპისკოპოსობა წილკნის ეპარქიისა. ხალხის ჭკუა-გონების წარმატებისა და კეთილ-დღეობისათვის ის არა ჰზოგავდა თავის ძალ-ღონეს. ამ ნეტარმა მამამ თავის ხარჯით გაიყვანა რუ-მდინარე ქსნიდგან წილკნის მინდვრების მოსარწყავად. იო-

*) საქართველოს სამოთხე, გვ. 301

სებ ალავერდელმა მოაქცია ინგილოები და დაღისტნის სეობების ხალხნი, და სთხოვა ქათალიკოზსა და მეფეს, რომ ეკლესიები აეშენებინათ ყოველგან.

მხნედ იღწვის აგრეთვე დავით, წოდებული გარეჯელად. ის ჯერ ცხოვრებდა თბილისს, მთაწმინდაზე. აქედგან ყოველს ხუთშაბათს ჩამოდიოდა ქალაქში და ასწავლიდა ხალხს ქრისტიანობის წესებს. მაგრამ ცილის წამებისა გამო შემდეგ გავიდა თბილისიდამ და დასახლდა იქ, სადაც ეხლა ყარაიაზზე მონასტერია, წოდებული სახელად: «დავით-გარეჯა.» აქ შემოიკრიფნენ მასთან მრავალნი ქართველნი მის მოძღვრების და დარიგების მოსასმენად. მის მოწაფეებთაგან შესანიშნავნი არიან: წმ. ლუკა და დოდო.

რადგან სამოქალაქო და საეკლესიო ისტორია ამტკიცებს, რომ ძველს დროში ყოველგან მონასტრებში ბერები თავის მოღვაწეობასთან ერთად სწავლობდნენ საღმრთო წერილს და ქრისტიანულ მეცნიერებასაც, ამისათვის უნდა ვიფიქროთ, რომ მონასტრების დაარსებისათანავე, იმათ გახსნეს სკოლებიცა და აქ სწავლობდნენ ახალ-გაზრდა ქართველნი. მათის მეცადინეობით ისე გაძლიერდა ქრისტიანობა და დამკვიდრდა ქართველ ხალხში, რომ მას შიში აღარა ჰქონდა-რა წარმართთაგან. ვახტანგ გორგასლანმა, რომელიც გამეფდა 446 წელს, ახლა სცნა შესაძლებლად დაეთხოვნა საქართველოდგან ბერძნის სასულიერო წოდება, გახსნა ახალი ეპარქიები, დაეყენებინა ეპისკოპოსებათ ქართველები და განთავისუფლებინა ეკლესია ანტიოქიის პატრიარქის მორჩილებისაგან. ეს საქმე მან მოახდინა 454 წლიდგან 485 წლამდე.

მაგრამ აქვე უნდა ვსთქვათ, რომ ეს სურვილი მარტო ვახტანგს არა ჰქონდა. შეუძლებელიც იყო რომ მთელს ხალხში

მარტო მეფეს ჰქონდა ეკლესიის განთავისუფლების სურვილი და ხალხს კი არა. მარტო მეფე ვერ მოსპობდა ანტიოქიის პატრიარქის—ქართველთა სარწმუნოების მთავრის გავლენას და უფლებას. სარწმუნოებას იმდენი ღონიერი ძალა აქვს, რომ მის დაწყებულების დარღვევას ერთი კაცი ვერ შეჰსძლებს, და ვერც გაჰბედავს; მეტადრე იმ გვარ საქმეს, როგორიც იყო პატრიარქის უფლების გაუქმება საქართველოს ეკლესიაზე. მისთვის საჭირო იყო თანაგრძნობა მთელის ხალხისა და განათლებულ კაცებისა. და ვინ უნდა ყოფილიყვნენ გორგასლანის დროს ასეთი პირნი, თუ არა 13 წმინდა მამანი? ვინ ურჩია და ვინ ჩააგონა ვახტანგს აზრი ეკლესიის დაუმოკიდებლობის მოპოებისა, თუ არა 13 წმინდა მამათა? ვინ გაამხნევა, ვინ გააბედვინა—მოეთხოვნა საბერძნეთისათვის ეკლესიის თავისუფლება? უეჭველია, რომ მათ, ვინც ჭკუით, განათლებით უფრო განვითარებულნი იყვნენ ამ დროს, ე. ი. იმავე ათ-ცამეტ მამათა.

ამ გვარ განათლებულ პირთ გავლენისა გამო ვახტანგ გორგასლანის დროს განათლება, სამოქალაქო და პოლიტიკური ცხოვრება საქართველოში უფრო გაცხოველდა. თვით მეფეს თავის დროს შესაფერი განათლება ჰქონდა მიღებული.

პირველი აღმზრდელი მისი იყო სპასპეტი საურმაგ. ქმრისა და ამის სიკვდილის შემდეგ დედამ საგდუხტმა ის მიაბარა აღსაზრდელად სპასპეტს ჯუანშერს და მთავარ-ეპისკოპოზს მიქელს. ბროსე ამბობს, რომ ამ მეფეს ქართულს ენაზე ჰქონდა მდიდრულად შემკობილი და შეკაზმული სახარება, რომელიც მემკვიდრეობის წესით შემდეგ მეფეების ხელში გადასულა და 528 წლისა და 542 წლებს შუა მეფე ფარსმან

მე-VI-ს შეუწირავს შიო მღვიმელის მონასტრისათვის.*) არამც თუ მარტო სახარება, არამედ სხვა საღმთო წერილი და საეკლესიო წიგნებიც ჰქონიათ ამ დროს ქართველებს გადთარგმნილი. პროფესორი გალლის უნივერსიტეტისა გერიკე ამბობს, რომ «მე-VI საუკუნეში, არ ვიცით ვისგან არის გადათარგმნილი ქართულს ენაზე მთლად ბიბლიაო. რომს, კატოგანში, მოიპოვება აგრეთვე მრავალი ხელთ-ნაწერი ქართული წიგნები, რომელნიც ჯერ არავის გაუსხილავსო»**).

საკვირველიც იქნებოდა რომ გორგასლანის დროს საქართველოს ერი უფრო განათლებული არ ყოფილ-იყოს, ვიდრე წინეთ. მის წინად მეფეთ მეფეებმა განათლების საქმე კარგს გზაზე დააყენეს; ამან გააძლიერა სამეფო მხოლოდ პოლიტიკურად, დაიცვა გარეშე მტერთაგან და არ მოშალა ის სკოლები, რომელნიც დამართეს მისმა წინაპრებმა. მემატიანენი ამტკიცებენ, რომ იმან ძალიან კარგათ აღასრულა ეს თავისი მოვალეობა ერის წინაშე. იმან დაამარცხა ჩრდილოეთის კავკასიის მთიული ხალხები, დაამშვიდა შიგნით სამეფო, გაუმკლავდა საბერძნეთსა და სპარსეთს და ბოლოს ორივეს შეურიგდა იმ პირობით, რომ ორივეს საქართველო ეცნათ დაუმოკიდებელ სამეფოდ და მის შინაურს საქმეში არასოდეს აღარ გარეულ იყვნენ.

ამ სახით სამეფო დამშვიდდა და გაძლიერდა. ვახტანგი შეუდგა ახლა შინაურს საქმის მოწყობას და სამოქალაქო

---

*) იხ. ჟურნალი «ივერია» 1883 წ., სტატია ბაქრაძისა, მარტის და ივნისის №№-ში.

**) იხ. Введеніе въ ново-завѣтныя книги свящ. писанія. Переводъ съ нѣмецкаго Арх. Михаила. 1869 года, стр. 289 и 291 въ примѣчаніяхъ.

ცხოვრების რიგიან გზაზე დაყენებას. ამ საქმისათვის ვახტანგს გამოცდილება და ცოდნა არ აკლდა. ამ ცოდნის, სწავლის და გამოცდილების შესაძენად მოიარა მცირე აზია, იყო ანტიოქიაში, ბაღდადში, იერუსალიმში, სპარსეთში და ინდოეთში. აქ ნახა თვისი თვალით სამოქალაქო და სახელმწიფო წყობილება, ხალხის ცხოვრება და მეურნეობა, და რაც კარგი და ქვეყნისათვის სასარგებლო რამ იყო, ყველაფერი გადმონერგა თვის სამეფოში. საქართველოს ისტორიკოსი ბარათაშვილი ამბობს, რომ აბრეშუმის ჭიის თესლი საქართველოში უფრო ადრე შემოვიდა, ვიდრე ევროპაში. ჩვენში ის გაავრცელა უთუოდ გორგასლანმა, ხოლო ევროპაში კი მისი ხმარება პირველად შემოვიდა იუსტინიანე იმპერატორის დროსა. დაბრუნდა თუ არა სპარსეთიდგან, გარდა იმისა, რომ დააწესა საქართველოში დამოუკიდებელი საპატრიარქო, გახსნა ახალი ეპარქიები და ყოველგან დააყენა ისრეთი კაცები ეპისკოპოსებად, რომელნიც მისნი ერთგულნი იყვნენ*). მაგრამ სამეფოს ბედნიერ-დღეობისათვის ეს კიდევ არ კმაროდა. საჭირო იყო ხალხის ყოფა ცხოვრების გაუმჯობესობა. ამ განზრახვით აღაშენა ახლად ქალაქები, ააგო ტაძრები, მონასტრები, სიმაგრეები და დამართა სკოლები. პლ. იოსელიანი ამბობს: „ვახტანგ გორგასლანმა ეკლესიებთან დააარსა სკოლები; ეკლესიური წიგნები, რომელნიც გარყვნილნი იყვნენ გადამწერთაგან, ხელმეორედ გადაასინჯვინა, საჭირონი გადაათარგმნინა და დაურიგა ყველა ეკლესიებს. გარდა ამისა გაგზავნა ქალაქებში, სოფლებში, აფხაზეთს, სამეგრელოს და კავკასიის მთიულ ხალხებში სასულიერო პირნი საქადაგებლად და ქრისტეს სჯუ-

*) იხ. Истор. Груз. кн. Баратоват. II, стр. 33—39.

ლის გასავრცელებლად ურწმუნოთა შორის»*). ამ საქმეში მისი თანაშემწენი იყვნენ: დიმიტრი, გრიგორი, ნერსანარი, ადარნასე, ბაკური, არტავაზი, ნასარი და ბივრიტიანი. მაგრამ ყველაზე უფრო დიდი შრომა გასწია განათლების საქმეში მთავარ-ეპისკოპოსმა პეტრემ, «რომელი იყო კაცი ბრძენი, წმინდა და ფრიად ღირსი და ყოვლისა სიბრძნითა და სათნოებითა აღსავსე»**). ამ მღვდელ მთავრის შემწეობით მეფემ ზოროასტრის სარწმუნოება მირს დასცა სამეფოში. სწავლა-განათლებით სრულიად დაუკარგა ამ სარწმუნოებას ხალხში ნდობა და ჭეშმარიტება, და აღამაღლა საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობა გონივრულის მოქმედებით და ფულის მოსაჭრელად ზარაფხანის გახსნით***).

განათლების საქმე და პოლიტიური და ეკლესიური თავისუფლების იდეა ისრეთ მკვიდრს გზაზე იყო დაყენებული ამ სახელოვანის მეფის დროს, რომ მის შემდეგ მყოფ მეფეებს წმინდა ანდერძად შეექმნათ. მან თუმცა განათავისუფლა საქართველოს ეკლესია ანტიოქიის პატრიარქისათვის მორჩილებისაგან და ქართველთაგან შემდგარი სასულიერო წოდება განამდიდრა, ქათალიკოზი მაინც ბერძენთაგან ირჩეოდა და ეს არ ეპრიანებოდათ ქართველთა· განათლებამ გაუხსნათ იმათ ჭკუა-გონება, განვითარდა ხალხის ჭკუა-მეცნიერებითა, შეუყვარდათ თავის უფლება, და მოისურვეს თავის ეკლესიის გამგებლად თავიანთივე

*) იხ. Истор. Груз. церк., გვ. 55 და 56. აგრეთვე: Нумизм. факты груз. царст. Барат., გვ. 57.

**) იხ. ისტორია თეიმურაზ ბატ—შვილისა, გვ. 279.

***) იხ. Нумизмат. фаткы груз. цар., стр. 41—111 и 57.

კაცის ამორჩევა. «როცა ივერიელთ მოუკვდათ ქათალიკოსიო, ამბობს სომხის ისტორიკოსი ვარდან დიდი, ამ ქვეყნის თავა-დებმა მიუგზავნეს ჩვეულებისა-მებრ სომხის ქათალიკოზს მო-სეს უქილები და სთხოვეს სასულიერო მთავარი. მოსემ მისცა იმათ კირიონი, რადგან ის მათი მახლობელი იყო; ხოლო მოვიდა თუ არა იგი, მაშინვე დაიპყრო მთლად ქვეყანა. ჩავა-რდა ეკლესიის ქართველ კაცის ხელში და სრულიად განთავისუ-ფლდა საბერძნეთის გავლენისაგან. ეს გარემოება ისრე ძლიერ არ ეწყინა საბერძნეთს, როგორც სომხების სასულიერო წოდებას. საბერძნეთისაგან განთავისუფლებულის საქართველოს ეკლესიის დამორჩილება ახლა სომხებმა მოინდომეს. მაგრამ მაღალ განა-თლებულმა კირიონმა დაამარცხა მათი ქედ-მაღლოვანება, და ამის გამო ხელი აიღეს ქართველების ძმობაზე: დასწყევლეს, შეაჩვენეს და დაადგინეს საეკლესიო კრებაზე, რომ სომეხი კა-ცი ქართველს ვაჭრობაში ისრე მოექცეს, როგორც ურიას; ნუ იქონიებს მასთან მეგობრობას ნურც ლოცვაში, ნურც ჭამა-სმაში და ნურც ყმაწვილებს გააბარებს ქართველ ძიძას; ნუ წავა ნურც მცხეთას, ნურც მანგლისში პატიოსანის ჯვა-რისათვის თაყვანის-საცემლად; ნუ მიიღებს მას ჩვენს ეკლესია-ში და ნურც შეირთავს იმათს ქალს ცოლად. რომელიც სო-მეხიც ამას არ აღასრულებს, წყეულიმც იყოს*). მაგრამ კი-რიონმა, როგორც განათლებულმა კაცმა, ძაგდენი ყური არ ათხოვა სომხების ამ გვარს ქცევას.

კირიონი დიდად განათლებული კაცი იყო, ვამბობთ, ამისათვის, რომ ამას ამტკიცებს თვით სომხისავე ისტორი-კოსი ვარდან დიდი. მისის სიტყვით ის იყო ჯავახეთელი

---

*) იხ. Исторія Агванъ Каганкат., გვ. 216

ქართველი. სიყმაწვილეშივე გაგზავნილი იყო საბერძნეთს და სცხოვრებდა სოფელს ნიკოპოლს, კოლონის მაზრაში, მდინარის გაილის კიდეზე. აქ მიიღო მან ბერძნული განათლება და ზედ მიწევნით იცოდა აგრეთვე ქართული და სომხური ენებიცა. ამაზედ ნაკლები არ იყო არც მისი ამხანაგი, სახელად კისი. ესა და კირიონ ერთს სკოლაში სწავლობდნენ. კირიონი რომ დაბრუნდა საქართველოში, ამბობს ვარდანი, მაშინ კისი მცირე აზიაშივე დარჩა და სცხოვრებდა ნიკოპოლის მახლობლად სოფელს ზუტარიმში. როცა სომხებმა დაუწყეს საქართველოს ეკლესიას ბრძოლა და მოინდომეს თავის მხარეს გადაბირება, მაშინ ის დაბრუნდა სამშობლოში და კირიონმა აკურთხა ეპისკოპოსად. ამ დღიდგან მან მიიღო ყოველის თავის ჭკუის ძალ-ღონით მონაწილეობა სომხებთან სარწმუნოების ბრძოლაში*).

ეს ბრძოლა ამ ორ მეზობელ ხალხისა დაიწყო 551 წლიდგან**), მაშასადამე კირიონი ვახტანგ გორგასლანის დროს ყმაწვილი უნდა ყოფილიყო და თავისი სწავლა ქართულს ენაზედ ამ მეფის დროინდელ სკოლებში უნდა დაეწყო, და სადაც ეს სწავლობდა, უეჭველია, აქ მრავალნი სხვანიც იყვნენ. მაგრამ ჩვენ ახლა გათავებულად მიგვაჩნია ჩვენს საგანზედ ლაპარაკი, და ამისათვის გადავდივართ დასკვნაზე და კიდეც ვათავებთ ჩვენს წერილს.

ისტორიული ცნობანი, რომელნიც ჩვენ შემოკრიბეთ ამ წერილში და ის მოსაზრებანი, რომელნიც დავაფუძნეთ ფაქტებზედ, უეჭველად ამართლებენ იმ აზრს, რომ მე-V საუკუ-

---

*) იხ. Истор. В. Великого, стр. 73 и 74.

**) იხ. იქვე შენიშვნებში, 96 გვერდი.

ნეში, როცა სომხები წავიდნენ უცხო ქვეყნებში სწავლის შესაძენად და საღმთო წიგნების სათარგმნელად, მაშინ წავიდნენ აგრეთვე ახალ-გაზდა ქართველნიცა. უეჭველია აგრეთვე, რომ მე-IV და მე-V საუკუნოებში ქართველებმა და სომხებმა ურთიერთის თანხმობით და შემწეობით გახსნეს სკოლები და დაიწყეს ხალხოსნური განათლება საკუთარის ანბანების საშუალებით და კარგადაც მიდიოდა ეს საქმე. სომხის ისტორიკოსები ამბობენ: მე-V საუკუნე ჩვენის ლიტერატურისთვის ოქროს საუკუნე არისო*). თუ ამისივე თქმა არ შეიძლება ამ დროის ქართულ ლიტერატურის შესახებაც, რადგან ჟამთა ვითარებას გაუქრია ყოველივე ნაწარმოები, იმის თქმა მაინც თამამად შეიძლება, რომ მე IV საუკუნის დასასრული და მე-V საუკუნე მთლად არის დრო ქართველთ ჭკუა-გონების გაღვიძებისა, აღდგომისა და განცხოველებისა; არის დრო სკოლების დამართვისა და ქრისტიანულ სწავლა-განათლების დაწყებისა.

მღვ. დიმ. ჯანაშვილი.

---

*) Арменія въ V в. Ахвердова, გვ. 93—120

# წერილები ლორენცო ბენონისა.

(გაგრძელება*)

## თავი XXXII

დიდი იმედი და დიდი გაჭირვება.—ერთბაში შეწუხება.—მოტყუ-ებული სიმშვიდე.—კატასტროფა.

ახლა ჩვენ მივედით ამ ჩემი მოთხრობის ძალიან სამწუ-ხარო ნაწილამდის. მე ვგრძნობ იმასვე, რასაც გრძნობს ხოლმე მგზავრი, როდესაც, დაღამების დროს, გაივლის რა ჯვრის გვერდით, რომელიც დაუდგამთ რომელიმე საზარელი შემთხვე-ვის გამო, აარიდებს თვალს და ფეხს მოუჩქარებს. მეც აგრე-თვე ვსცდავ რა კლდეს, რომელზედაც შეიმუსრნენ ყოველი ჩემი იმედები და სიხარული ჩემი ცხოვრებისა, ვგრძნობ შიშსა და ვცდილობ მალე მოუღო ბოლო ამ საქმეს.

თებერვლის დამდეგს 1833 წელს,—ახალის საზოგადოე-ბის ერთი წლისა და ორი თვის დაარსების შემდეგ, — ჩვენი საზოგადოების მდგომარეობა სავსე იყო იმედით, და შეჭირ-ვებით.

---

*) «ივერია» № 9, 1883 წ.

ჩვენ სრულიად დამშვიდებულნი ვიყავით, როდესაც ერთმა ჩვენმა ამხანაგმა გვითხრა რომ ორი ჩვენი ამხანაგი დაუჭერია-თო.

ამ ახალმა ამბავმა ჩვენ თავ-ზარი დაგვცა. მართლაც, ძა-ლიან სამწუხარო იყო, მაგრამ როდესაც საქმე დაწვრილებით გავიგეთ, ჩვენდა დასამშვიდებლად დავრწმუნდით, რომ საქმე ჯერ კიდევ ისე ცუდად არ იყო, როგორც ვიტტორიომ გვი-ამბო. აი რა მომხდარიყო. ორი სერჟანტი, რომელთაგან ერთი ჩვენს საზოგადოებას ეკუთვნოდა, ერთმანეთს წასჩხუბებოდნენ; იქნება ისინი ციხეში ჩაესვათ.

არაფერი არ ამტკიცებდა, რომ იმათის დაჭერას რამე კა-ვშირი ჰქონოდა პოლიტიკასთან. ჩვენ გადავწყვიტეთ საქმე და-წვრილებით გაგვეგო.

სამი დღე გავიდა, და არაფერი საყურადღებო არ მომხ-დარა. მეოთხე დღეს დილით გულის დასამშვიდებელი ამბები გავიგეთ. პოლიციის კანტორებში ყოველისფერი თავის რიგ-ზე მიდიოდა. არც ერთი მაღალი და დაბალი ჩინოვნიკი არა-ვითარს ცვლილებას და აღელვებას არ იჩენდა. ორი სერჟანტის საქმეს, რომელსაც ისე უყურებდენ, როგორც უბრალო კინკლა-ობას, თითქმის არც კი ახსენებდენ. ჩვენ ძლივს თავისუფლად ამოვისუნთქეთ.

რამდენსამე კვირას საქმე ჩვეულებისამებრ მიდიოდა, და ჩვენ ნელ-ნელა ვმშვიდდებოდით, როდესაც ერთხელ, შუა ღა-მისას, ჩვენ მოგვესმა კარების ზარის საშინელი რეკვა. ვინ მოვიდოდა ამ დროს? რასაკვირველია, ეს უსიამოვნო მახარო-ბელი იქნებოდა. მაგრამ ჩვენ არავითარი ეჭვი არა გვქონია, რომ ჩვენ განსაცდელში ჩავარდებოდით. სახლში, მე და ცეზარის მეტს, ყველას ეძინათ. ჩვენ წავედით კარების გასაღებად და დავი-

ნახეთ გარნიზონის ყარაული, პოლიციის კომმისარის წინამძღოლით, რომელმაც გვიჩვენა ჩვენ მოწერილობა იმის გამო, რომ დაეჭირათ ცეზარი ზენონი და გაეშინჯათ იმისი ქაღალდები. რა თავ-ზარი დაგვეცა! ერთს წუთს მთელი სახლი ფეხ-ზედ დადგა. დაიწყეს ქაღალდების შინჯვა, ცდილობდენ რამე საეჭვო ეპოვნათ. ამას წინადვე უნდა მოვლოდებოდით. ქაღალდების გამშინჯავების უფროსი ჩვენი სახლისგან დაკავლებული იყო. ჩვენი სახლი რომ არა ყოფილიყო, ის სიმშილით მოკვდებოდა. ზოგიერთს ქაღალდები თან-წაიღეს. ცეზარს უკანასკნელად ჩამოვართვით ხელი და მერე გარნიზონერებმა წაიყვანეს.

გული ცხადად მეუბნებოდა, რომ ძმის დატუსაღება არ იყო ერთად ერთი ფაქტი, არამედ ეს მცირე ნაწილი იყო ამისთანა საქმისა. მე, რამდენათაც შემეძლო, დავამშვიდე დედაჩემი და განთიადისას გავიქეცი ალფრედთან. მადლობა ღმერთს, იგი ისევ ლოგინში იწვა. ერთმანეთს რამდენიმე სიტყვა ვუთხარით და მერე ორივენი სფორცასთან გავიქეცით. საწყალი სფორცა! იგი დაეტუსაღებინათ. თავადი ჯერ კიდევ არ დაეჭირათ; რაც შეეხება ადრიან სტელლას, ჩვენ ვიცოდით, რომ იგი ლივორნოში იყო.

შემდეგ ჩვენ წავედით არსენალისკენ, სადაც იდგა ჩვენი საიმედო ამხანაგთაგანი ვიტტორიო. რამდენიმე არტილერიის სალდათი, სერჟანტის უფროსობით არსენალის კარებთან ზარბაზანს მართავდნენ. ყარაულმა არ შეგვიშვა. ამაოდ ვეუბნებოდი მას, რომ ჩვენ ერთი აფიცრის სანახავად მივედით. მას ნაბძანები ჰქონდა ბძანება და ის ასრულებდა მას. ჩვენ კიდევ ვაპირებდით გამობრუნებას, როდესაც მოვიდა ჩემთან ერთი ნაცნობი სერჟანტი და მითხრა ყურში:

— წადით, წადით, თუ ღმერთი გრწამთ, თქვენები ბევრნი

არიან დატუსაღებულნი (მან დაასახელა ზოგიერთა, მათ რიცხვში ვიქტორიოს ორი ახლო ამხანაგი.) ჩვენ ყველანი—მჭვ-ქვეშ ვიმყოფებით.

— ვიქტორიო?—წავიბურტყუნე მე.

— ვიქტორიო! ის გუშინ დილიდამ აღარ უნახავთ; არავინ არ იცის რა დაემართა.

თმები ყირაზედ დამიდგა; მე ისე აღელვებული ვიყავ, თითქოს ის იყოს ჩემი თვალით მენახოს ვიქტორიო მოკლული გაჯიუტობის გამო, ვიქტორიო გაჰქრა, — ვიქტორიო, ჩვენი ბურჯი, ჩვენი სიმაგრე; ჩვენ დავიღუპენით!

თუმცა სამხედრო კაცები ბევრი არ დაატუსაღეს, მაგრამ რომლებიც დაატუსაღეს ისეთები იყვნენ, რომ მათზე იყო საზოგადოება დამოკიდებული. გავრცელდა ხმები, ვითომც ჩვენ გვდომოდეს სიცილიის ახალი სადამო მოგვეხდინა, რისთვისაც მოქმედების ადგილად დაგვენიშნოს გენუა, უნდა დაგვეწვა კაზარმები, გაგვეჟლიტა ყველა პიემონტელები. ერთი სიტყვით მთელი ქალაქი აგვეოხრებინა. ამ ამბებს ბევრი იჯერებდა. დაიწყეს მზადება, ზოგ ადგილას ჯარებს, ზოგ ადგილას ზარბაზნებს აყენებდენ. კასტელლეროს და წმინდა გიორგის ფორტები მზად იყო დაეშინა ზარბაზნები ქალაქისთვის, ოღონდ კი ებრძანებინათ.

რა იყო ამ სამწუხარო ამბების მიზეზი? მე თქვენ ამას რამდენიმე სიტყვით გიამბობთ. ორი სერჟანტის დატუსაღებას პოლიტიკური მნიშვნელობა არა ჰქონდა. მართველობა, როგორც ზევითა ვსთქვი, უურმახვილად იყო, მაგრამ ის კი არ იცოდა, რომ ერთი დატუსაღებულთაგანი ჩვენს სა-

ზოგადოება ეკუთვნოდა. ერთი სერჟანტთაგანი, რომელმაც მეორე მძიმეთ დასჭრა, იმაზე დაბალი სამსახურისა იყო. ამ შემთხვევამ იმის დანაშაული უფრო გაამძნელა. რომ დასაჯვა აეცილებინა, ანუ შეემსუბუქებინა მაინც, მას უნდა ესარგებლნა ერთი საიდუმლოებით, რომელიც ერთხელ უამბო თავის უწინდელს ამხანაგს. მან გამოაცხადა, რომ ამ უკანასკნელმა ამხანაგმა მას ერთხელ უამბო საიდუმლო საზოგადოების ამბები, რომელსაც თვითონაც ეკუთვნოდა და მასაც ხელს უმართავდა ამ საზოგადოების წევრად გამხდარიყო.

წარმოიდგინეთ მონადირე, რომელიც მელას უპირობს დაჭერას და დათვი კი ჩაუვარდა ხელში. სწორედ ამ მდგომარეობაში იყო მართებლობა. მან იმაზედ მეტი იპოვა, რასაც ეძებდა...

## თავი XXXIII.

ძლივს გადავრჩი.—მე მარწმუნებენ ჩემს გადარჩენაზედ ვიზრუნო.

ერთხელ საღამოთი, თიბათვის პირველ რიცხვში, მე მოვდიოდი შინ. იქნებოდა ესე ათი საათი, და ქუჩაში კი ჭაჭანება არავინა სჩანდა, დუქნები სულ დაკეტილი იყო, ამ სიჩუმეს ყარაულების ყვირილი და წყვილ-წყვილად მოსიარულე კარაბინერების ხმაურობა არღვევდა.

მე თითონ გულ-დამწვარი დავდიოდი წყნარის ნაბიჯით. ყოველი დღე წარსულის თვეებისა უმატებდა რამეს ჩემს მწუხარებას. გენუაში, ტურინში, ალექსანდრიაში, შამბერიში, ნიცცაში, მონდოვიში, კონში—კიდევ დატუსაღეს და კომმისიამ,

დაწიმწულმა კოროლისაგან, გადასწყვიტა, რომ დამნაშავენი სამხედრო სასამართლოთი გაესამართლებინათ.

თავადმა ურბინომ როგორადაც აცილა თავიდამ დატუსაღება. შინ რომ დაბრუნებულიყო, ენახა რომ რამდენიმე კარაბინერები იყვნენ იმის სახლში, მაშინვე ნავთსადგურისკენ გაქცეულიყო. როდესაც გამოუდგნენ, იგი ჩავარდა ზღვაში და მივიდა ახლოს მდგარ ანგლიის გემთან. მერე ჩვენმა ამხანაგთაგანმა, დაჭერის უმალვე, მიიღო შხამი, და კარაბინერებს დაუტოვა თავისი სხეული.

ამ შესაწუხებელ ფიქრებში ვიყავ, როდესაც შეუხვიე კუთხეს, რომელიც მიდიოდა წმინდა ლუკას ქუჩაში. იმ ღამეს მოსიარულე არავინა სჩანდა, თუმცა დღისით კი ბევრნი დაიარებიან ამ ქუჩაზედ. რამდენსამე წამს მესმოდა ჩემს უკან ფეხის ხმა, მაგრამ ყურადღება არ მივაქციე. ის კაცი, რომელიც უკან მოსდევდა, ცდილობდა რომ ჩემს ნაირად ეარნა, ხან მოუკლებდა სიარულს და ხან გააჩქარებდა. ამისმა ამისთანა საქციელმა ეჭვში შემიყვანა. რადგან მინდოდა გამეგო, თუ ვინ მზვერავდა ასე ერთგულად, უეცრივ მივიხედე, მაგრამ ისე ჩქარა ვერა, რომ დამენახა ის კაცი. იგი განჰქრა. მე განვაგრძე სიარული, ყური ფხიზლად მეჭირა და, როდესაც წმ. გიორგის მეიდნამდის მივედი, ხალხის ხროვა დავინახე. იგი შესდგებოდა ორი კარაბინერისაგან და ორი სხვა კაცისაგან.

უეცრად მომივიდა ფიქრად, რომ იგინი მყარაულობენ: მე ვიგრძენ რომ ჩემი უბედურობის დღეც მოახლოვდა. მე ვიცოდი, რომ ქუჩაში არ დამიჭერდენ, რადგან ქუჩაში დატუსაღების მაგალითი არ მომხდარიყო; მაგრამ დარწმუნებული ვიყავ, რომ ეს ხალხი ისე ჩქარა იქნებიან სახლში, როგორც მე,

და უსათუოდ დამიჭერენ. ამ შემთხვევაში, მათ გამიშვეს, არც ხელი მახლეს და არც არაფერი მკითხეს.

თუ გინდ რომ იმ კაცზედ არ მიმეტანა ეჭვი, იმ კაცზედ მაინც მივიტანდი ეჭვს, რომლებიც ჩემს სახლთან სიბნელეში იდგნენ და ვიღასაც ელოდენ. მე მომაგონდა, რომ ჩემი ძმის დაჭერის დროსაც სწორედ ასრე მოიქცნენ. მეზობელმა მითხრა, რომ მას გაეგონა, როდესაც ერთს პოლიციელს მეორესათვის ეთქვა: «დაბრუნდა» და ამის შემდეგ მივარდნოდენ სახლს.

ერთმა ბავშურმა აზრმა გამირბინა თავში და მან დაიპყრო მთლად ჩემი არსება: ე. ი. მე განვიზრახე გამეცრუვებინა ის საშუალება, რა საშუალებითაც ჩემი ძმა ცეზარი დაჭირეს.

ამ განზრახვით, როდესაც ჩემ სახლის კარებთან მიველი, იმის მაგივრად, რომ შინ შევსულიყავ, მე გავიარე კარების გვერდით და წაველი იქითკენ, სადაც, როგორც ვიცოდი, იყო ბნელი თაღი, რის ქვეშაც მე შეველი და იქიდამ აქეთ-იქით გავძვერ-გამოვძვერი. მე ძალიან წინ გავუსწარ ჩემ მდევნელებს.

მესმოდა მდევნელების ფეხის ხმის მოახლოვება, და ვგრძნობდი, რომ აღარ შემეძლო გაქცევა, რის გამოც ერთს ბნელს ადგილას დავიმალე; იქ ისე ბნელოდა, რომ თვალში თითი რო წაეტაკებინათ, ვერას დაინახავდი. ჩემმა მდევნელებმა გამირბინეს ახლოს და ის კი არ მოიფიქრეს შემოეხედნათ ჩემს სამალავში. მე მოუთმენლად ველოდი, სინამ იმათი დინჯი ფეხის ხმა მისწყდებოდა, და როდესაც მისწყდა, მაშინ ფრთხილად გამოველი სამალავიდგან და ერთს წუთზედ მიველი ჩემს სახლთან, გარშემო შემოურბინე და მერე შინ შეველი.

მაშინვე აველი დედიჩემის ოთახში, რადგანაც ჩვეუ-

ლებათა მქონდა, რომ ძილის დროს დედა-ჩემი უსათუოდ უნდა მენახა და მელაპარაკნა იმ დღეს მომხდარ საქმეებზედ. დიდი ხანია მწუხარებამ და დარდმა შესცვალეს ის სიმხიარულე, რომელიც ამ დროს ყველას გვეტყობოდა ხოლმე, მაგრამ ეს დრო ჩვენთვის ისეთივე ძვირ-ფასი იყო დარდიანობისას, როგორც სიხარულის დროს. როგორ ვუთხრა საწყალ დედა-ჩემს, რომ ამ ერთად ერთ სასიამოვნო დროსაც უსპობენ? როგორ მოვახერხო, რომ მეორე შვილის დატუსაღებამ მას თავ-ზარი არ დასცეს.

შველა არ შეიძლებოდა; მე უნდა ვყოფილიყავ მოწამე იმის მწუხარებისა. მან ისეთი ღიმილით მიმიღო, რომ ყოველივე მხნეობა დავკარგე.

ძლივს მახსოვს, რაც მე მას ვუამბე და რაც მოხდა ჩვენს შორის. ვის შეუძლიან მოიგონოს ის სამწუხარო სიტყვები? ყველა დედები მიხვდებიან ჩემს აზრს.

მე შემიძლიან სიამაყით ვსთქვა, რომ დედა-ჩემი არა ჩვეულებრივი დედა-კაცი იყო. იგი ძალიან კეთილი და გულადი დედა-კაცი იყო. რაკი ვიცოდი დედა-ჩემის მხნე გული, მე დარწმუნებული ვიყავ, რომ თუმცა ის ძალიან იწუხებდა, მაგრამ თავს მალე შეიმაგრებდა. მე მრწამდა ეს დედა-ჩემის თვისება, და არც მოვტყუვდი.

რაკი ხედავდა, რომ მე არავითარ საშუალებას არა ვხმარობდი არც დასამალად და არც გასაქცევად, იგი ცდილობდა გავემხნევებინე და ისეთი ალერსით და სიყვარულით მექცეოდა, როგორის სიყვარულით და ალერსითაც აუვსია ღმერთს დედის გული. ყოველივე, რაც კი საჭირო იყო საპყრობილეში, მომიმზადა მშვიდობიანად და დინჯათ. მან ჩამიდო ქისაში ცოტა ოდენი ოქრო, რომელიც შინა გვქონდა, და რაკი იცოდა

რომ თამბაქოს ვეწეოდი, მომცა ყოველივე, რითაც კი ცეცხლის გაჩენა შეიძლებოდა. მართალია, ეხლა ეს ბევრი არაფერია, მაგრამ ამით ის მტკიცდება, თუ როგორ იმაგრებდა დედა-ჩემი თავს ამისთანა სამწუხარო დროს. მაგრამ ეს სამზადისი ამაო იყო: საცოდავ პოლიტიკურ დამნაშავეთ ნება არა ჰქონდათ არც ფულის შენახვისა და არც თამბაქოს წევისა.

იმის რჩევით, მე შევჭამე ერთი ყუა პური, დავლიე ერთი სტაქანი ღვინო და დინჯად დავჯექი იმასთან და მოველოდი თუ რა მოხდებოდა.

მოლოდინი დიდ-ხანს არ გაგრძელდა. მძლავრად ზარის დარაკუნებამ შეგვაშინა. — «გამხნევდი, დედა», შევყვირე მე და ჩავიკარ გულში: «ჩემი დრო მოვიდა!» იგი გამისხლტა ხელიდამ, დაიჩოქა ღვთის-მშობლის ხატის წინ და ლაღად ჰყო მღელვარე ხმით: «ღვთის მშობელო დედა, შენ გაზარდე ამას,— ოხ, დამიფარე ეს! მაგრამ იყოს ნება უფლისა აწ და უკუნისამდე!»

როდესაც ჩვენ ტალანში ჩამოვედით, დედა-ჩემი დამშვიდდა. ჩვენი კატერინა უცნობი პირების ნახვით თავ-ზარ დაცემული, არა გვშორდებოდა. სანტინა უმოძრაოდ იდგა, იმისი თვალები არ მოძრაობდენ. ნესტოები გაბერვოდა და პირ-და-პირ უყურებდა ორს კომისარს, რომელნიც ოთხი კარაბინერების წინ იდგნენ. ჩვენ დედითა და უნცროსი ძმით დავჯექით ამ კომმისარების პირ-და-პირ. მხოლოდ გამოურკვეველი ლოცვები, რომლებსაც კატერინა შიშით ამბობდა თავის გულში, არღვევდა ამ სამწუხარო სიჩუმეს. რამდენათაც შევამჩნიე ორი ლამპის შუქზედ, კარაბინერების სახე და იმათი თანამხლებლებისა, საშინლად გაფითრებულნი მეჩვენენ. ძალიან შესაძლებელია, რომ ზოგნი იმ კარაბინერებთაგანნი (კომმისარები ახალნი პირნი იყვ-

ნენ) აღსრულებდენ ამ გვარს მინდობილობას რამდენსამე ღამეს და ჩვენ არ შევსცდებით ვსთქვათ, რომ მწუხარების ხშირად ნახვით მათ გაქვავებულს გულშიაც იბოკებოდა ნაპერწკალი სიბრალულისა დედისუმისადმი, რომელსაც იგინი მეორედ ხედავდენ ამისთანა სამწუხარო მდგომარეობის დროს.

რამდენსამე წუთს ერთმანეთს ჩუმად ვუყურებდით, როგორც ორი საომრად გამზადებული რაზმი; ამ დროს ჩვენ მოგვემატა მამა-ჩემი, რომელიც ეტყობოდა შეწუხებული იყო. მე ძლივს ვანიშნე მას, რომ იმას უნდა დაეწყო ლაპარაკი, ბოლოს მიუბრუნდა ერთს კამისარს და ჰკითხა ამ მოსვლის მიზეზი.

კომმისარიც ამ კითხვას ელოდა, იგი წამოდგა წინ, ამოიღო ჯიბიდგან გრძელი ქაღალდი და წაიკითხა შემდეგი:

«გენუის გუბერნატორის ბრძანებით მეორე ნაწილის პოლიციის კომმისარს შეუძლიან დაატუსაღოს ბატონი კარლო ბენონი, ადვოკატი».

დედა-ჩემმა რაღაც სიტყვები წაილუღლუღა. კომმისარმა შესწყვიტა კითხვა, და აქეთ იქით დაიწყო ცქერა. მე კიდეც გადავდგი ფეხი წინ; მინდოდა დავლაპარაკებოდი, მაგრამ ამ დროს ერთმა უნტროსმა პოლიციელმა აფიცერმა საჩქაროდ გაიარა ჩემს უკან და ისე ნელის ხმით მითხრა, რომ მე აზრით მივხვდი იმ სიტყვებს: «დაჩუმდით, საქმე სიცოცხლეს შეეხება.»

ერთის წუთის წინად ისეთს განწირულებაში ვიყავ ჩავარდნილი, რომ გაქცევა სისულელედ მიმაჩნდა. ეხლა, ბედნიერ შემთხვევის გამო, ან უფრო ღვთის შემწეობით, რომელსაც შეჰვედრებოდა დედა-ჩემი, მე მედო წინ გზა ჩემის თავის გადასარჩენად; სახელი ჩემი უფროსი ძმისა (მე უკვე გსთქვი, რომ

ისიც ჩემსავით ადვოკატი იყო), რომელიღაც აუხსნელი შეცდომის გამო ჩემი სახელის მაგივრად ჩაეწერათ. ჩემი ძმა ჩვენს საზოგადოებაში არავითარს მონაწილეობას არ იღებდა და მაშასადამე არაფრისა არ უნდა შინებოდა, მხოლოდ რამდენსამე დღეს დაატუსაღებდენ, სინამ იმის სიმართლე დამტკიცდებოდა.

ამ ფიქრმა და დედი-ჩემის იდუმალმა ხვეწნამ პირი მომიკრეს და დამარწმუნეს, რომ საქმის მიმდინარეობას მივყოლოდი. ჩემი ძმის ოთახი განაპირებული იყო ზემო სართულში; მას არავითარი ყაყანი არ ესმოდა და დინჯად ეძინა, როდესაც მამა-ჩემი, ორი კარაბინერით და სუყველაზე უნცროსი პოლიციელი კომისარით, შევიდა და გააღვიძა. თუმცა მამა-ჩემს თვალ-ყურს ადევნებდენ, მაგრამ მან მაინც მოახერხა ეთქვა ჩემი ძმისთვის პოლიციის შეცდომა, რისგამოც მას მცირე ხანს მოუხდებოდა ციხეში ჯდომა.

კამილლო დიდის სულ-გრძელობით დაემორჩილა მამის ბრძანებას; მან მისცა სუ ყველა თავისი ქაღალდები, რომელშიაც, როგორც იგი დარწმუნებული იყო, არავითარი წინააღმდეგობა არ იპოვებოდა და ჩემს მაგივრად წავიდა საპყრობილეში, რადგან იცოდა, რომ იმას რამდენიმე დღის უკან გამოუშვებდენ. მაგრამ იმას იმაზე დიდხანს მოუხდებოდა ციხეში ჯდომა, რავდენსაც თვითონ ფიქრობდა. ბევრმა თვეებმა გაიარეს იმის გამოშვებამდის.

ამ შემთხვევამ დაარწმუნა დედა-ჩემი თუ მე რა განსაცდელი მელოდა და რაც შეეძლო მიალერსებდა მეორე დილას. გენუაში დარჩენა ამ შემთხვევების შემდეგ სისულელეზედ მეტი იქნებოდა; მაგრამ

მოვალედ ვსთვლიდი ჩემს თავს ჩემი უბედური ამხანაგების და დედი ჩემის წინაშე და ამისათვის არ მინდოდა გავშორებოდი გენუას. მაგრამ დედი-ჩემის ცრემლებმა და ხვეწნამ დამძლიეს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ბიძა-ჩემი ჯოვანიც მოვიდა. დედი-ჩემის ხვეწნას მისი ხვეწნაც ზედ დაერთო. იმავ დილას ჯოვანს ენახა ერთი თავისი ამხანაგი, ჩინოვნიკი, რომელიც მისულიყო მასთან და ეთქვა, რომ პოლიცია მიხვდა თავის გუშინდელ შეცდომილებასაო. იმას ეთქვა, რომ თუ მალე არ გავიქცევი, სრულიად დავიღუპები.

ალფრედმა და რამდენმამე სხვა ამხანაგებმაც, რომელთაც იმოდენა გაბედულობა ჰქონდათ, რომ ამისთანა დროს მოვიდენ ჩვენსა, მირჩიეს გავქცეულიყავ გენუიდამ.

«რას იზავ შენ, — მეუბნებოდენ იგინი, — იმათთვის, ვის გულისთვისაც გინდა შენ გენუაში დარჩე, და შენი თავი მსხვერპლად გახადო? განა არ დაამტკიცე შენი ვაჟკაცობა და გულადობა! არავითარი ლაქა არ დაასვრის შენს ვაჟ-კაცობას, თუ შენ ჩვენსა და დედი-შენის თხოვნას აასრულებ »

მე კიდევ ვყოყმობდი, როდესაც მითხრეს, რომ ვიღაც ქალს საჩქარო საქმის თაობაზე უნდა შენთან ლაპარაკიო. მე ვუთხარ შემოეყვანათ იგი ჩემს პატარა კანტორაში, და იმ წუთსვე წავედი გამეგო, თუ ვინ იქნებოდა.

შევედი თუ არა, ქალმა პირ-ბადე აიხადა. ის იყო ლილელია; ჩემმა გულმა წინადვე იგრძნო! მე არ შემეძლო არ შემეყვირა არა გაოცებისგან, რომელიც მოახდინა ამ მოულოდნელმა ნახვამ, არამედ იმის გამოცვლილმა სახის გამოცვლილობისაგამო.

იგი გაფითრებული და დატანჯული იყო, იმის თვალებში რაღაცა არა ჩვეულებრივი გრძნობა იხატებოდა; უკანასკნე-

ლის ნახვის შემდეგ დაზერერებულ იყო. «იმედი მაქვს, მითხრა აღელვებულის ხმით:—მომიტევებთ ამ გაბედულობას, მაგრამ იმისთანა საქმე იყო, რომ არ შეიძლებოდა არ მოვსულიყავ. თქვენ ამ საღამოსვე უნდა დაგატუსაღონ; ეს ალბერტომ გაიგო თვით გუბერნატორისაგან, რომელიც ამ ნახევარ საათის წინად ელაპარაკებოდა მას. თქვენ ხედავთ, რომ დრო არ უნდა დავკარგოთ. მე მოვიყვანე თან ერთი კაცი, რომლის ტანისამოსიც თქვენ უნდა ჩაიცვათ და წახვიდეთ ჩვენს სასტუმროში. იქ თქვენ ნურაფრის შიში ნუ გექნებათ.

ყოველივე ეს საჩქაროდ მითხრა. მე მინდოდა პასუხი მიმეცო; ლილლამ ამისთვის დრო არ მომცა.

— ნუ აჩირდები, თუ ღმერთი გრწამს! ოხ, ლორენცო, შემიბრალე! მე განწირულს მდგომარეობაში ვიმყოფები.

და მას ხმა ჩაუწყდა ცრემლებისა და ქვითინისაგან.

მე ვისარგებლე ამ დამშვიდებულის წუთით და ვუთხარ მას;—«ყური დამიგდე ლილლა! იმ წუთს, როცა თქვენ მოხვედით, მე თითქმის კიდეც გადავწყვიტე გენუის დატოვება. თქვენი ნათქვამი ამბავი, იძულებულად მხდის უსათუოდ გავიქცე. პირობას გაძლევთ, რომ დღეს საღამოზედ, დაღამებამდის, დავტოვებ ამ სახლს. მე კიდეც მოვიგონე ადგილი, სადაც არავითარი შიში არ მომელის, სინამ ქალაქიდამ გასვლას შევიძლებ. ნუ იფიქრებთ, რომ უარს ვყოფ თქვენს დახმარებას მხოლოდ იმიტომ რომ თქვენ მპირდებით მას. დამიჯერეთ, არავისგან არ მივიღებ დახმარებას ისეთის ხალისით, როგორც თქვენგან; მაგრამ მე არასოდეს არ გავბედავ ჩავაყენოთ თქვენა და თქვენი პატრონი ამა საშიშარს მდგომარეობაში.»

რაკი ვნახე რომ ის მაინც თავისას არ იშლიდა დაუმატე: «არა, არა, ლილლა, ნუღარას მეტყვით. ნუ შევიწუხენთ თავს უსარგებლო ბაასით. მე თქვენ გიმეორებთ ჩემს დაპირებას, რომ დაღამებამდის ამ სახლზედ უფრო საიმედო შესაფარს ადგილს ვიშოვი... საწყალი და უბედური ჩემი ლილლა (მე არ შემეძლო არ მეთქვა ეს სიტყვები, რომლესაც მან თავის გაფითრებულის სახით შემომხედა) პატივი ეცი ჩემს სისუსტეს. ჩვენ ორივესთვის ეს წუთი მწარე ტანჯვის წუთია; ნუ მისპობთ მხნეობას; ნუ მხდით უძლურად ვაჟკაცურად ავიტანო მომავალი ბრძოლა. იფიქრეთ საწყალ დედა-ჩემზედ, ლილლა!

ერთს წუთს ჩუმათ იდგა, თვალებზედ ხელებ მიფარებული; შემდეგ მან ჩამომართვა პირობა, რომ მე გავგზავნი მასთან ალფრედს ჩემის ამბის საცნობლად.

— ღმერთი იყოს შენი მფარველი, ლილლა! ჩემს სალსოვრად იფიქრეთ ჩემს უბედურს ამხანაგებზედ. ბევრს მათგანს ეჭირვება შველა.

მე გავაცილე იგი კარებამდის. იგი მობრუნდა და, მთელი სხეულის ცახცახით, მითხრა: «ოხ, ლორენცო! ეს უფრო ცუდია, სინამ უსაძაგლესი სიზმარი!» შემდეგ კიდევ მითხრა ჩუმის ხმით: «მშვიდობით, ლორენცო!» — და წავიდა... საწყალი ლილლა!

რამდენსამე საათის შემდეგ მე დავსტოვე მშობლების სახლი და წავედი სანტინას უფროს დასთან, რომელიც გათხოვილი იყო ერთს გენუელზედ, და ისეთს უბანში იდგა, სადაც ბევრი ხალხი სცხოვრობდა. ცხოვრების საშუალების მოსამატებლად, მათ რამდენიმე ოთახი მუშებისთვის მიექირავებინათ და ჩვენ ვფიქრობდით, რომ ამდენს ხალხში ერთ-ერთი კაცის

მიმატება არ იქნებოდა შესამჩნეველი. იქ ცხოვრება კიდევ იმით იყო კარგი, რომ სანტინის დახმარებით ჩემს ამბავს ჩემს სახლობას მალე შევატყობინებდი.

სრულიად დარწმუნებულმა იმ ხალხის ერთგულებაზედ, გადავწყვიტე ვყოფილიყავ მათთან იმ დრომდის, სინამ ვიპოვიდი სამზღვარ გარეთ გაქცევის ღონის-ძიებას.

მე არაფერს ვიტყვი ჩემს დარდიანობაზედ განშორების გამო. მაგრამ კაცის გული ქვა და კლდე უნდა იყოს, რომ ამოდენა ვაი-ვაგლახი აიტანოს.

## თავი XXXIV

### გაქცეული გემში ჯდება, რომელიც საფრანგეთისკენ მიდის.

როდესაც მე ახალს ადგილას დავსახლდი, პირველ დღესვე მივიღე წერილი და ოქროთი გატენილი ქისა; ერთიცა და მეორეც ლილლასაგან იყო. წერილი გრძელი და გრძნობით დაწერილი იყო; მასში იგი გულ ახდილად მწერდა თავის საქციელს ჩემს შესახებ, და პატიობას მთხოვდა, რის წინდათაც მიგზავნიდა ოქროს, რომელიც ჩემთვის საჭირო იქნება იმ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიაც მე ვიყავ.

მე ამ წერილზედ იმისთანა სიტყვებით მივუგე პასუხი, როგორც ჩემმა გულმა მაგონა, ე. ი. ალერსიანის და პატივსაცემ სიტყვებით; მაგრამ მე ფულზედ უარსა ვყოფდი. მამა-ჩემმა და ბიძა-ჩემმა ჯოვანიმ განშორების დროს იმდენი ფული მომცეს, რომ მეტიც იყო ჩემი საჭიროებისთვის. მე ვთხოვდი ლილლას არ დაევიწყა, რომ,

გამომშვიდების დროს, მე მას ჩავაბარე ის ამხანაგები, რომელნიც საჭიროებდენ ფულში. მე ვსთხოვდი აგრეთვე, რომ ჩემგან ფულის მიუღებლობა სიამაყეში არ ჩამოერთმია. ამისათვის იმის სახსოვრად მე შევაინახე ქისა და ერთი ოქროს მანეთი.

გავიდა სამი დღე, სანამ ვიპოვიდი კაცებს, რომელნიც დათანხმებულიყვნენ ჩემს სამზღვარ გარეთ წაყვანას, თუმცა ამისათვის ის კაცები დიდს სარგებლს თხოულობდენ. მე მიშოვეს სამზღვარ გარეთ წასასვლელი ბილეთი და როდესაც ყოველისფრით მოვემზადე, — შუადღის პირველ საათზედ მოვიდა ჩემთან კაცი, რომელსაც უნებლად უნდა გადავეყვანე საფრანგეთის ნაპირებზედ; მან მომიტანა მატროსის ტანისამოსი, რომელიც უნდა ჩამეცვა. იმ კაცს თავის სალხიც დაერიგებინა, რომ თუ ვინიცობაა ჩემი ვინაობა ვისმე კითხა, ეთქვათ რომ მე ინგლისელი ვარ და სათევზაოდ მივდივარ. ყოველივე სათევზაო იარაღიც ნავში ჩაეწყო.

ეს კაცი, რომელსაც მე დაუძახებ კაპიტანს, რადგანაც იგი იყო ჩვენი მოთავე, ღირსია იმისა, რომ ერთი ორიოდ სიტყვა ვსთქვათ მასზედ. იგი მაღალი ტანისა იყო, კარგა ჩასხმული, სახით შავგვრემანი, მზისგან დამწვარი, შავი სქელი თმებით და ბაკენბარდებით. იგი ლამაზის სახელის ღირსი იქნებოდა, თუ რომ ერთი თვალით ელამი არ ყოფილიყო. მთლად იმისი შეხედულობა, ხმა და მიხვრა-მოხვრა სავსე იყო ენერგიით და გაბედულობით, სიკვდილისაც სრულიად არ ეშინოდა, რადგანაც იმას, როგორც მეკობრეს, ხშირად უხდებოდა ხოლმე სიკვდილთან პირის-პირ შეყრა. მას სიგარა განუგდებელი ეჭირა პირში. როდესაც სიგარა მოუკიდებელი იყო,

იგი პირში გვერდზედ მიიგდებდა ხოლმე და უსაქმობის გამო ჰღეჭავდა.

იმის თქმით მე ჩავიცვი ზოლ-ზოლი პერანგი და მწვანე ლაგვის-ხი შლიაპა დავიხურე, და მერე შევედი ოთახში, სადაც დავსტოვე ისა ჩემის სახლის პატრონით, თავის ცოლით და სანტინათი, რომელიც ჩემს გამოსათხოვრად მოვიდა. კაპიტანი ძალიან ეჩქარებოდა. უნდა ჩქარა წავსულიყავ.

— ნებას მიბოძეთ მარიამ და ელიზა მადლობა გარდაგიხა-დოთ ჩემის პატივის-ცემისათვის. მშვიდობით სანტინა, ღმერ-თი იყოს თქვენი მფარველი! მე დავიხარე, რომ მოვხვეოდი მას, როგორც სხვებს, მაგრამ მან ხელი მკრა და მითხრა:

— ნუ თუ გგონიათ, რომ როდესაც ქალს გულს სტკენთ, იმის დასამშვიდებლად საკმაო იქნება თქვენგან ერთი კოცნა და თქმა: ღმერთი იყოს მფარველიო?

— რა დაგემართა სანტინა? ვკითხე გაკვირვებით, როდესაც დავუნახე არეული თვალები და ტუჩების კანკალი.

— თქვენ არ წახვალთ განა? მითხრა მან. . .

პასუხის მაგიერად მე განიშნე ჩემს ახალ ტანისამოსზედ.

— რისთვის მიდიხართ? განაგრძო სანტინამ დიდის აღელ-ვებით: განა თქვენ არ შეგიძლიანთ დარჩეთ? ვინ მოიფიქრებს, რომ თქვენ აქ იმალებით? ჩვენ ვეცდებით, რომ ცუდი არა და-გემართოთ რა; თქვენ ხომ კაცი არ მოგიკლავთ, ვინ რას გი-ზავთ!

— არაფერს იმის გარდა, რომ დაასრჩობენ! მიუგო მკვა-ხედ კაპიტანმა.

სანტინა შეხტა და ერთი წუთის სიჩუმის შემდეგ წარ-მოსთქვა:

— მაშ დეე წავიდეს! რაც ჩქარა წავა, უფრო კარგი იქნება.

წადით!—დაიძახა კიდევ და მომიბრუნდა მე, დაეცა სკამეიკაზედ, მიაჩერდა კედელს და იმის თვალებში საშინელი განწირულება იხატებოდა.

კაპიტანმა მანიშნა დავჩქარებულიყავ. მე ვგრძნობდი, რომ იმის დარიგებისათვის უნდა დამეჯერებინა, მაგრამ არ შემეძლო დამეტოვებინა საწყალი ქალი ისე რომ ერთი-ორი დასამშვიდებელი სიტყვა არ მეთქვა. ამ ამბავმა საშინლად შემაწუხა.

—არ შეიძლება მეც თქვენთან წამოვიდე?... შეჰყვირა სანტინამ მოულოდნელად. და სწრაფად წამოხტა სკამეიკიდამ მხიარულის სახით.—არ შემიძლიან მეც თქვენთან წამოვიდე? სადაც გინდა წახვიდეთ, მოსამსახურე ყველგან დაგჭირდებათ. თქვენ რომ ავად გახდეთ, ვინ მოგივლით? ოხ! ნება მომეცით მეც თქვენთან წამოვიდე! მე ვუთხარ მას რომ ჩვენი ერთად ცხოვრება არ შეიძლება მეთქი, რადგანაც ყმაწვილები ვართ და ხალხში ცუდი ხმა დაგვივარდება. იგი არაფერს არ ისმენდა. რად გაუტყდება მას სახელი იმით რომ წამოვიდეს ჩემთან?

«განა მე იმისი ბატონი არა ვარ და ის ჩემი დიდი ხნის მოსამსახურე? ამას გარდა იგი ძალიან არ აფასებდა თავის სახელს! ხალხი რასაც უნდა იმას იფიქრებს. მაგრამ რაც ბოროტება არ არის, ის ქალის სახელს ვერ გასტეხს. განა ეს ასე არ არის?

ჩემთან წამოსვლის დამაბრკოლებელ მიზეზად კიდევ ის მოვიყვანე, რომ ფული ცოტა გვაქვს მეთქი. ჩემი ფული მეც ძლივს მეყოფა: როგორ დააკმაყოფილებს იგი ორივეს საჭიროებას? მაგრამ, როდესაც ამ სიტყვებს ვამბობდი, მე კარგად ვგრძნობდი, რომ ის იმას არ დააბრკოლებდა. ღმერთმა სომ იცის, რომ ყოველსავე ამას იმის სიკეთისათვის ვამბობდი,

სანტინას პასუხი მზათა ჰქონდა: «იგი არა საჭიროებს

ჯამაგირს; იგი მოგვიხარშავს, დაგვიკერებს საცვლებს; იგი ყოველისფრით ეცდება ჩემთვის სასარგებლო იყოს. იგი დარწმუნებული არის, რომ იმის ჩემთან ყოფნა ხარჯს შემიმსუბუქებსო.

მაშინ მე მას დედა-ჩემზედ დაუწყე ლაპარაკი. მე ვუთხარ მას, რომ დედა ჩემს შენი სიყვარული მოსთმენინებს შვილების მწუხარებას მეთქი, რომ შენ ის ამისთანა დროს არ უნდა დასტოვო მეთქი.

ამ უკანასკნელმა სიტყვებმა მასზედ იმოქმედეს. იგი ყურადღებით ისმენდა ჩემს სიტყვებს და პასუხს არ მაძლევდა. დედა-ჩემის მარტო დატოვება აბრკოლებდა მას.

კაპიტანმა კიდევ ჩამჩურჩულა ყურში, რომ დროით უნდა წავიდეთო, ნუ დამაკარგვინებ იმ ხალხს, რომელნიც დღეს დავიჭირეო. სანტინა ისე მშვიდათ მიყურებდა, რომ მე მინდოდა მესარგებლა ამ წუთით. საჩქაროდ ვუთხარ მას რამდენიმე სიტყვა, ვაკოცე გამოსამშვიდებლად და წავედი კარებისაკენ; მაგრამ ჯერ კარებამდის არ მივსულიყავ, რომ საწყალ ქალს გული წაუვიდა.

იმის მხურვალე ბუნებამ ვეღარ მოითმინა. ოთხი ღონიერი კაცი ძლივს იმაგრებდენ მას. იმის შეკრული კრიჭა და შეშლილი სახე საშინელი სანახავი იყო. კისრისა და პირის სახის ძარღვები გასქდომას ლამობდენ მეტის-მეტის მოძრაობისაგან.

დრო და დრო დაღლილი ბუნება აძლევდა სანტინას დასვენების წუთს, და იგი დასტიროდა თავის ბედს ისეთი შემაძრწუნებელის ხმით, რომ ყველას იქ მყოფს ცრემლები მოსდიოდა თვალებში, ასე გაშინჯეთ კაპიტანსაც კი, რომელიც გულჩვილობას შეჩვეული იყო.

— ოხ, მე უბედური! ამბობდა იგი: — რითი დავიმსახურე

ამისთანა საშინელი ტანჯვა? ღვთის მშობელო, განა ჩემი ბატონის შეყვარება ცოდვა არის? მე დანაშაული არა ვარ, რომ გული მისკდება, როდესაც ვფიქრობ იმის წასვლაზედ. ეს ისეთი გულკეთილი ბატონია! მან მასწავლა წერა და კითხვა. არასოდეს არ მექცეოდა სასტიკად და არა მლანძღავდა; არასოდეს არ შეიკრავდა ხოლმე შუბლს, იმის ხმა ჩემთვის ყველა მუსიკის ხმაზედ სასიამოვნო იყო, და როგორ არ უნდა შემეყვარებინა? უნდა უგულო ყოფილიყო კაცი! მე ვიცი, რომ ის კეთილ-შობილი სახლიდამ არის, მე კი — საწყალი მოსამსახურე გოგო ვარ; მაგრამ რა არის? მე შამიძლიან ვემსახურო მას და მიყვარდეს კიდეც. მე მინდა მხოლოდ ვუყურებდე; ვნახო ხოლმე ყოველ დღე. ეს დიდი არაფერია, მაგრამ ჩემთვის კი ბევრსა ნიშნავს!

და იგი ლაპარაკობდა ამ ნაირად იქნობამდის, სინამ მეორედ არ წაუვიდა გული. მე ვისარგებლე ამ დროს, გავიხმე კაპიტანი და ვუთხარ, რომ ამის ასე დატოვება არ შეიძლება, ხვალ კი უსათუოდ წამოვალ მეთქი. ამიტომ მე ვთხოვე მას მზად ყოფილიყო და მოსულიყო ჩემთან მეორე დღეს ბინდისას. იგი არ ამიხირდა ამაზედ და გამომეთხოვა. სანტინასთან რომ დავბრუნდი, ვუთხარ, რომ თუ შენ გინდა, სულაც აღარ წავალ მეთქი.

ამ დაპირებამ მასზედ იმოქმედა. იგი მოვიდა გონზედ. აღარც ერთი სიტყვა აღარა სთქვა, დამიჭირა ხელი, მაკოცა და დამაცქერდა. გულის ყრამ გადუარა. ჩვენ იგი ლოგინში ჩავაწვინეთ, თვალებზედ ხელი დაიფარა და ჩუმად ტიროდა. რამდენჯერმე თავისმა დამ დასტუქსა უმიზეზოდ ტირილისათვის; მაგრამ სანტინამ მიუგო: დამაცადეთ ვიტირო; ეს ჩემთვის კარგია. ამის შემდეგ ასე აღარ მოვიქცევი.

სანტინა კიდევ ტიროდა და ოხრავდა, ხანდისხან იკითხავდა ხოლმე: ხომ არ წავიდა? მაგრამ, როდესაც ჩემს ხმას გაიგონებდა ხოლმე, მშვიდდებოდა.

შუაღამისას მას ჩაეძინა. მისი ძილი ორს საათს გაგრძელდა. იმის დას თავის ქმრით დიდი ხანია ეძინათ. როდესაც გაიღვიძა, სანტინამ მკითხა, რომელი საათიაო. მე მას ვუთხარი. იმან მთხოვა მივსულიყავ მასთან და ჩუმის ხმით მითხრა: «უნდა წავიდე. მე არასოდეს არ გაპატივებ ჩემს თავს, თუ შენ ჩემის გულისათვის....» იმან არ დაათავა სიტყვა, მაგრამ კანკალმა, რომელმაც იგი აიტანა, მაგრძნობინა, რაც უნდა ეთქვა. —«რაც შეიძლება მალე უნდა წავიდე. შემომფიცე რომ წახვალ.» მე შევფიცე. — «იმედი მაქვს მაპატიებთ იმ სისულელეს, რაც მე ჩავიდინე. სხვაფერივ არ შემეძლო მოვქცეულიყავ; მე თვითონ არ ვიცოდი, რასა ვშვრებოდი. რაც შეეხება თქვენს საწყალს დედას, იმაზედ ნუ იდარდებთ, მე დავრჩები მასთან და იმისათვის ყოველისფერს მოვიქმედებ, რასაც კი თქვენთვის მოვიქმედებდი. ღმერთმა გადაგიხადოთ ის სიკეთე, რა სიკეთეც თქვენ მე მიყავით. ეხლა წადით და ცოტა დაიძინეთ.»

მე არ მეძინებოდა და მინდოდა იმის გვერდით ვყოფილიყავ; მაგრამ რადგანაც იგი ძალას მატანდა, მე შევედი ჩემს ოთახში, სადაც დიდ-ხანს არ დამეძინია. როდესაც გამოვიღვიძე, მეშვიდე საათი იყო. სანტინა ორი საათიც იყო, რაც წასულიყო. დასა და სიძეს გაეცილებინათ. «იგი სუსტად იყო, მაგრამ დამშვიდებული კი წავიდა» მითხრეს მათ.

კეთილო და ერთგულო სანტინა, ღმერთი იყოს შენი მფარველი, მან მოგანიჭოს ძალა აიტანო სოფლის ყოველივე უბედურება!

სალამოზედ კაპიტანი კიდევ მოვიდა, გამოვედით შინიდამ და საჩქაროდ მივედით სოტორინამდის. ეს გამოქვაბული თაღია, სადაც სინათლე პატარა ფანჯრებიდამ შედის; იგი შუადღისასაც სამწუხარო სანახაობისაა. იმ დროს, როდესაც ჩვენ იქ მივედით. ისე ბნელოდა, რომ კაცისთვის თვალში თითი წაგეტაკებინა, ვერას დაინახავდა. ჩვენ რის ვაი-ვაგლახით გავიგენით გზა და მივდიოდით, სინამ ერთს ვიღასაც არ დავეჯახეთ.

— ვინც გინდა იყო, გზიდამ ჩამოგვეცალე! დაიძახა კაპიტანმა გაჯავრებით.

— ეს მე ვარ! მიუგო ნაცნობმა ხმამ.

— შენა, ალფრედ! რა დიდი სიყვარულია შენის მხრით.

— დიახ მე ვარ, მითხრა მან ყურში, მაგრამ მარტო კი არა ვარ.

ამ დროს მე ვიგრძენ, რომ ორი პატარა ხელი ჩემს ხელს ეძებდა და როდესაც ჩემი ხმა გაიგონა, ტირილით მითხრა:

— აღმითქვით, რომ თქვენ მე მაპატიებთ.

— მე ყოველისფერი მიპატიებია, მივუგე მე და წამოვაყენე ფეხზე ლილლა, რომელიც ჩემს წინ დაჩოქილი იყო და ჩავიკარ გულში. ღმერთმა ისე დაგლოცოს, ჩემო ლილლა, როგორც მე შენ გლოცავ. მერე გადავუწიე თმები და შუბლზე ვაკოცე... ეს ჩვენი პირველი კოცნა იყო.

კაპიტანი ჩქარობდა და მეც მაჩქარებდა.

როდესაც ჩვენ პონტ რიალთან მივედით, სრულიად ჩამობნელდა. რომ ნავთ-საყუდრამდის მივსულიყავით, ჩვენ დამოყნის გუშაგის ახლო უნდა გაგვევარნა და ერთ მაღალ შე-

მოლობილზედ გადავსულიყავით. ჩაფიქრიანებულმა მე ეს ვერ შევნიშნე და დავუჯერე მას.

— ცუდი ნიშანია! შეჰყვირა დამოყნის გუშაგმა. შეშინებული გავიქეცი რომ კაპიტანს მოვსწეოდი. იმ დროს, როდესაც ჩვენ პატარა ნავში ვსხდებოდით, კაპიტანმა მითხრა:

— ყოველთვის იტალიურად ილაპარაკე მხოლოდ.

ამ სიტყვებმა, რომლებიც ამტკიცებენ, რომ კაპიტანი არ ერწმუნებოდა თავის გემზედ მოსამსახურე კაცებს, ცოტა არ იყოს ცუდი შთაბეჭდილება იქონია ჩემზედ.

ნავს გვერდები მაღალი ჰქონდა, იმის დასამტკიცებლად: რომ მე ვითომ მართლა სათევზაოდ მივდიოდი, პორტის იქით ჩვენ უნდა დაგვხვედროდა გემი საჭირო საგზაო საგმლით საფრანგეთში წასასვლელად.

არ ვიცი რა მიზეზით, და გემი ჩვენ არ დაგვხვდა; ჩვენ დავსეირნობდით წყალში იქამდის, სანამ გემი არ გამოჩნდა. საუბედუროდ ჩვენი სეირნი შენიშნეს დამოყნის გუშაგებმა და მე ძალიან შევშინდი, როდესაც ერთი მათი ნავი ჩვენსკენ წამოვიდა. როცა მოგვიახლოვდა, იმის უმფროსმა გვიბრძანა დავმდგარვიყავით და რამდენიმე შეიარაღებული კაცი გამოგზავნა. იმათ ყოველისფერი გაშინჯეს, მაგრამ, რაკი საეჭვო ვერა იპოვეს რა, უკან გაბრუნდენ და ჩვენ ისევ ცურაობა დავიწყეთ.

მაგრამ გემი, რომელზედაც უნდა გადავმსხდარიყავით, არსად სჩანდა და ის-ის იყო კაპიტანი რჩევას მეკითხებოდა, თუ რა უნდა გვექნა, როდესაც დამოყნის ნავი კიდევ მოვიდა ჩვენთან. თუმცა წინად კარგად გაგვშინჯეს, მაგრამ რაკი ჩემს კაპიტანში გამოჩენილი მეკობრე იცნეს, ამისათვის აფიცერმა გვიბრძანა ნაპირს წავსულიყავით.

კაპიტანმა ყოველი ღონის ძიება იხმარა, რომ მე გავემხნევებინე; იმან მითხრა, რომ შენ არავითარი განსაცდელი არ მოგელის, თუ ჩემს რჩევას დაუჯერებო და შენ იმას იზავ, რასაც გეტყვიო; ამასთანავე ჩუმად უნდა იყოვო. განჩუმება ადვილი იყო, მაგრამ სულის მღელვარების დამალვა კი მეძნელებოდა. საბედნიეროდ ჩემი ნაპირას გასვლა არ ისურვეს. მე ორის მენავეთი ნავში დავრჩი.

მარტო კაპიტანი წარსდგა ინსპექტორის წინაშე, მაგრამ ჩვენ ისე ახლო ვიყავით ზღვის ნაპირზედ, რომ კარგად მესმოდა კაპიტანის საჩივარი, დარწმუნება და განმარტება, რაიცა იმედს მაძლევდა. ამასთანავე მე პირველად გავიგე, რომ ის ვერც ერთს საგანზედ ისე ვერ ილაპარაკებდა, რომ ფიცი არ დაეყოლებინა.

იმან ამისთანა მჭევრმეტყველებით გაიმარჯვა; კაპიტანი მალე დაბრუნდა და გამოგვიცხადა, რომ ჩვენ არაფერი დაგვაბრკოლებსო.

გემის მოუსვლელობამ და ჩვენმა უნებლიეთ გამოსვლამ ნაპირზედ კაპიტანს პლანი შეაცვლევინეს. ერთს მენავეს უბრძანა ნავი ნაპირისკენ წაეყვანა და მივეყვანეთ ლანტერნამდის ანუ მაიაკამდის. როდესაც ჩვენ იქ მივედით, კაპიტანმა მითხრა, რომ უმჯობესი იქნება სან-პიერ არენამდის ფეხით წავიდეთო.

მე არაფერი ვუთხარი. მე ისე მექცეოდენ, როგორც მაშინან ანუ საქონლის ცალს. როდესაც ჩვენ სან-პიერ არანამდის მივედით, კაპიტანი ზღვის ნაპირას დაჯდა, რისაგამოც მეც იმის მაგალითს მივყევი. ჩემს თავში ათას-ნაირი ფიქრები ირეოდენ; ყველა ის ფიქრები მახსოვს, მაგრამ სიტყვით მათი გამოთქმა შეუძლებელია. სიზმარში ნახული კაცებიც თითქოს გვახსოვს; მაგრამ როდესაც მათ აღწერას განვიზრახავთ ხოლ-

მე, მაშინ ისინი გვისხლტებიან ისე, როგორც ჩრდილი გაუსხლტება ხოლმე ხელიდამ ბავშვს, რომელსაც უნდა იმის დაჭერა. მშობლების სახლს, მამულს, მეგობრებს,—ამდენს ჩემთვის ძვირფასს საგნებს მალე დავშორდებოდი დიდის მანძილით. მე ჯერ ისევ ჩემი ქვეყნის ადგილზედ ვიყავ; მაგრამ ჩემთვის აქ არც ბედნიერება იყო, არც მოსვენება. ის ადგილი, რომელზედაც მე ეხლა ვიდექი, იქნება უკანასკნელად მიწვამდა ფეხებს. რაღაც ბოროტი ხმა გვნესოდა ჩემს მღელვარე გულში, როგორც ტყეში ქარი.

კაპიტანმა გამომიყვანა ამ შავის ფიქრებიდამ, როდესაც დამანახვა პატარა ნავი, რომელიც ჩვენ დავტოვეთ და ახლა ჩვენს პირდა-პირ იდგა. იმაში ვიღაც კაცი იყო და რაღასაც გვანიშნებდა. — «დროს ნუ დავკარგავთ,» მითხრა კაპიტანმა და ჩვენ ნავისკენ გავეჩქარეთ. თვითონ კაპიტანმა მოუსვა ნიჩბებს და მივედით იმ გემთან, რომელსაც ამდენს ხანს ველოდებოდით. ეხლა კი დავადექით საფრანგეთის გზას.

თუმცა ბევრი დაბრკოლება გამოვიარეთ, მაგრამ თერთმეტი საათის მეტი არ იყო, როდესაც ჩვენ სან-პიერ არანდას გავშორდით. ისეთი მშვიდი ღამე იყო, რომ ზღვას მოძრაობა არ ეტყობოდა. განთიადისას ჩვენ ვიგრძენით ქარის ამოვარდნა; მაშინვე იალქნები ავუშვით, და მე შევნიშნე, რომ ჩვენი გემი საჩქაროდ წავიდა. მთვარე მთელს ღამეს იდგა; რამდენიც მივდიოდი, იმდენი უფრო ჰქრებოდა სახე სამშობლოს ნაპირებისა და ბოლოს სრულიად მოგვეფარა იგი თვალიდამ. მხოლოდ მაშინ ვიგრძენ სამშობლოდამ ჩემი განდევნა. სანამ ჩემი ქვეყნის ნაპირებს ვხედავდი, მე არა ვგრძნობდი, რომ მე აღარც სახლი მაქვს, აღარც სამშობლო და რომ იქნება დედა ჩემი არას-ოდეს აღარ მენახა. ვისაც არ გამოუცდია, ის

ვერ გაიგებს, თუ რა ძრიელი მანუგეშებელია იმ საგნების ნახვა, რომლებსაც შეჩვეული ხარ. იმ დროს, როდესაც ლანტერნის მდებარეობა მიმეფარა თვალიდამ, ვიგრძენ, რომ მეორედ მაშორებდნენ ძვირფას მეგობრებს და მე აღმეშალნენ მოგონებანი წარსულის ბედნიერებაზედ, ყმაწვილობის დროზედ, სიხარულზედ და იმედზედ, რომელნიც არასოდეს აღარ დაუბრუნდებიან განდევნილს კაცს.

ამ დროდგან მე უნდა გავმხდარიყავ მაწანწალა დედა-მიწის ზურგზედ; თვით ჩემი თავისუფლება და სიცოცხლე ჩემ ხელთ აღარ იყო, არამედ იმათ ხელთ, რომელნიც ეხლა ჩემთან იყუნენ.

მომივიდა თუ არა ეს ფიქრი, ეხლა უფრო გულმოდგინედ გავკვირდებოდი ამ კაცებს, სინამ წინად. კაპიტანის გარდა აქ კიდევ სამი კაცი იყო. ერთმა მათგანმა ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზედ. დანარჩენს ორს კი ჩვეულებრივი შეხედულობა ჰქონდა; მაგრამ იმ კაცს, კი რომელზედაც მე ვამბობ, ათას-კაცში გაარჩევდი. ის წინა სკამზედ იჯდა, მაშასადამე ჩემს სიახლოვეს.

ვის არ გამოუცდია ის გამოურკვეველი უსიამოვნო გრძნობა, რომელიც აწუხებს კაცს, როდესაც პირველად ნახავს რომელსამე უცხო პირს? ვის არ გამოუცდია ზოგიერთა პირებისადმი ის ინსტინკტიური ზიზღი, რომელიც ხანდისხან ისე ძლიერია ხოლმე, რომ გვიჩლუნგებს გონებას, თუ რომ დიდხანსა ვრჩებით იმ საზოგადოებაში, სადაც ისინი არიან, თუმცა ყოველისფერში ვერიდებით მათ?

სწორედ ასე მომივიდა მეც, როდესაც დავაცქერდი იმ ერთს მეცემეთაგანს. იმისი ვიწრო შუბლი, ქერა, ჯაგრის მსგავსი თმა და იმის პირი მაგონებდა მისტრის რედკლიფის

რომანის ერთს გმირს; ამ რომანს ერქვა: მოსანანიებელი პირშავის ცოდვილებისა და ძალიანაც მიყვარდა იმის კითხვა ყმაწვილობის დროს. ეს გმირი იყო სპალატრო; მეც იმავ წამს ეს სახელი დავარქვი იმ კაცს, რომელიც ჩემ თვალ-წინ იყო. იმის გაბოროტებული დაშტერება სრულიად ეთანხმებოდა ჩემს სიძულვილს. იმის შემდეგ, როდესაც ჩვენ პირველად შევხედეთ ერთმანეთს, იგი ცდილობდა ჩემთვის აღარ ეცქირნა, გარდა იმ წამებისა, როდესაც შემატყობდა, რომ მე სხვა ფიქრებით ვიყავ გართული.

ჩვენ რამდენსამე ხანს გაჩუმებულნი მივცურავდით, როდესაც უეცრად ოქროთი გატენილი ქისა ამომივარდა ჯიბიდამ და რამდენიმე ოქრო ძირს დაიპნა. ყველა ცდილობდა საჩქაროდ აეკრიფნათ, რომ არსად ჩავარდნილიყო. სუყველა აკრიფეს და მე დამიბრუნეს; მაგრამ როდესაც სპალატრომ დამიბრუნა ნაპოვნი ოქრო, სახეზედ ანგარების მოყვარეობა დაეტყო და გაუმაძღრობა შევამჩნიე. ამის გამო მომხდარი მცირე აყალ-მაყალი მალე მიწყნარდა, მხოლოდ იალქნების ლაწა-ლუწი და ჭრიალი არღვევდა მყუდროებას. ეტყობოდა ჰაერი იცვლებოდა. გემმა ქანაობა დაიწყო. მაგრამ, თუმცა მე ხშირად ზღვის ავად-მყოფობით ვიტანჯებოდი, ეხლა კი კარგად ვგრძნობდი ჩემს თავს და ისევე ვსწევდი თამბაქოს, როგორც გამოცდილი მეგემეები. ამ ავათმყოფობიდამ განთავისუფლებას მე ჩემს განსაკუთრებულს სულის მდგომარეობას ვაბრალებ.

მე მალე შევნიშნე ჩემს თანამგზავრებს რაღაც მოუსვენრობა. ჩემი ამხანაგები ხან ცას შეხედავდნენ და ხან ზღვას აცქერდებოდნენ. განსაკუთრებით უფრო კაპიტანს უყურებდნენ; მაგრამ ის ისე მშვიდად ეწეოდა თამბაქოს, რომ, გეგონებოდა, იმან არც კი იცოდა რა საშიშია შავი ღრუბლები, ქარიშხალი და

მრისხანე ტალღები. რამდენსამე ხნის უკან კაპიტანმა უბრძანა იალქნები ჩამოუშვათ და ნიჩბებისთვის მოეკიდათ ხელი. ამ ბრძანებამ დანარჩენნი მდუმარებიდამ გამოიყვანა. სპალატრომ ბრაზიანის ხმით იკითხა: «რატომ არ ვცდილობთ ნაპირს გავიდეთ და ქარის ჩავარდნას მოვუცადოთ?» პასუხის მაგივრად, კაპიტანმა უბრძანა ხელი ნიჩბებისთვის მოეკიდნათ და აესრულებინათ იმის ბრძანება, ამასთანავე დაუმატა, რომ ბრძანებას ვარ დაჩვეულიო და ვერ მოვითმენ, რომ ჩემი ხელ-ქვეითები მე არ მემორჩილებოდნენო. სპალატრომ აამაღლა ხმა და სთქვა, რომ ის თავის თავს განსაცდელში არ ჩააგდებს, რადგანაც არ იცის საგანი, რისათვისაც უნდა გასწიროს თავი. მოთმინებიდამ გამოსულმა კაპიტანმა ორი დიდი თითი გადააჯვარედინა, აკოცა მათ მხურვალედ და დაიყვირა:

— ამ წმინდა ნიშანს გეფიცებით, რომ თქვენ მე დამმორჩილდებით! თქვენ დათანხმდით ჩემთან საფრანგეთში წამოსვლას, რისათვისაც ნახევარი ფასი მიიღეთ და უნდა წამოხვიდეთ კიდეც! ეს ამ ბატონის სიცოცხლეს და სიკვდილს შეეხება,— დაუმატა მან და მოუთითა ჩემზედ, და აი მიზეზი, რისათვისაც არ გავდივარ ნაპირს.

— როდესაც ჩვენ დაგვიჭირეთ, თქვენ მე მითხარით, მიუგო სპალატრომ და მრისხანედ შემომხედა:—რომ ეს კოტრია და თავის მოვალეებს ექცევაო. ეხლა ვიცი ნამდვილი გარემოება. მაგრამ, იმისთვის, რომ ერთი კაცი გადაარჩინო, ოთხი კაცი როდი უნდა დაღუპო.

ამ სიტყვების შემდეგ მან გაუშვა ხელი ნიჩაბს, და ორს იმის ამხანაგებსაც ეტყობოდათ, რომ ასევე უნდა მოქცეულიყვნენ. კაპიტანმა აღარ მოუცადა მათ, ეძგერა სპალატროს, სტაცა საყელოში ხელი და ისე ძალიან ჩაახეთქა გემის ძირ-

ში, რომ შეიძლებოდა მოსტეხოდა რამე. მერე მოავლო ნიჩაბს ხელი და თითო მოსმით ისე გადაახტუნებდა ხოლმე გემს, რომ გეგონებოდა იმის მკლავებში ათი კაცის ძალა მოგროვდაო. შეშინებულმა დანარჩენმა ორმა მატროსმა ხმა აღარ ამოიღეს, მაგრამ ჩუმად კი დრინავდენ.

გაშმაგებულს ქარსა და კაცის ენერგიის შორის ბრძოლა ორს საათს გაგრძელდა. ბოლოს ქარი ცოტა ჩავარდა და შიშმაც ცოტა გადაგვიარა. კაპიტანი წინანდებულად ჩემს გვერდით დაჯდა, ანიშნა მოღრუბლულს და გაჩუმებულს სპალატროს, რომ თავისი ადგილი დაეჭირა. სპალატრო დაემორჩილა, როგორც ძაღლი, რომელსაც თავის პატრონი სცემს.

## თავი XXXV

### გაქცეული

მთელმა ღამემ ისეთ სიჩუმით გაიარა, რომ ამისთანა სიჩუმე მაშინაც კი მოსაწყენია, როდესაც კაცი თავისთავს კარგათ ჰგრძნობს. ამ სიჩუმით ვისარგებლე და დავიწყე ფიქრი ისეთ საგნებზედ, რომლებიც მე კიდეც მაწუხებდენ და კიდეც მაშინებდენ.

რამდენიც ღამის სიბნელე გვეხვეოდა გარს, უფრო მიცხოვლდებოდა ის უსიამოვნო გრძნობა, რომელიც მთელს დღესა მტანჯავდა. ჩემი თავი ინთებოდა; საფეთქლები მიცემდენ, თითქოს გახეთქას ლამობდნენ; მთელმა ჩემმა ტანმა ცახცახი დაიწყო. ჩემი ოცნება წინ მიყენებდა ათას ნაირს ფანტასტიურს და საზიზღარს სურათებს. ამაოდ ვცდილობდი ჩემი თავი მეკა

დამემშვიდებინა; ამაოდ ვცდილობდი გამეფანტა ეს წყეული მოჩვენებანი, რომელნიც არყევდენ ჩემს ტვინს. ჩემს თავს ვეღარ ვიჭერდი. რომ აგიხსნათ, თუ მე რად მომივიდა ასე, საჭიროა დავუბრუნდე წარსულს.

ჩემი ასრეთი მდგომარეობა იმ ღამიდამ მოკიდებული, როდესაც მე უნდა დავეტუსაღებინეთ, მგონია, ყველას გააკვირვებს სულისა და გულის ტანჯვა თითქმის არ მეტყობოდა; მაგრამ ეს მხოლოდ გრძნობების თავის შემაგრება იყო. ამ გაყინულის ზეწარის ქვეშ იგინი უჩინრად და შემაწუხრად მუშაობდენ. უნდა დამდგარიყო დრო, როდესაც მღელვარე სულის ტალღები გახევდენ თხელს ზეწარს, და როდესაც ჩემს თავში მოხდებოდა წარღვნა.

მეხუთე ღამე იყო, რაც არა მძინებოდა. ოთხი დღისა და ღამის განმავლობაში, რომელიც გავატარე დედ-მამის სახლის გარედ, მე მოუსვენარს მდგომარეობაში ვიმყოფებოდი. ამ ოთხი დღე და ღამის განმავლობაში ჩემს პატარა ოთახში წინ და უკან დავდიოდი. მე თითქმის არაფერსა ვსჭამდი. იმ შინაგან ავადმყოფობისა გამო, რომელსაც მე ვგრძნობდი, ჭამისათვის არა მცხელოდა. მხოლოდ ხანდისხან ცოტაოდენს თეთრს ღვინოსა ვსვამდი, რომ არ დავუძლურებულვიყავ. მე ასე მგონია, რომ აგერ ვხედავ პატარა სტოლს, რომელზედაც ბოთლი და სტაქანი იდგა, ძველს დახეულს მებელს და ხატს ღვთის მშობლისას, რომელიც თავით მესვენა. ჩემი მდგომარეობა ცოტა არა საშიში იყო. ერთი უბრალო რამე სრულიად ჩაგვიფუჭებდა ამდენს სიფრთხილეს. ჩემი გული დარდითა თროთდა დედა-ჩემის განშორებისა გამო; ამას ერთობოდა ის მწუხარებაც, რომ მე, ჩემდა უნებურად გავხდი მიზეზი ჩემის ძმის კამილოს დატუსაღებისა. ამას გარდა

ძალიან ვსწუხდი ჩემს მეგობრებზედ და ამხანაგებზედ, რომლებიც ან დატუსაღებულები იყვნენ ან და უნდა მოლოდებოდნენ დატუსაღებას.

მაგრამ ეს მწუხარებანი არაფერი იყვნენ იმ მწუხარება-სთან, რომელსაც ჩემს ძმა ცეზარზედ, ჩემს საყვარელ მეგობარ და ამხანაგ ცეზარზედ, რომელთანაც ჩემი სიყმაწვილე გავატარე, დავიწყობდი ხოლმე ფიქრს. მე იმის შესახებ რაღაც წინად გრძნობანი მიტანჯავდნენ გულს. წინად-გრძნობანი ხომ ხშირად ასრულდებიან ხოლმე.

თუ რომ მკითხველი წარმოიდგენს ამ ზნეობრივ ტანჯვას, გულის ხეთქას, რომელიც მე გამოვცადე ამ დროს განმავლობაში, ჯანის სისუსტეს, რომელსაც ვგრძნობდი უჭმელობისა და უძილობისაგან, იმას აღარ გაუოცდება, რომ მე გავხდი მსხვერპლი საშინელის ცხელებისა, რომლისგანაც კინაღამ ჭკუაზედ შევიშალე.

ამ ავადმყოფობის გამო არა მშორდებოდა ის აზრი, რომ იმ კაცებს, რომლების ხელშიაც ვიმყოფებოდი, ჩემგან ადვილად შეეძლო განთავისუფლებინათ თავი. ვინ უშლიდა მათ გავექურდე, მოვეკალით, გადავეგდე ზღვაში და ეთქათ, რომ მათ უვნებლად მიმიყვანეს სამფრანგეთში? ვინ გაუმტყუნებდა მათ ამ ჩვენებას? მე ათას ნაირ დაბრკოლებას ვიგონებდი, და დავარწმუნე ჩემი თავი, რომ მე ისე ადვილად ვერ მივიდოდი დანიშნულს ადგილას, როგორც ერთი ცალი საქონელი. ამ ცალს აქვს სია. და თუ მას თავის ადგილას არ მიიტანენ, მიმღები მაშინვე გამოძიებას მოახდენს. მე ვინ მიმელოდებოდა? და ან როგორ დაამტკიცებენ, რომ მე ამ გემზედ ვიყავ? ჩვენ არც არავინ გვინახავს და არც არავის დავლაპარაკებივართ სან-პიერ არენას აქეთ. მეგემეებმა იცოდნენ, რომ მე

კარგა ოქრო მიმქონდა თან; იმათ ნახევარი ფასი უკვე მიღებული ჰქონდათ, და როდესაც გზნუაში დაბრუნდებოდენ დანარჩენსაც იქ მიიღებდენ ჩემი მშობლებისაგან, ისინი არც კი გამოიკითხავდენ — მიმიყვანეს დანიშნულს ადგილას თუ არა. მგონია, ბევრი წელიწადები გავა, სინამ ჩემს ბედს გაიგებდენ.

უბრალო რამ შემთხვევანი აძლევდენ საზრდოს ჩემს ოცნებას. გემზედ ერთი დიდი ქვა იდო, რომელიც, ეჭვი არ არის, ენდომებოდათ რისთვისმე. მაგრამ, როდესაც მე მას დავაშტერდი, ასე მეგონა ეს ქვა ყელზე უნდა შემაბან მეთქი. . . აი ზღვა ერთს ადგილას ჩაიხვრიტა, მას თან მოსდევს ჩქაფუნი; შემდეგ მყარდება საშინელი სიჩუმე; ზღვა წინანდებულ სანახაობას წარმოადგენს; მცირედი კვალიც არ დააჩნდება იმ ბოროტ-მოქმედების, რომელიც აქ მოახდინეს. ბოლოს, გათენდება,—ერთი კვირის ან იქნება ერთი თთვის შემდეგ ზღვის ტალღა გამოაგდებს ისე დასახიჩრებულს კაცის გვამს, რომ თვით საყვარელი დედაც კი ვეღარ იცნობს. ხალხი იკრიბება, შიშით და ზიზღით შინჯავენ კაცის გვამს, რომელსაც კაცის სახე აღარ ეტყობა . . . მე თვით ბოლომდის ვხედავ ამ ამბავს.

არ შემიძლიან წესზედ მოვიყვანო ამ ღამის საშინელი მოგონებანი. სხვა-და-სხვა წარმოდგენანი ნათლად აღმებეჭდენ გონებაში. მაგრამ მათ შორის კავშირი სრულიად გაჰქრა ჩემის მეხსიერებიდამ. მე განსაკუთრებით ვიგონებ ერთს შემთხვევას, რომელსაც სხვა დროს ყურადღებას არ მივაქცევდი, მაგრამ რომელიც მაშინ რაღაც წინასწარ მეტყველ მოვლენად მეჩვენა.

მთელის ღამის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ ვნახე, სპალატრო როგორ დაიხარა და თავის ამხანაგს რაღაც უჩურჩულა ყურში; იმანაც თავი დაუქნია. ეს საკმაო იყო, რომ ჩემი ფიქრებისათვის სხვა გზა მიეცა და დავერწმუნებინე,

რომ, რაც მოსახდომის, მალე მოხდებოდა. «ეს ხალხი», ვამბობდი ჩემთავად, «უსათუოდ ჩემ წინააღმდეგ რამეს ფიქრობს.» რაკი ეს აზრი მომივიდა, თან-და-თან უფრო-და-უფრო ვამიცხოვლდა. დიაღ, ისინი სწორედ ჩემს დაღუპვას ფიქრობენ. განა იმავ დღიდგან არ ვეუბნებოდი ჩემს თავს, რომ ამათთვის ისე ადვილი არაფერია, როგორც ის, რომ მალე მომიშორონ თავიდამ მეთქი.

რამდენისამე წამის უკან სპალატრომ ამოიღო ჯიბიდამ ჩიბუხი და დაიწყო წევა. მე იმის მოძრაობას და მოქმედებას ისე ვადევნებდი თვალს, როგორც კაცი, რომელმაც იცის, რომ იმის სიცოცხლე ბეწვზედ ჰკიდია. მეზობელმა სპალატროს რაღაც უთხრა. «ცოტა მოიცადე», — მიუგო მან. მე ნამდვილად გავიგე ეს სიტყვები და მათ მოუღეს ბოლო ჩემს ეჭვს. ამაზედ ცხადი რაღა იქნება?

რაკი არ მინდოდა ჩემის ნებით გავმხდარიყავ მსხვერპლი ამ გარემოებათა, მე მოვიხმარე ყოველივე ღონისძიება, რომ დამემალია იგინი; მაგრამ ამაოდ. არა ერთხელ მითქვამს ჩემის თავისათვის: «ყოველივე ეს მხოლოდ არეული ფიქრების შედეგია,» მაგრამ ერთის წამის შემდეგ, ერთი სიტყვა, ერთი მოძრაობა, ერთი დაცქერება სპალატროსი საკმაო იყო, რომ ძველი შიში ისევ გამცხოველებოდა. ერთი სიტყვით მე თითქოს ორ არსებად გადავიქეცი: ერთი იყო უჭკუო, მეორე ჭკუიანი, ფსიხელი, რომელიც პირველს იცოდებდა და ცდილობდა დაეყენებინა ჭეშმარიტს გზაზედ.

«გულიანად ძილს მაინც რატომ ველარ ვახერხებ,» ვფიქრობდი მე, «რომ ან სულ აღარ გავახილო თვალები, თუ რომ ამ კაცებს მართლა უნდათ ჩემი სიკვდილი და ან გამოვიღვიძო მხოლოდ საფრანგეთში!» მაგრამ ამ ნაირად ჩემის

თავის დარწმუნება, ამ მდგომარეობიდამ თავის დახსნის საშუალების გამოძებნა, მაშინ, როდესაც ზნეობითად და ფიზიკურად დასუსტებული ვიყავ, — საშინლად ძნელი იყო. სიტყვებით ამის გამოთქმა არ შეიძლება. ჩემდა საუბედუროდ თვით ბუნების მდგომარეობაც სრულიად შეეფერებოდა ჩემს შავს ფიქრებს. ცაზედ მსრბოლავნი შავი ღრუბლები, წამ-და-უწუმ ჰფარავდენ მთვარეს; სამწუხარო სანახაობა იყო. ეტყობოდა კარგი ხანი გასულიყო, რომ კაპიტანი ძილისაგან თავს ძლივს იმაგრებდა. რამდენჯერმე მირჩია, რომ დამეძინა როგორმე; მაგრამ იმის რჩევა ამაოდ რჩებოდა; მე ვერა ვბედავდი. ბოლოს მეორედ უარის თქმის შემდეგ, რის მიზეზიც მას ვერ გაეგო, მან თვითონ ისარგებლა იმ რჩევით, რომელსაც მე მაძლევდა. იგი დაწვა და მალე ამოუშვა ხვრინვა.

ამ კაცის აქ ყოფნა, რომელმაც იმ საშინელს ღამეს მაგარი ხასიათი და ერთგულება გამოიჩინა, ჩემზედ კარგს გავლენას ახდენდა. იმასთან ერთად გაჰქრა უკანასკნელი ნაპერწკალი ჩემის კეთილ-გონიერებისა, და მე ისე ვუცქეროდი ჩემს თავს, როგორც დაღუპულს. ამ წუთიდგან მე აღარ ვიბრძოდი ჩემს მოჩვენებებთან და გავხდი მათი ყურმოჭრილი ყმა.

ხანდისხან სპალატრო ისეთ უზარ-მაზარ კაცად მეჩვენებოდა ხოლმე, რომ თავი ცაში ჰქონდა მიბჯენილი; ხან იმის ხელები წარმოადგენდნენ საშინელებას, თითქმის ჩემსკენ იყვნენ გამოშვერილნი, რომ დავეჭირეთ; ხან იმის თვალები ისე ელავდენ, როგორც ნაკვერჩხლები. იგი მეღმიჯებოდა მე და მუშტს მიჩვენებდა. ერთხელ მთელს ღამეს მელაპარაკებოდა და იმის ხმა ისე მესმოდა, თითქოს ცხედრისთვის ზარს უკრავენო.

— უმჯობესი არ იქნება დაწვეთ და დაიძინოთ? წარმოსთქვა მან.

იმას რომ პირდაპირ ეთქვა: «დაწექით, მე თქვენ მოგკლავთ»,— მაშინაც არ იქნებოდა ჩემთვის ის სიტყვები ისე ცხადი, როგორც ეხლა. მაგრამ დრო არის მოუღო ბოლო ამ დაუსრულებელს და მომაკვდინებელს გულ-გონების ტანჯვას. არის რაღაც საზიზღარი და დამამცირებელი კაცის ბუნებისა იმ დროს, როდესაც გონება ჩლუნგდება წარმოდგენილ საშიშროებასთან ბრძოლაში. მე განგებ ვხმარობ სიტყვას: წარმოდგენილს. მე მინდა რომ ჩემი აზრი კარგად გაიგოთ. იმ სიმძულვილის გარდა, რომელსაც სპალატრო გრძნობდა ჩემს შესახებ და რომელიც მეც აგრეთვე მძულდა, უეჭველივე დანარჩენი შიში წარმოსდგებოდა ჩემი დასნეულებულის ტვინისაგან.

ცის დასავალზედ გამოჰკრთა სინათლე და მიმქრალდენ ვარსკვლავები. თეთრი ვარსკვლავები, თეთრი ბურუსი მოედო ზღვას. ეს ღამე აღარ იყო, მაგრამ არც დღედ ჩაითვლებოდა. სპალატრომ რაღაც უჩურჩულა თავის ამხანაგს. ამ უკანასკნელმა საჩქაროდ ჩაიყო ჯიბეში ხელი და რაღაც ნივთი მისცა სპალატროს. ეს ნივთი მე ცხადად გავარჩიე, — გახსნილი დანა იყო; ეჭვი აღარ იყო, რომ ეს დანა პურის მოსაჭრელად ამოიღეს. მაგრამ მე კი ამან ბოლო მომიღო. უცებ წამოვხტი და წყალში გადავარდი.—«ეს გიჟია! გიჟია!» შეჰყვირა სპალატრომ. ათი წამის შემდეგ ექვსმა კაცმა ამომიყვანეს და გემში გადამიყვანეს. არავის სიტყვა არ დაუძრავს, ორივე მატროსები უძრავად იდგნენ და მიცქეროდენ. კაპიტანს ისევ ჩემი საყელო ეჭირა და თვალებში შემომცქეროდა, თითქოს უნდოდა მათში ამოეკითხა მიზეზი ჩემის საკვირველის საქციელისა. შემდეგ ერთის წამის დაშტერებისა, მან გამიშვა ხელი, წაიღო

თმაზედ ხელი და განწირულებით დაიყვირა: გაგიჟდა! გაგიჟდა!

— მე სრულიადაც არ გავგიჟებულვარ, მივუგე მე, და ვცდილობდი თავი დამშვიდებულად მეჩვენებინა, — მაგრამ მალე კი შევცდები, თუ ხმელეთზედ არ გამიყვანთ.

— თქვენ ხმელეთზედ გაგიყვანოთ! შეჰყვირა კაპიტანმა. — აი მშვენიერი აზრი! განა თქვენ არ იცით, რომ თქვენი ნაპირს გაყვანა და ზღვაში ჩაგდება ერთი იქნება. ნაპირს! ეს ხომ ნამდვილად სიკვდილს ნდომულობთ! საწყალო დედა-შენზედ იფიქრე; რას მეტყვის იგი, რომელსაც ვუთხარ, რომ საფრანგეთში უვნებლად გადავიყვანთ მეთქი? ღმერთო მოწყალე! დაუმატა მან, როდესაც დაინახა, რომ იმის სიტყვებს ყურადღებას არ ვაქცევდი. — რა დაგემართა? რისა გეშინიან? ეს რას ნიშნავს?

— კაცის მკვლელები ხომ არა გგონივართ? მკითხა სპალატრომ მწარის მაგრამ არა დასამშვიდებელის კილოთი. — არ ვიცი, როგორ გაიგო მან ის, რასაც ვფიქრობდი, მაგრამ ნამდვილად კი გაიგო.

— თუ ღმერთი გწამთ, ვუთხარ კაპიტანს: — ეს ნუ გეწყინებათ; შენ ხომ მხედავ, რა ცუდათა ვარ. თუ რომ მე ამ გემს თავს არ დავანებებ, ჭკუაზედ შევიშლები; მე ამასა ვგრძნობ. გამიყვანეთ ხმელეთზედ, გთხოვთ, გამიყვანეთ.

ეს ამბავი დიდსანს გაგძელდა. უნდა მართალი ვსთქვა კაპიტანზედ: იგი იმას სჩადიოდა და მეუბნებოდა, რაც კი გადამათქმევინებდა ჩემს სურვილს. იმისი რჩევა და სვეწნა მიმართული იყო, არამც თუ ჩემი გონებისადმი, არამედ საუკეთესო ჩემ გრძნობისადმიც. მან ყოველივე ღონის-ძიება იხმარა; არა ერთხელ შეფერხდა ჩემი გაბედულობა კაპიტნის სი-

ტყვებით; მაგრამ რაღაც შემთხვევით. ყოველთვის, სპალატროს ხმა მომესმოდა ხოლმე და კვლავ აღმიძრავდა ეჭვებს. ბოლოს მე მათ ვუთხარი:

— ძალა თქვენსკენ არის; თქვენ შეგიძლიანთ ძალა დამატა-ნოთ და ჩემდა უნებურად აქ დამაგდოთ, მაგრამ ამის შედეგს კი წინადვე გატყობინებთ. მე დავკარგავ გონების იმ ნაშთსაც, რომელიც შემრჩა და თქვენ საქმე უგუნურთან გექნებათ. გადა-მსვით ნაპირას და მომეცით ნება ისე გადავირჩინო თავი, რო-გორც მინდა.

მე სხვა დასამტკიცებელ საბუთებს ველარ ვპოვებდი და ამისათვის სულ ერთსა და იმავეს ვაიძახოდი. ჩემი გული იმისგან უფრო ღელავდა, რომ ძალას ვიტანდი როგორმე შე-მემაგრებინა თავი. მე კარგად მახსოვს, რომ ხელ-მეორედ მი-ნდოდა ზღვაში გადავარდნა.

კაპიტანი, რაკი დაყვავებით ვერაფერს გახდა, გაცხარდა:

— გინდათ, თუ არ გინდათ, თქვენ უნდა წამოხვიდეთ; მე ვუბრძანებ, რომ ხელ-ფეხი შეგიკრან და თქვენს უნებურად სა-ფრანგეთში გადაგიყვანთ.

ეს სიტყვები ჩემს სახეზედ უსათუოდ საშინელს ცვლი-ლებას მოახდენდა, რადგან კაპიტანმა მალე შესცვალა ლაპარა-კის კილო: «არა, არა, ნუ გეშინიან; მე სრულიადაც არ ვი-ზამ იმას, რასაც ვამბობ. შენ შეგიძლიან ისე მოიქცე, რო-გორც გინდა.

— გადამიყვანეთ ხმელეთზედ რაღა.

— ძალიან კარგი, და შენი სისხლი შენვე მოგეკითხოს. ღმერთია მოწამე, აგრეთვე ეს კაცებიც, რომ თქვენ რომ დიდი ჩემის შვილი ყოფილიყავით, იმაზედ მეტს სიკეთეს ვერ გიზამ-დით, რაც ეხლა მინდოდა მექნა.

— მე ვიცი ეგა, მე მაგაში დარწმუნებული ვარ.

ჩვენი გემი, როგორც ვფიქრობდი, ხმელეთზედ შვიდი ვერსის სიშორეზედ იყო. მზე, რომელიც საკმაოდ მაღლა ამოვიდა, უხვად აფენდა სხივებს პატარა ქალაქს, აშენებულს მაღლობ ადგილზედ. გადაწყვეტილი იყო გავეშვით ქალაქის ბოლოზედ და იმისათვის ჩვენ იქით გავეგზავრეთ. ამ დროს მე გამოვიცვალე ჩემი დასველებული ტანისამოსი და სხვა ჩა-ვიცვი. ტანისამოსს ძალიან ნელა-ნელა ვიცვამდი, და როდესაც გავათავე, ჩვენ ორ-ასი საჟენის სიშორეზედ ვიყავით. მე გავახილე თვალები... ოხ, საშინელებავ! თმები ყირაზედ შემიდგნენ იმ სანახაობისგან, რომელიც მე დავინახე. წამოვხტი ზეზედ და ხელებ გაშვერილმა დავიყვირე: «ხედავთ თქვენა? იმათ დაუ-ღრჩვიათ!»

მართლაც, მე ისე ცხადად ვხედავდი, როგორც ვხედავ ასოებს, რომლებსაც ეხლა ვწერ ქაღალდზედ,—სამს საღრჩო-ბელას, ზღვის ნაპირას ამართულს. ყველა მათგანზედ თი-თქო კაცი ეკიდა და მათ ქვეშ იდგა შავებში ჩაცმული დედა-კაცი. ის კაცები, რომლებიც ჩემთან იყვნენ, შეშინებულნი უყუ-რებდნენ ჩემს მოძრაობას. ისინი ხან მე მიყურებდნენ და ხან ნა-პირისკენ გაიცქირებოდნენ, სადაც იგინი არაფერს არა ხედავდნენ აღმართული კლდეების მეტს, რომლებიც მე საღრჩობელებად მომეჩვენენ. რამდენიც ვუახლოვდებოდით ნაპირს, იმდენი უფ-რო ცხადად ვხედავდი საღრჩობელებს, მაგრამ როდესაც ნაპირს მივედით, მე დავინახე უსწორმასწოროდ აღმართული კლდეები. ეს ადგილი ასახსნელია. ეს საგნები, რომელნიც მე საღრჩობე-ლები მეგონენ, ცოტა ჩვენს მარჯვნით იმყოფებოდნენ; რამდენ-სამე მანძილზედ იგინი პირ-და-პირ მოჩანდნენ, მაშინ როდესაც

ნაპირზედ იგინი გვერდზედ დავინახეთ. აქედამ წარმოსდგა მათი ფორმის შეცვლა.

მე ის იყო გადავდიოდი გემიდამ, როდესაც გავიგონე სპალატროს სიტყვები: «ჩვენ ვინ მოგვცემს ფულს?» ამან მომაგონა ის ქაღალდი, რომელიც მისვლისას კაპიტნისთვის უნდა მიმეცა და რომლის წარდგენისათანავე იგი მიიღებდა დანარჩენ გარიგებულ ფულს. იმ ქაღალდის ძებნაში მე ჩემი პასპორტი ვიპოვნე. რაკი არ მინდოდა, რომ მეგობარი, რომელმაც ეს პასპორტი თავის სახელით მომცა, განსაცდელში ჩამეგდო, ამისათვის მე ის ნაჭერ-ნაჭრად ვაქციე და გადავაგდე ზღვაში. ამის შემდეგ კაპიტანს მივეცი ქაღალდი და ვუთხარი:

— აი ბილეთი ფულის მისაღებად. მშვიდობით და მაპატიეთ დანაშაული!

ეს სიტყვები საჩქაროდ წარმოვსთქვი და გავიქეცი დედა-მიწაზედ.

საკვირველი ქმნილებაა კაცი. ამ ერთი წამის წინად ვინ იცის რა არ მელანდებოდა, ჭკუაზედ ვიშლებოდი, ეხლა კი ვგრძნობდი ფხიზელს გონებას და შორს გამჭვრეტელობას. მე ისე არ ვერწმუნებოდი მატროსებს, რომ გადავწყვიტე გავშორებოდი, რაც უნდა მომსვლოდა, ეხლა კი როდესაც მე მათ ვშორდებოდი, ვგრძნობდი, რომ მათ წინაშე მე დანაშაული ვიყავ, რისაგამოც მე მოტევება ვსთხოვე.

(დასასრული შემდეგ წიგნში)

## ბერუას ჩივილი.

ყველა მე ჩამომეკიდა: მამასახლისი, გზირია...
როგორ არა ვთქვა ბეჩავმა მეც ჩემი გასაჭირია?...
ფული მემართა ვაჭრისა «რიგისთვის» აღებულია,
თავნში პურ-ღვინოს დამჯერდა, ვახშში მივეცი ფულია.
აგი გაუწყრა ღმერთია და მიშილთახს წყეულმა,
ვალი მომთხოვა მეორედ, ღვინოზედ შემოჩვეულმა:
ხელ-ახლათ წამომიარა, სულით ხორცამდის გამცალა...
ნათლია მამასახლისმა ერთს თუნგს არაყში გამცვალა!...
არ შემარჩინეს ზედაშე, გოჭი, ქათამი, წიწილა,
არც საბუდარში კვერცხები,—გამომილიეს სინსილა!...
ბეო გაჭარი ჩემს სახლში ნავარდობს როგორც ქორია,
გზირიც არყისგან გამტყვრალი გოროზობს როგორც ლორია!...
რა ვქნა, რა წყალში ჩავარდე, რით მოვიცილო ჭირია?...
— ყველა მე ჩამომეკიდა: სოფლის მოხელე, გზირია...

თ. რ. ერისთავი.

1 გიორგობისთვეს 1883 წ.

# მოკლე განხილვა საქართველოს მხედრობისა 1089—1222 წლამდე.

მეთერთმეტე საუკუნის უკანასკნელ ხანებში, ესე იგი, იმ დროს, როცა მოკვდა სულტანი მელიქ შაჰი, მფლობელი სპარსეთისა, ასურეთისა და მისირიისა[1]) და, როცა გამოვიდნენ ფრანგნი, აღიღეს იერუსალიმი და ანტიოქია, საქართველოს სამეფო ტახტი დაიპყრა დავით აღმაშენებელმა.—მან შეავსო, გაავრცელა და გააწყო ივერიის სახელმწიფო, რომლის სამზღვარნი იყვნენ: ჩრდილოეთისკენ—დიდი კავკასიის მთები, სამხრეთისკენ—არაქსის მდინარე და მტკვრის ბოლო, დასავლეთისაკენ—შავი-ზღვა ნიკოფსიდან [2]) ვიდრე ჭოროხამდე და აღმოსავლეთისაკენ—გურგენის (კასპიის) ზღვა დარუბანდიდან[3]) მტკვრის ბოლომდე.

დავით აღმაშენებლის შემდეგ მეფეთა დიმიტრი I-მა, გიორგი III და თამარმა, (1125—1212) განაგრძეს წესი და რიგი თავიანთ დიდებული წინაპარისა. ამათ მეფობის დროს საქართველომ არა თუ განისვენა მტერის განუწყვეტელ თავს დასხმისა და აოხრებისაგან, არამედ თვით პირ-იქით აწუხებდა

---

1) მისირი —ეგვიპტე.

2) ნიკოფსი—ციხე-ქალაქი სუხუმის დასავლეთისაკენ.

3) დარუბანდი—დერბენტი

სპარსელთა და ასურელთა. — თამარის მეფობის დროს, საქართველოს არა ერთხელ გაულაშქრნია სპარსეთისაკენ თავრიზამდე და ასურეთისაკენ შორს გასცილებია ტრაპეზონსა და არზრუმსა. —

ამ სახელოვანს დროს საქართველოისას დაწყობილება სახელმწიფოისა ეშესაბამებოდა ფეოდალურ ცხოვრებასა შუა-საუკუნოებისასა ევროპაში და ლაშქრობისა წესი მოქმედებდა იმ სამხედრო ხელოვნების[1]) მოთხოვნილებითა, რომელიც წინა-საუკუნეებში შეითვისეს ქართველებმან ბერძენთაგან. საკუთარი საქართველოისა სამეფო, ე. ი. ლიხთ-იმერეთი, ზემო და ქვემო ქართლი და კახეთი, განყოფილი იყო რამდენსამე საერისთავოდ: დასავლეთისაკენ იყვნენ საერისთავონი (ცხუმის ანუ აბხაზეთისა, ოდიშისა ანუ სამეგრელოისა, სვანეთისა, თაკვერ[2])-რაჭისა, აწინდელ იმერეთისა, გურიისა; ზემო ქართლში—სამცხისა, ჯავახეთისა, წუნაგოისა[3]) და კლარჯეთისა;[4]) მას გარდა საერისთავონი შიდა-ქართლისა; ალგეთის, ხრამის და დებედის პირსა — ხუნანისა და სამშვილდოისა; კახეთსა და ჰერეთში (ქვემო-კახეთი) იყვნენ ხუთი საერისთავონი; ხოლო ომით დაპყრობილნი ქვეყნები სომხებისა არაქსის მარცხენა პირზედა და მოსლემინთა — მტკვრის ბოლო ნაპირებზედ მორჩილობდენ ზოგან თავის მთავრებსა, ზოგან ქართველთ-

---

1) სამხედრო ხელოვნება—ВОЕННОЕ ИСКУСТВО.

2) თაკვერი—ლეჩხუმი.

3) წუნაგო—აწინდელ არდაგანის ოლქაში იყო.

4) ჭოროხის პირზე.

დიდებულებს, რომელთაც თვითონ საქართველოს მეფე ჰნიშნავდა.[1])

ერისთავნი თავის საერისთაოს განაგებდნენ, ვითარცა მთავარნი, მაგრამ ექვემდებარებოდენ მეფესა. დამოკიდებულება მათი მეფეზე ცხადი იყო არა მარტო მით, რომ მეფეს შეეძლო გადაეცა ერისთაობა სხვისთვისა — იმავე გვარისა იქნებოდა, თუ სხვა კაცი, რომელსაც ჰპოვებდა ღირსად განდიდებისა; არამედ მითაც, რომ ერისთავნი იმავე დროს იყვნენ მეფის სასახლის მოხელედაცა ქ. ი. სახლთ-უხუცესად, მანდატურთ-უხუცესად, მეჯინიბეთ უხუცესად და სხვა-და სხვა... ყოველი საერისთავო იყო ნაწილი ქვეყნისა, რომელსაც განაგებდა ერისთავი, ვითარცა სამოქალაქო მმართველი და ამასთანავე საერისთავო იყო სამხედრო სამმართველოც და შეადგენდა სასპასპეტოს და თვით ერისთავი იყო სპასალარი საერისთავო სპისა. როგორც მიღებულია, რიცხვი მაშინდელის საქართველოის მცხოვრებთა მიაღწევდა ოთხ-მილიონამდე. ხოლო თუ ვიანგარიშებთ, რომ ათას სულზედ 10 კაციდამ 15-მდე მეომარი ადვილად გამოვა, ოცი საერისთავო მაშინდელი გამოიყვანდა საომრად 40—50 ათასამდე მეომარსა. — ეს რიცხვი არ იქნება ნამეტური, თუ განვიხილავთ ლაშქრობას საქართველოისასა გიორგი III ანუ თამარის მეფობის დროს და წარმოვიდგენთ სივრცეს მაჰმადიან ქვეყნებისას, რომელნიც ეპყრათ ქართველთა მეფეთა და რომელთა შერჩენისათვის სა-

---

[1]) მაგალითებრ, დავით აღმაშენებელმა მმართველობა შირვანისა ჩააბარა სიმეონ ჭყონდიდსა, სომხების ქალაქი ანი გიორგი მე-III ჩამოართვა ვარდან დადიანსა და ეს მდიდარი ქალაქი ჯერ მისცა იოანე ორბელსა და მერე გარდასცა სარქის მხარგრძელსა.

ჭირო იყო ბევრი და ერთგული სპა. — გარდა დამახილის ჯვარისა, რომელსაც მოსცემდა სამშობლოსა ოცი საერისთავო, იმ სახელოვან დროის მეფეებს ჰყვანდათ სამუდამო სპაცა ე. ი. ლაშქარი როქითა[1]). ეს მუდმივი სპა გააჩინა დავით აღმაშენებელმა. ხოლო როდესაც შენიშნა რომ საქართველოს სპანი მარტოდ ვერ აუვიდოდენ მისგან აღნიშნულ სამხედრო განზრახვათა, თვითონვე გაემგზავრა ოვსთა იქით მცხოვრებთა ყივჩაღთა მიმართ და გარდმოიყვანა საქართველოში ორმოცი ათასი სული, დედა-წულითა მათითა.[2])—ამ სახით დავით აღმაშენებელმა თავ-და-პირველად შეადგინა მუდმივი როქის სპა, რომელშიაც იყვნენ: **15,000** ყივჩაყნი, **500** ალანი, **100** ფრანგი და **5000** სანდონი და გამოცდილნი სიმხნითა ქართველნი; ყველა ესენი იყვნენ გაწყობილნი ცხენითა და საჭურველითა და დას-დასათ დაყოფილნი. როქის სპამ შემდეგ მიაღწია **60** ათას კაცამდე.

უადგილო არ იქნება შევნიშნოთ აქ, რომ მთიულნი და ჩრდილოეთ კავკასიელნი ისე ხალისიანად მიისწრაფოდენ საქართველოს ლაშქარში ამ სახელოვან მეფეების დროს, როგორც ბალკანელი სლოვანები ბიზანტიის მხედრობაში.

ყივჩაყთა და ოვსთა ყოფნა საქართველოს ლაშქარში, შენიშნულია არა მხოლოდ აღმაშენებელის დროს, რომელმანც იცოდა მათი მამხრობა, არამედ გიორგი მეფისა და თამარის დროსაც. მაგ. **1203** წ. იგინი იყვნენ სხვათა შორის შამქო-

---

[1]) როქა—ჯამაგირი (ბერძნულით)

[2]) Brosset. — Histoire de la georg. par. I page 363.

რის ომში, სადაც ლაშქარმა თამარ მეფისამ დაამარცხა სპარსელები.

სამსახური როქის-სპისა, რომლის უფროსსაც უწოდებდენ მსახურთ ანუ მონათ-უხუცესსა იყო შემდეგი: მეციხოვნობა ციხე-ქალაქებში, რომელთაც ქვეყნისათვის დიდი სიმაგრის მნიშვნელობა ჰქონდათ; მეფესთან ქეშიკად ყოფნა და განსაკუთრებულს ადგილს დგომა ომში. ამ უკანასკნელს მოვალეობას როქის სპისას ქვემორედაც განვმარტავთ.

აშკარაა, დიდი გაძღოლა უნდოდა მუდმივს ლაშქარს **60000** კაცისას, რომელსაც ჯამაგირიც უნდა მისცემოდა, რადგანაც თვითონ სახელი როქის სპა ჯამაგირზედ დაყენებულს ლაშქარსა ჰქვიან. სჩანს იმ დროთა მეფეებს დიდი შეძლება და სიმდიდრე უნდა ჰქონოდათ.

და ეს შეძლება რომ ჰქონიათ, ამაზედ ეჭვი არ უნდა იყოს, თუ წარმოვიდგენთ შემდგომ ვითარებასა: მკვიდრნი ქართველნი, როგორც მოგახსენეთ, მიაღწევდნენ ოთხ-მილიონამდე; ამდენივე, თუ არა მეტი, იყვნენ სომხები და მაჰმადიანნი, რომელნიც სიმდიდრით და მამულების სიდიდით ქართველებზედ მეტნი იყვნენ; მთელი აღმოსავლეთის კერძო სამხრეთის კავკასიისა, სადაც დიდი და მდიდარი ქალაქები იყო, როგორც ანისი[1]), უზიდვიდა ხარაჯას მაშინდელ მეფეებსა. მეორე წყარო შემოსავლისა იყო ნაალაფევი[2]). — ქართლის მემატიანენი და უცხონიცა

---

1) «ქართლის ცხოვრება», გვერ. 266: «... ქალაქად ანისად, რომელსა შინა მოდლესამდე არს ათ-ას და ერთი ეკლესია“...

2) ალაფი—ლაშქრობაში ნაშოვნი.

მოწმობენ, რომ სელჯუქნი,[1]) როდესაც გაილაშქრებდენ, თან დაატარებდენ ყოველსავე თავის ქონებას: ოქროსა და ვერცხლსა, ინდოეთის ფარჩასა და თვალ-მარგალიტსა, ძვირფასსა არაბულსა ცხენებსა და საომარ იარაღს; მათზედ გამარჯვებულნი ალაფით აივსებოდნენ ხოლმე. ამ ნაირი შემოსავალი არ მოჰკლებიათ ქართველებსა დავითის, დიმიტრის, გიორგისა და თამარის მეფობაში, რადგან ამათ დროს განუწყვეტელი ომები იყო და ყოველთვის გამარჯვება მათ რჩებოდათ. შამქორის (1203 წ.) და ბოლოსტიკის ომში (1204 წ.) იმდენი ალაფით აღივსნენ ყოველნი ქართლის მეომარნი, რომ «ველნი გარემოს თბილისისანი ვერღარა იტევდა გაცსა, ცხენსა, ჯორსა და აქლემსა და ეს-ოდენ მოსაწყინელცა იყო სიმრავლე ტყვეთა, ვიდრემდის შეიყვანიან ქალაქად, ერთად კუტლად[2]) ფუკირად[3]) გაყიდიან და სეფენი[4]) დიდებულთანი და აზნაურთანი აღივსნენ ჭურჭელთა მრავალსახეთა, თვალთა პატიოსანთა, ნაქსოვთა ფერად-ფერადთა; ყოველი საგანძური ოქროთა ვითარცა მიწათა, ჭინდოურითა ქვითა და პატიოსანთა მარგალიტთა მიერ ურიცხვთა და ამისი მოწამე თვით იგი ღმერთი არს...»[5]) დავით აღმაშენებელი თავის ანდერძში იხსენიებს ზედა და ქვედა სახელმწიფო საღარაჯებსა; მისი ცხოვრების აღმწერი ამბობს, რომ «თვისსა მოძღვარსა იოანეს მისცა ოდესმე დრაჰკანი (ოქროს-ფული) ვა-

---

1) სელჯუქნი—თურქთა ნათესავი ერია. ამათ დაიპყრეს წინა-მხარი აზიისა მე IX, X, XI საუკუნეებში.

2) კუტალი—კოვზი

3) ფუკა—ხის ფინჯანი

4) სეფე—პალატი

5) «ქართლის ცხოვრება», გვერდი 308—309.

თარ ოცდაოთხი ათასი, რათა განუყოს გლახაკთა, და ქუეყ მცირედი მრავლისაგან თქუმად შეუძლებელია»[1]). ყოველივე ეს და იგიც რომ მრავალი ეკლესიები და ტაძრები უშენებიათ, უხვად უგზავნიათ საბერძნეთისა და პალესტინის ეკლესიებისათვის შესაწირავად მრავალი განძი, გვაძლევს საბუთს ვიფიქროთ, რომ შემოსავალი იმ დროინდელ მეფეებისა საკმარისი იქნებოდა 60,000 როქის სპის გასაძღოლად და დასაკმაყოფილებლად.

საომარნი საჭურველნი ქართველთა სპათა აქუნდათ: მშვილდ-ისარნი, ისარი ბოძალი[2]) დიდთა ნადირთათვის, ქეიბური[3]); შუბი, ლახტი, ჩუგლუგი,[4]) გურზი, ხმალი, სატევარი და ფარი, ჩაბალახი, მუზარადი, ჯავშანი და საბარკულნი. ხვარასანში ნაკეთი იარაღი იმ დროისა ყოველგან აღმოსავლეთში განთქმული იყო.[5]) მთიული ქართველები: სვანი, აფხაზი, რაჭველი და ფხოელი[6]) უფრო შეჭურვილნი იყვნენ მშვილდ-ისრითა, ფარითა, სატევრითა და ჩაბალახ-ჯავშანითა; ბარში მცხოვრებნი, როგორც უფრო ცხენოსანნი—შუბითა, ლახტი-

---

[1]) იქ.—გვერდი 257.

[2]) ბოძალი, პრტყელ—წვერიანი ისარი

[3]) ქეიბური—მომცრო სანადირო ისარი

[4]) ჩუგლუგი—მცირე წერაქვი

[5]) ვეფხის-ტყაოსანი, გვერდი 52 და 202

«ალლუმი ვნახე, მეკეთა ლაშქართა მოკაზმულობა,
სიჩაუქე და სიკეთე, ბეკლუცად დარაზმულობა,
და ტაიჭთა მათთა სიკეთე, აბჯრისა ხვარაზმულობა.»

—

«კაცი ოთხმოცი ათასი, ყველაი დაკაზმულია,
კაცსა და ცხენსა ემოსა, აბჯარი ხვარაზმულია»

[6]) ფხოელს უწოდებდენ ძველად ფშავ-ხევსურს. გეოგრაფიული აღწერა საქართველოისა ბატონ.-შვილის ვახუშტის მიერ.

თა, გურზითა, მუზარადითა და ჯავშან-საბარკულითა. ძნელია იფიქროს კაცმა, რომ მაშინდელი საქართველოს სპანი საზოგადოდ ერთგვარად შეჭურვილნი ყოფილიყვნენ, რადგანაც მხოლოდ გაჭირვების დროს მოწოდებულ იქნებოდენ ხოლმე საომრად, როგორც ეხლანდელი მილიციები. ხოლო შესაძლებელია რომ როქის-სპა ყოფილიყო ერთ-გვარად დაიარაღებული, რადგანაც მეფისაგან ყოველისფრით განწყობილს, კარგად გაწვრთნილს მუდმივს ჯარს შეადგენდა და პირდაპირ გამგებელად თვით მეფე ჰყავდა. დავით-აღმაშენებლის ცხოვრების აღმწერი იტყვის: «საეშმაკონი სიმღერანი, სასიობანი და განცხრომანი და გინებანი ღვთის განმარისხებელი, და ყოველი უწესოება მოსპობილ იყო ლაშქართა შინა მისთა, და ურიცხვსამას შინა სიმრავლესა ენათა ნათესავთა, ვითარცა ცათა შინა მყოფთა შორის», და «მცირედ-მცირედ ბრძოლითა და სწავლითა, გონიერად და ღონიერად წინა-ძღომითა, და მრავალთა ძლევითა მიერ მოგვარებითა არა განეწვართნეს სპანი თვისნი, და განეკადნიერნეს წყობათა მიერ მხნეთა, ქებითა და ნიჭითა, ხოლო ჯაბანთა სადედოთა ჩაცმითა და კიცხვით ძაგებითა, არამცა ელონნა, ვიდრემდის სპათა შორის მისთა, ყოვლად არა იპოვებოდა ჯაბნად ზრახული». ამ სიტყვებიდგან სჩანს, რომ დავით აღმაშენებელსა დიდი ყურადღება და ზედა-მხედველობა ჰქონია თავის სპათა ზედა და უმეცადნია განეწურთვნა იგინი, ვითარ შეშვენის გამართულსა[1]) ლაშქარსა. —

იმ დროს საქართველოს სიმაგრეს შეადგენდნენ რამდენიმე ციხე-ქალაქნი, რომელთა ზღუდენი სიმაღლითა მიაღწევდნენ ექვსიდამ 10 ადლამდე, კოშკნი—16 ადლიდამ 28-მდე; კოშ-

---

[1]) გამართული ლაშქარი—регулярное войско

კებს უფრო ზღუდის კუთხეებში აგებდენ; კოშკში იყვნენ მშვილდმოისარნი, და დადგამდენ ფილაკოვანსა[1]). ციხისა დაცვას და აღებასა ქართველები განაგებდენ ბერძენთა მიბაძვითა, და ხმარობდენ ნალმსა,[2]) ტარონსა[3]) და ფილაკოვანსა. სიკეთე და ხულოვნება არ აკლდათ საომარ-მაშინებსა, რომელსაცა ხმარობდენ ქართველები.—1042 წ. მცხოვრებნი ახლანდელის ავლაბარისა გადუდგნენ მეფე ბაგრატსა, ჩატეხეს ხიდები მეტეხის ძირას გადებულნი მტკვარზედ. ბაგრატი თავის ჯარითა დარჩა მტკვრის მარჯვნივ ნაპირას და კოშკებიდან დაუშინა ფილაკოვანნი, რომელთა მოქმედება ისეთი ძლიერი იყო 150—200 ადლზედ, რომ განდგომილნი ორ დღეში დამორჩილდნენ. ციხენი, რომელთაც იმ დროს უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ, სამეფოს სამხრეთის მხარეზედ იყვნენ. რადგანაც დასავლეთის კერძო მაშინდელი საქართველოისა დაცული იყო შავი-ზღვით, აღმოსავლეთისა—გურგენის ზღვით და ჩრდილოეთისა კერძოდ ხომ მთელის კავკასიის შესავალ გასავალი გზები ხელთ ეპყრათ—ნიკოფსიდამ დარუბანდამდე, შთებოდა მხოლოდ სამხრეთის კერძო დასაცველი. ამ კერძოსაკენ იყვნენ ციხენი: თორთუმი, ოლთისი, არტანუჯი და თუხარისი კლარჯეთში; არტანისი (არდაგანი), ახალ-ქალაქი, თმოგვი, ახალციხე, ოძრახო სამცხესა და ჯავახეთში. ამ უკანასკნელ ციხეებსა ჰქონდათ განსაკუთრებული მნიშვნელობა, რადგანაც შეჰკვრიდნენ შემოსავალ გზებსა და მათ მფარველობისა ქვეშ მოიყრიდნენ თავს მეომარნი: დასავლეთიდამ—აბხაზ-

1) ფილაკოვანი—ქვის სასროლი მაშინა (ბერძნულით)

2) ნალმი—შეთხრილი შესავალი. (ПОДКОПЪ).

3) ტარონი—მაშინა იყო გალავნის მრღვეველი.

იმერნი, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთიდამ,—ქართლ-კახნი და სამხრეთ-დასავლეთიდამ, — მესხნი. — საქართველოისა სომხეთში, ე. ი. ალგეთისა, ხრამისა და დებედის ხეობებში იყვნენ რამდენიმე ციხენი: კლდე-კარი, დმანისი, სამშვილდე, აგარანი (სუნანი), ლორი და სხვა და სხვ. მხოლოდ მათ არა ჰქონდათ დიდი მნიშვნელობა, რადგანაც მათ წინა სამხრეთისაკენ სომხების მამულები არაქსამდე დაპყრობილი ჰქონდათ ქართველ მეფეებსა და ციხე-ქალაქსა შინა[1]) იდგენ მცველად ქართველნი სპანი.—

თუმცა ძალიან გვსურდა გამოგვეძია, რა სიკეთისა და სადა და სად მიმავალი გზები იყო მაშინ და ეშესაბამოდენ თუ არა სამხედრო საჭიროებასა, მაგრამ საკმაო ცნობანი ვერ ვიპოვეთ ჩვენს მატიანეში. ხოლო უკეთუ სახეში მივიღებთ ზოგიერთ სიტყვათა დავით აღმაშენებლის ცხოვრების აღმწერისას[2]) და სისწრაფეს, რა სისწრაფითაც ეს მეფე თავს უყრიდა ხოლმე ჯარს და იმერეთიდამ ალგეთსა, ხრამსა, დებედას, კახეთს უმალ გადად-გადმოდიოდა ჯარითა, ადვილად საფიქრებელია, რომ გზა იმერეთიდამ გადმომავალი ლიხის მთაზედ და მთელ ქართლზედ და შემდეგ აღმოსავლეთისაკენ, კარგი და თავის დანიშნულების შესაფერი ყოფილა. მართლა რომ ესე უნდა ყოფილიყო, რადგანაც იმოდენა ჯარი მოძრაობდა და თან გადაჰქონდ-გადმოჰქონდათ ბარგი-ბარხანა, სურსათი, ტაროსი და ფილაქოვანი.

---

[1]) ანისში და დოვინში, რომელნიც დაიპყრეს დავით აღმაშენებელმა და გიორგი III.

[2]) „რაოდენნი ხიდნი მდინარეთა სასწაულით, რაოდენნი გზანი, საწყინოდ სავალნი, ქვა-ფენილ-ყვნა.“

საერისთაოის სპის სპასალარი იყო თვითონ ერისთავი. რამდენიმე დასი და რაზმი შეადგენდა სპასა. რაზმისა და დასისა უფროსი იყვნენ თავადის-შვილნი ანუ აზნაურნი. დასი და რაზმი ეშესაბამებოდა ახლანდელ როტასა და ბატალიონსა. სპანი სრულიად საქართველოისა შეადგენდენ ლაშქარსა, რომლის უმთავრესიც იყო ამირ-სპასალარი. ამირ-სპასალარად იყო თვითონ დავით აღმაშენებელი, გიორგისა და თამარის მეფობის დროს კი იყო პირველად იოანე ორბელი, შემდეგ სარგის მხარგრძელი, მერე გამრეკელი და ზაქარია მხარგრძელი. ზაქარია მხარგრძელის თანა ამირ-სპასალარი საქართველოს არ ჰყოლია. მის ამირ-სპასალარობის დროს გაიმარჯვეს ქართველებმა ორ ჩინებულ ომში: 1203 წ. შამქორს, სადაც 90-ათასმა თამარ მეფის მხედარმა დაამარცხა მაჰმადიანების ჯარი, რომელიც შეკრბა ხალიფის დროშის სახელით შუა-მდინარეთიდამ ინდოეთის სამზღვრამდე და 1204 წ.—ბოლოსტივის ომში, სადაც ქართველებმა გაიმარჯვეს ასურეთის სულტან ნუქარდინზედ, რომელსაც ჰყვანდა ამ ომში ურიცხვი მეომარი[1]).—

დასთა და რაზმთა საომარი წყობილება იყო შემდეგი: წინ დადგებოდა ხოლმე უფროსი, მას უკან—რამდენიმე აღმორჩეულნი სიმხნითა მეომარნი და მერე სხვანიცა. ამ ნაირს დაწყობასა უწოდებენ სოლებრივს დარაზმულობად. რამდენიმე სოლებრივ დაწყობილნი რაზმნი შეადგენდენ საომარ წყობას სპისას. სატაკტიკო (საომარი) ნაკლულოვანება სოლებრივი დარაზმულობისა მდგომარეობს იმაში, რომ უმთავრესი მნიშვნელობა მხოლოდ წინა წვერსა აქვს: თუ რაზმის უფროსი არ არის ღირსი თავადობისა (ესე ხშირად მოხდება დიდ ლაშქარ-

---

[1]) «ქართ. ცხოვ.», გვ. 318 და 319

ში), ანუ პირველადვე თუ დაიხოცნენ წინა წვერსა მდგომნი მეომარნი, მაშინ სხვანი მეომარნი რაზმისა ვერ განაგრძობენ ომსა და მტერი ადვილად გაიმარჯვებს მათზედა. სხვა ნაკლულოვანებაც აქვს ტოლებრივ დარაზმულობასა; მაგრამ ქართველნი იმ სახელოვან დროისა ამ-ნაირს საომარს წყობას ხმარობდენ მარტო დასსა და რაზმში და არა მთელ ლაშქარში, როგორც სხვანი მაშრიყელნი. — მთელის ლაშქრის დარაზმულობა კი ჩვენში სხვა გვარი იყო ე. ი. ბიზანტიური წესისა, ანუ უკეთ ვსთქვათ რომაულისა, რომელსაც ეძახიან ესრედ წოდებულს კლასიკურ მწკრივებრივს ტაკტიკას. ამ წესით რამდენიმე ლეგიონი დაეწყობოდა ხოლმე ერთს ანუ ორ მწკრივად. ყოველი ლეგიონი შეიცავდა კოგორტებს და იყო დაწყობილი ჭადრაკის წესით. ორთავ მწკრივის ლეგიონთა რიცხვი იყო თანასწორი. პირველი მწკრივი შესდგებოდა ორის, სამის ან ოთხის ლეგიონისაგან ჯარის რაოდენობის მიხედვითა და იერიშით მიდიოდა, ხოლო უკეთუ ეს მწკრივი აღემატებოდა სიგრძით მოწინააღმდეგის რაზმს, გაშლიდა ფრთებს და მოხვევდა ორთავ მხრით მტერსა. მეორე მწკრივი ქომაგობდა პირველს. ამ გვარს ჯარის წყობილებას თავისი ნაკლულევანებაცა აქვს: პირველად, ამისათვის საჭიროა, რომ თავისუფლად იმოქმედოს ლაშქარმა და ვრცელი ადგილი ედოს წინ გაშლილი. მეორედ, ორივე მწკრივი ერთსა და იმავე დროს იბრძვიან, ამის გამო სხვა-და-სხვა შემთხვევა, როგორც მაგალითად დასვენებუბული სპის უეცარი თავს დასხმა, ანუ დამარცხება ერთ-ერთის მწკრივის ფრთად გაშლილის წვერისა ცუდათ მოქმედობს ჯარზედ და ხელიდგან აცლის გამარჯვებას. რომაელთ მწკრივებრივი ტაკტიკა ქართველებმა ბიზანტიელთაგან გადმოიღეს, მაგრამ შესა-

მჩნევად შესცვალეს. ქართველების საზოგადო ლაშქართ დარაზმულობა შესდგებოდა სამის მწკრივისაგან.

პირველ მწკრივს შეადგენდა მოწინავე ანუ უკეთ ვსთქვათ წინამბრძოლი ჯარი; მეორეს — თავი და თავი ანუ ყოლბი[1]) ჯარი და მესამეს—მაშველი ჯარი. თუ რომ ომი მოხდებოდა ჯარის გზად ყოფნის დროს მტერთან უეცრად შეჯახებისგამო, წინა-მბრძოლი ჯარი გაიშლებოდა და დაიწყობდა ომს თავი-და-თავი ჯარის თვალ-წინ. უკეთუ ომი წინადვე მოსაზრებული იყო და დაიწყობოდა მთელის ლაშქრის ბანაკის ახლოს, მაშინ წინა-მბრძოლი ჯარი მაინც უეჭველად პირველ-მიმსვლელ-მცემელ მწკრივს შეადგენდა და ყველაზედ უწინარეს დაიწყებდა ბრძოლას. წინა-მბრძოლი ჯარი ყოველთვის და უცვლელად ერთგვარად შესდგებოდა. წინამბრძოლ და პირველ მიმსვლელ მცემელ ჯარად იყვნენ მესხნი, ანუ ქართველნი შემდეგ საერისთაოთა: სამცხისა, ჯავახეთისა, წუნაგოისა და კლარჯეთისა, რომელნიც შეიცავდნენ მტკვრის სათავესა და ჭოროხის ხეობასა. წინა მბრძოლ ჯარში შერიცხვა სხვა მეომართა აღძრავდა დრტვინვას მესხებისას, უკმაყოფილებას და თვით ურჩობასაც და მხოლოდ ხან-და-ხან წინამბრძოლი ჯარის გასაძლიერებლად მიუმატებდნენ ხოლმე იმ სპას, რომელიც პირ-და-პირ ექვემდებარებოდა ამირ-სპასალარს, როდესაც ეს უკანასკნელი წინ იყო. ხოლოდ ეს მოხდებოდა ხოლმე მაშინ, როცა მეფე იმყოფებოდა დანარჩენ ჯართან.

მეორე მწკრივს შეადგენდა თავი-და-თავი ჯარი, რომელსაც მემარჯვენედ აფხაზ-იმერეთის ჯარი ედგა და მემარცხნედ

[1]) ყოლბი ჯარი იმ ჯარსა ჰქვიან, რომელიც წინა-მბრძოლისა და მაშველი ჯარის შუა სდგას.

ამერნი.[1]) ეს წესიც დაურღვეველი იყო, ესე იგი, აფხაზნი არ დადგებოდენ მემარცხნედ და საზოგადოთ ადგილის შეცვლა საომარ დარაზმულობაში აღკრძალულ იყო. მეორე მწკრივი ხუთ-ჯერ და ექვს ჯერ აღემატებოდა პირველ მწკრივსა და წარმოად-გენდა პირ-და-პირ ქომაგს უკანასკნელისას.

მუდმივი ჯარი, ანუ როქის-სპა და ქართლის ჯარის ნა-წილი სეფე დროშითურთ, რომელსაც მეფე ჰყავდა მოთავედ, წარმოადგენდა მესამე მაშველ მწკრივს, და დაეწყობოდა მეორე მწკრივიდამ ისეთს მანძილზედ, რომ შესძლებიყო თვალ-ყური ედევნა პირველი ორი მწკრივის ბრძოლის მსვლელობისათვის.

ამ სახით, უკეთუ მოვიგონებთ წინათ ჩვენ მიერ ნათქვამს, რომ მაშინდელ საქართველოს სამეფოს ზურგით მთავარი კავკასი-ის ქედი ჰქონდა, წინ სამხრეთის საზღვარი და გავიხსენებთ იმ ადგილს, რომელიც ეჭირა სხვა-და-სხვა სპას პირველის ორის საომარ მწკრივისას, ცხადი იქნება, რომ ქართველთ საომარი და-რაზმულობა ეშესაბამებოდა საქართველოს ტომთ თემად-და-თემად განაწილებას. აფხაზ-იმერეთის საერისთაონი იმყოფე-ბოდენ სამეფოს დასავლეთ მხარეზედ, ანუ მარჯვენით კერძო. მა-თი ჯარიც იჭერდა მარჯვენა კერძოს მეორე მწკრივისას. ქართლი, კახეთი და საქართველოს სომხითი იყვნენ ლიხის მთის აღ-მოსავლეთით და მათი ჯარიც იჭერდა იმავე მწკრივის მხარეს მარცხენით კერძო. საერისთაონი მტკვრის სათავისა და ჭოროხის მდინარისა, როგორც წინ მდებარენი, თავის ჯარს აყე-ნებდნენ პირველ-მიმსვლელ-მცემელ მწკრივად. ნაწილი ქართლის

---

[1]) «ქართლის-ცხოვრებაში» ბევრგან შევხვდებით: «განაწყუეს რაზმი წესისაებრ, ვითარცა განჩენილ არს თემთა და თემთა». ანუ: «იყვნენ ერთ-კერძო—აფხაზნი და ერთ კერძო—ამერნი». გვერ. 306 და 321.

ჯარისა, როგორც უხუცესთ უხუცესის საქართველოს თემისა იდგა სეფე-დროშის ქვეშ როქის სპის გვერდით. სხვა-და-სხვა თემის ჯართა ადგილი სხვაფრივაც განიმარტება ე. ი. ისტორიულად. ის დრო საქართველოს ბრწყინვალებისა, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, შექმნეს აბხაზ-იმერეთის ბაგრატიონებმა. მათ დაიწყეს საქართველოს გაერთიანება დასავლეთით. პირველად ბაგრატ IV შეუერთა აბხაზ-იმერეთის სამეფოს ქართლი და მერე დავით აღმაშენებელმა—კახეთი და თბილისი სომხეთითურთ, რომელსაც მფლობდენ თბილისთან ერთად დროებითად არაბნი, და უწოდებდენ მას თბილისის საამიროს. იმის და მიხედვით, როგორც შეიერთებდა აბხაზ-იმერეთის სამეფო საქართველოს სხვა-და-სხვა თემთ, ისე სპა მათგან გამოყვანილი იჭერდა ადგილს მეორე საომარ მწკრივისას მარჯვნიდან მარცხნივ ზედ-მიყოლებით.

ჩვენ მიერ აღწერილ საომარ დარაზმულობას აქვს თავისი ტაკტიკური ნაკლულევანებანი, რომელთ რიცხვში უნდა მოვიხსენოთ სხვათა-შორის მუდამ ერთი და იგივე შედგენილობა წინა მებრძოლი ჯარისა და პირველი საომარი მწკრივისა, რომელსაც, ხანგრძლივის ლაშქრობის დროს, თუ მავიერობა არ გაუწია ნებიერად მიმდევმან სპამან, იგი იღლება, ირღვევა და ამისათვის ვერ სძლებს თავის მოვალეობის შესრულებას — მუდამ დარაჯად დგომას, მზად ყოფნას შებრძოლებისათვის, გარემოებათა მიხედვით, და სხვ. მაგრამ ქართველთ დარაზმულობას შესამჩნევი ღირსებანიც აქვს. პირველი და მთავარი ღირსება ის არის, რომ იგი თავის დედა-აზრით ძალიან წააგავს თანამედროვე ევროპიულ ტაკტიკას, რომლის აუცილებელი მოთხოვნილებაა მაშველი ჯარი ჰყავდეს დასათრგუნვად და შესასუსტებლად ომის დროს უეცრივ მოვლენილ სხვა-და-სხვა შემთხვევათა; მეორე—

ეგრე დაჩემებული ადგილი საომარ წყობაში ყოვლის სპისა მიერ ლაშქრობის დროს ახალისებს და აქეზებს მეომართ ერთი-ერთმანეთის წინაშე და იძულებულ ჰყოფს მხნედ ბრძოლად, რომ ღირსეულად ატარონ სახელი თავიანთ მამა-პაპათა, რომელთაც უკვე, იმავ ადგილებში უომნიათ და მოუხვეჭიათ სახელი ქება და დიდება.

ყოველივე ჩვენ მიერ თქმული საქართველოს სამხედრო წყობილებაზედ, მის საომარ აღკაზმა-დარაზმულობაზედ დარჩება დაუმტკიცებელი, ლიტონი სიტყვა იქნება, უკეთუ ჩვენ არ მოვიყვანთ რამდენსამე მაგალითს.

რომ შეადგინოს კაცმა აზრი მასზედ, თუ რა სისწრაფით გადად-გადმოდიოდა ქართველთ ლაშქარი ერთი ადგილიდამ მეორეზედ, რა მდგომარეობაში იყო გზები, მიმავალი იმერეთიდან ქართლსა და სამცხეს, და დავით აღმაშენებელის არა მცირედს სამხედრო ნიჭიერებაზედ, საჭიროა განვიხილოთ საომარი მოქმედებანი მისნი **1122** წელს.

დავითის მუდმივი გამარჯვება, სწრაფად და მედგრად მტერზედ თავ-დასასხმელად მოვლინება მისი იმერეთიდან, იყო მიზეზი, რომ დავითმა ივნისს **1121** წ. სრულიად განსწმინდა სივრცე თბილისიდამ გურგენის ზღვამდინ თურქთა-სელჯუკთა ურდოთაგან. ის არ ერიდებოდა არც წყალ-დიდობას, არც ზამთარს და არც დათოვლილს გზებს. ისე რომ თურქნი გადარჩნენ მხოლოდ სამს ქალაქში; თბილისში, განჯაში და დმანისში. ამ ქალაქების მოსლემინობამ გაუგზავნა მოციქულნი სელჯუკთა სულთანს, რომელიც ბაღდადის ხალიფას სახელობით განაგებდა მთელს მოსლემანობას მაშინდელი აზიისას; მოციქულთა სთხოვეს მფარველობა და შემწეობა წინააღმდეგ

«მთათა და[1]) ტყეთა მეფისა», როგორც იგინი ეძახდენ დავითსა. სულთანი გულმხურვალედ მოეკიდა საქმეს; მან უბრძანა თავის საუკეთესო სპასალარებს დებოიზს და ელგუზის აღემხედრნათ მთლად მუსულმანობა ალეპოდამ დაწყობილი სპარსეთის აღმოსავლეთ სამზღვრამდე და გალაშქრებულიყვნენ მათთვის საზიზღარ საქართველოს წინააღმდეგ. ეს ლაშქარი თავს იყრიდა ათი თვის განმავლობაში და მხოლოდ ზაფხულს 1122 წ. გადგა გზად ჩრდილოდ კერძო საქართველოს სამზღვრების. რაოდენობა ამ ლაშქრისა სულ ნაკლების ანგარიშით 200,000 აღიოდა. ეს რიცხვი გაზვიადებული არ იქნება, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ორი უძლიერესი მფლობელი, სპარსელი დებოიზი და ალეპოელი ელგუზი წინამძღვრობდენ ლაშქრობას; რომ ჯვაროსანთა წინააღმდეგ მარტო სირიელ სელჯუკთ 100,000-ზე მეტი მეომარი გამოჰყავდათ. ამ გვარი ლაშქრის რაოდენობა მით უფრო დიდი იყო, რომ სელჯუკნი, როცა შორს ქვეყანაში მიდიოდენ საომრად, თან მიჰქონდათ, როგორც უკვე მოვიხსენეთ, ყოველივე თავისი მოძრავი ქონება, რომლისა მცველნი, მონანი და მხლებელნი დ სხვა არა მეომართ სიმრავლე მათ ლაშქრის რაოდენობას მტრისათვის მეტათ დიდათ აჩენდა. ივნისის გასულს 1122 წელს ყველა ურდონი დებოიზისა და ელგუზისა გამოვიდნენ მდინარე არაქსს, და დაიჭირეს ეხლანდელი ერევნის გუბერნიის სამზღვრები. მეფე დავით ამ დროს იმერეთში იმყოფებოდა; მან იცოდა რომ მტერი ახლოს იყო, თავის მხრითაც ემზადებოდა, მაგრამ არ ჩქარობდა კია. ოცის წლის ომების გამოცდილებით მან შეისწავლა თავისი მოწინააღმდეგე. არაქსიდან თრიალეთის ქედამდე ქ-

[1]) Rrosset, Hist. de la georg.

ა. ქართლის სამხრეთ სამზღვრამდე, 300 ვერსის მანძილზედ, სადაც სომხეთის მდიდარი ქალაქები, ანი, დოვინი და სხვანი იყვნენ, სელჯუკნი უნდა მისცემოდნენ თავიანთ ჩვეულებრივ მოქმედებას მტრის ქვეყნის შესახებ.[1]) იგინი, როცა ქვეყნის ასაკლებად მიდიოდნენ, სულ მთლად მტრის ქვეყანას მოედებოდნენ; მერე დაყოფილნი ოთხ ტოლ-ტოლ ჯგუფად რომელსამე შუა გულ ადგილიდან აქეთ-იქით გაესეოდნენ ხოლმე. თვითოეული ამ ჯგუფთაგანი, მოშორდებოდა თუ არა შუაგულ ადგილას, იყოფოდა აგრეთვე ოთხ ტოლ ნაწილად და სხ. ამ სახით პირვანდელი ურდო, თან-და-თან უფრო-და-უფრო პატარა ნაწილებად დაყოფილი, სულ ბოლოს 2,000 ან 3,000 კაცისაგან შემდგარ მცირე რაზმებად გადიქცეოდა და გაიფანტებოდა ხოლმე მთელს მხარეზედ. ესე გვარი წესი კარგია მტრის ქვეყნის სრულიად გაძარცვისა და დამხობისათვის; მაგრამ ტაქტიკურის მხრით არაფრად არ ვარგა.

უკეთუ შესაძლებელია ასცილდე პირვანდელ დიდ ლაშქარს, და დაასწრო მას დაკნინება პატარა-პატარა ჯგუფებად, რასაკვირველია, ადვილია მისი ნაწილ-ნაწილ დამარცხება; ოღონდ ამ შემთხვევაშიაც საჭიროა მხნეობა და სწრაფი მოქმედება. დავით ლოდინით არასა ჰკარგავდა. სელჯუკნი აოხრებდნენ მხოლოდ სასომხეთის არაქსიდამ დაწყობილი თრიალეთამდე არაქსის მარცხნივ, რაც საქართველოს სამეფოს ნაწილს არ შეადგენდა, საქართველოს სომხითს, რომელიც თბილისისა და დმანისითურთ ეკუთვნოდა თბილისის ამირს და სადაც დავითს არა ეპყრა რა, გარდა ახლად მის მიერ დაპყრობილის ორის ციხისა მდ. ხრამის შესართავ-

[1]) Brosset, Hist. de la georg.

თან, სახელდობ სამშვილდისა და რუსთავისა. მართლაც 15 აგვისტომდე მოსლემინთა ურდომ მოაღწია თრიალეთის მთებამდე და მოაოხრა ყოველივე, რის მოოხრებაც კი შეეძლო. უფრო მოზრდილი მათი ურდონი დაეწყვნენ შემდეგ ადგილას: მარჯვენა ფრთა დაბანაკდა დიღმიდამ დაწყობილი დიდ-გორამდე დასავლეთისკენ, ასე რომ მარჯვნივ მტკვარი ჰქონდა, უკან თბილისი, ხოლო წინ თრიალეთის მთის აღმოსავლეთი კალთები დაასწყდებოდა. მეორე ნაწილი მანგლისთან იყო და პირველისაგან განყოფდა ღრმა ხევები და მაღალი მთები 3-დგან 4-ათას ფუტ. ზღვის დონეზე უმაღლეს; და, მესამე დასი, დასასრულ, დაბანაკდა მდ. ხრამის სათავეზედ, შუა ჯგუფიდგან 4 აღაჯის მანძილზედ. საზოგადო რიცხვი ყველა სამი ურდოსი 75,000 შეადგენდა დაახლოვებით. ივინი ერთი-ერთის მოწყვეტილნი იყვნენ; ეს ცხადათ სჩანს მით, თუ სად და რა ადგილებ შორის დაეწყვნენ. ამას გარდა მარცხენა ფრთა, რომელიც ყველაზედ ძლიერი უნდა ყოფილიყო, შეიცავდა მხოლოდ ოცი-ათას ცხენოსანს და ყველაზე ძრიელ განცალკევებული და სხვებზე მოწყვეტილი იყო. იმისი დიდი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ ქართლში წასვლით ჩრდილოეთისკენ, ან ჯავახეთში წასვლით პირ-და-პირ დასავლეთისკენ, გაჰყოფდა დავითის სამეფოს და მის სამხედრო ძალას წაწილ-ნაწილად; პირველ შემთხვევაში მას შეეძლო დაეშალა აბხაზ-იმერეთის ჯარისათვის ქართლელ ჯართან შეერთება, ხოლო მეორე შემთხვევაში, ე. ი. თუ ჯავახეთისკენ, ანუ შემდეგ სამცხესკენ გასწევდა, მოსწყვეტდა იმერეთს და ქართლს ჭოროხის და მტკვრის სათავის საერისთავოთაგან; მაგრამ არაფერი ამ გვარი არა მომხდარა რა. დავითმა კი მთელის თავის ჯარით, გარდა ჰერეთელთა და

კახელთა, რომელნიც ვალდებულნი იყვნენ დაეცვათ თავიანთი სამზღვარნი, დანიშნა შეკრების ადგილად სურამი, ახალ-ციხე და ახალ-ქალაქი. მთების გადასავალნი, ხუთი-ექვსი ათასის სიმაღლისა, ზღვის-დონიდამ თრიალეთისა და ჯავახეთის ქედზედ, იყვნენ დაცულნი ციხეებით, რომლებშიაც იდგა მეციხოვნეთა მძლავრი ჯარი (ГАРНИЗОНЫ); განსაკუთრებით ციხე-კლდე-კარი მანგლისის პირ-და-პირ, საიდგანაც გზა თეძამის ხეობაზე მიდის შუა გულ ქართლში. დავითს არ დაუვიწყებია გაემაგრებინა მცხეთა—სამყოფი ადგილი კათალიკოზისა. მის ჯართა მოძრაობა და თავ-მოყრა ერთ ალაგას დაფარულ იყო ორი დიდი მთის ქედით, თრიალეთისა და ჯავახეთისა. 16 აგვისტოს დავითი დაიძრა ქუთაისიდამ თავის ჯარით, გადიარა ლიხის მთა და შეუერთდა სურამში ქართლელების და ყივჩაყელთა ჯარს, რომელიც მას იქ მოელოდა. მეორე დღეს აცნობა რა მესხთა, რომ ქცია-ხრამის სათავისკენ გამგზავრებულიყვნენ, თვითონაც თავის დანარჩენი ჯარებით გაეშურა იქითკენ გუჯარეთის ხეობით. რიცხვი მეომართა, რომელთაც დავითმა ხრამის სათავეზედ მოუყარა თავი სელჯუკთა მარცხენა ფრთის ურდოთა წინააღმდეგ, იყო 50 ათასამდე. ამ ჯარების ერთი ნაწილით მან ორ დღეში გაიარა 160 ვერსი. სელჯუკნი არამც თუ მოწყვეტილნი იყვნენ ურთიერთს, არამედ, სჩანს, თვალ-ყურსაც არ ადევნებდნენ იმ გზებს, საიდანაც მოსალოდნელი იყო მტრის მიერ თავს დასხმა, ამიტომ რომ, დავითის ჩასვლა ხრამის სათავის ხეობაში და მათი გაფანტვა და განადგურება ერთი იყო. ამ დამარცხების მეოხებით, დავითი ძალიან საშიშარი გახდა დიდ-გორისა და მანგლის დაბანაკებულის ურდოთათვისაც, მით რომ იგი ემუქრებოდა გადაეჭრა მათთვის გზა უკუ-ქცევისათვის. მაგრამ მოსლემი-

ნობა არც კი ფიქრობდა — წინააღმდეგობა გაეწია დავითის-თვის; დასტოვეს მათ სუყველაფერი, რის წაღებაც არ შეეძლოთ, და გაეშურნენ უკან თავთავისას. რამდენსამე კვირის განმავა-ლობაში დავითმა სრულიად მოსწმინდა არაქსის მარცხნივ მი-დამო სელჯუკთაგან. მათზედ გამარჯვებულთ დავლა იყო ხოლმე ჩვეულებრივ: ძვირფასი თვალმარგალიტი, ფერად-ფერა-დი ქსოვილი ინდოეთისა, არაბული ცხენები, ასურეთის ჯო-რები, ყოველ-გვარი საჭურველი, ფილაკოვანნი და ტაროსნი. ყოველივე ეს აურებელი დარჩათ ქართველებს. თბილისი და დმანისი, რომელნიც აქნობამდე კიდევ ეჭირათ ურწმუნოთა, იძულებულნი იყვნენ გაეღოთ ბჭენი დიდებულის მეფისათვის.

ამ სახით მხოლოდ მოხერხებულის და მტკიცედ მოსა-ზრებულის თავდარიგის წყალობით მოიქმედა ამ გვარი შესა-ნიშნავი საქმე დავითმა. ყოველთვის, როგორც ეხლაც, დიდება და სახელი მხედართ-მთავრისა, ის არის, რომ მოიფიქროს და მოისაზროს, რომელ ადგილს სუსტობს მტერი, რომე-ლი ნაწილი მტრის ლაშქრისა უფრო ადვილად დასამძლევია, და შეიგნოს, რომელ ნაწილს მტრის ჯარისას აქვს უმთავრესი მნიშვნელობა და მას ეკვეთოს მედგრად ყოველის თავის ღონით და ძალით, როგორც მაგალითად სელჯუკთა ლაშქარში მოიქ-მედა დავითმა მდ. ხრამის სათავეზედ სელჯუკთა მარცხენა წვე-რის ანუ ფრთის დასამარცხებლად. ომი 1122 წელს, ვგო-ნებთ, იმის გარდა, რომ მხედართ-მთავრის ნიჭს ამტკიცებს, იმასაც მოწმობს, რომ გზები მაშინ საუკეთესონი ყოფილა, ჯარი მორჩილი და გამგონი, დიდს მანძილზედ ლაშქრობას და გადასვლა-გადმოსვლას ჩვეული. თუ ესე ყოველივე ლაშქარს არა სჭირს, შესაბამი რთული მოქმედებანი დიდის ჯარისათვის შეუძლებელია. დავითის ლაშქარს ყოველივე ეს ღირსება ჰქონია.

ამაზედ პირ-და-პირი ცნობა დავითის ცხოვრების აღმწერს მოჰყავს, რომელიც, როგორც ბროსე საფუძვლიანად ფიქრობს, იყო თანამედროვე, ან იქმება მონაწილეობის მიმღებიც ამ მეფის მოღვაწეობაში.

მაგრამ უფრო მომეტებული სამხედრო ძლიერება საქართველომ თამარის დროს გამოიჩინა მე-XIII საუკუნის დასაწყისს. წეს-წყობილება, დავითის მიერ დამყარებული, დროს განმამავლობაში უფრო განმტკიცდა და მაგრად გაიდგა ფესვი ქართველების ყოფა-ცხოვრებაში და მის შვილის-შვილის თამარის დროს სრულიად დამკვიდრდა, ისე რომ იმ დროს საქართველო ხდება ერთ უძლიერეს სამეფოდ აზიის წინა-მხარისა. 1203 წ. თამარი გამოესარჩლა თავის ხელ-ქვეითს, შირვან შაჰს[1]), მისი სიძეც, მფლობელი ადერბეიჯანისა თვის მფარველობის ქვეშ მიიღო, და ამისაგამო იძულებული შეიქმნა ებრძოლნა აბუ-ბეკირის წინააღმდეგ, რომელიც იყო მპყრობელი სრულიად დანარჩენი სპარსეთისა ინდოეთის სამზღვრამდე. როგორც ხმა გავრცელდა, ამას განეზრახა შემოსევა საქართველოში.

მაისის გასულს, 1203 წ. თამარის მიერ შეკრებილი ჯარი დაბანაკდა მდ. ალგეთისა, ხრამისა და დებედის მიდამოთა შორის, ისე რომ მარცხენა წვერი ანუ ფრთა მტკვრისკენ ჰქონდა, სადა მას ერთვის მდინარე ხრამი (ამ ალაგს ეხლა წითელი ხიდი ჰქვიან.) ამ ლაშქარში, ჩვეულებრივი ქართველი ჯარის გარდა, ერია ყივჩაყელთ სპანი, რომელნიც თამარს ჯამაგირით ეჭირა, აგრეთვე მეომარნი შირვან-შაჰისა და ამირ-მირანისა. თამარი თვით წავიდა თბილისიდამ ჯართ დასახე-

---

[1]) შირვანი—ეხლანდელ ბაქოს გუბერნიაში მდებარეობდა.

დავათ და გასამხნევებლად. ვიდრე იგი ზანაკში იმყოფებოდა, და უცდიდა ნამდვილს ცნობას მტრის შესახებ, ყოველ-დღე ალლუმს[1]) ხედავდა და ჯარი ხშირად სხვა-და-სხვა სამხედრო თამაშობით ერთობოდა: ბურთაობით, ასპარეზობით, ჯირითით და სხვ.

მალე მოვიდა ამბავიც, რომ აბუბეკირს შეუთხოვნია ხალიფასათვის მისცეს მას დროშა მაჰმადისა, რათა ამ ლაშქრობას მისთვისოს რელიგიური ხასიათი. ხალიფამ მართლაც აუსრულა მას თხოვნა და შეჰყარა ჯარი სამარყანიდგან და ინდოეთიდგან დაწყობილი შუა-მდინარეთამდე, რომელიც აბუბეკირის წინამძღოლობით ნახჩევანის პირდაპირ გამოვიდა არაქს. თამარი ამ ამბის შეტყობისათანავე ლაშქრის გამრავლების ზრუნვას შეუდგა, რადგანაც იცოდა თავის ჯარის რაოდენობა. ამ აზრით მან უბრძანა მწიგნობართ-უხუცესს ანტონ ჭყონდიდელს დაეწერა ბრძანება, რომ ყოველი იარაღის ტარების შემძლებელი გამოგზავნილ ყოფილიყო ლაშქრობაში და, რომ ყოველს ეკლესიაში მუდამ დღე აღევლინათ ლოცვა ღვთისა წინაშე მისის ჯარის გამარჯვებისათვის. ეს ბრძანება და ამასთან ფული, გლახაკთა და დავრდომილთათვის შემწეობად ომის განმავლობის დროს, გაგზავნილ იყო ივრინდაბისა და შიკრიკების შემწეობით. ამ ბრძანების[2]) მიღების შემდეგ

[1]) ალლუმი—მოედანზედ გაწყობილი ჯარის დათვალიერებაა.

[2]) «ქართლის-ცხოვრება» გვ. 305... „ესე უბრძანა და ბრძანება საქმე იქმნა. და ათსა დღესა შინა ვითარცა გროი შავარდენთა მოჰფრინდა, ვითარცა პირველ ვთქუ, ყოველი მხედრობა, ყოვლითურთ კერძოსავსენი სიხარულითა და ალივსო სპითა თამარისათა მტკვრის პირი, ტფილისით ყარაღაჯამდე, ალგეთის პირი და ბერდუჯის პირი.“

ათის დღის განმავალობაში, ყველა მეომარნი შეიკრიბნენ დანიშნულს ადგილს, და თვით შორეულ საერისთაოებისაგანაც კი, როგორც მაგალითად აბხაზეთისა და კლარჯეთისანი არიან, მოგროვდნენ მხედარნი და შეუერთდნენ თავ-თავიანთ სპას ხრამის და მტკვრის შესართავთან. ივნისის ნახევარს, სამხედრო თათბირის შემდეგ, თამარი დაბრუნდა თბილისს, ხოლო ლაშქარი დაჰყვა მტკვარს თამარის მეუღლის დავით სოსლანის და ამირ-სპასალარის ზაქარია მხარ-გრძელის წინამძღოლობით. მარტო ქართველი ჯარი შეადგენდა 90 ათასს კაცს. ამირ-მირანისა და შირვან-შაჰის ცხენოსანნი სპანი, რიცხვით რავდენსამე ათასს კაცამდე, წინ მიდიოდნენ და გზას უჩვენებდნენ დანარჩენთ; მაგრამ ომში ამათი მინდობა არ შეიძლებოდა; როგორც მოსლემინები, იქნება მათ გაცხარებულ ომის დროს ეღალატნათ და გადასულიყვნენ აბუბექრის მხარეზე, რაკი შეიტყობდნენ, რომ მას მაჰმადის დროშა აქვს ამართული. ქართველი ლაშქარი აჩქარებული მიისწრაფოდა წინ. ორის დღის განმავალობაში მან გაიარა 16½ აღაჯი. მარჯვნივ მთა ჰქონდა ჯარს, ხოლო მარცხნივ—მდ. მტკვარი. მეორე დღეზე, საღამოს, დაბანაკდა მდ. ძეგამის ნაპირზედ. ამ მდინარიდამ შამქორამდე ვაკე ადგილი ძევს: სიგძით 4 აღაჯი ექმნება და სიგანით 2—3 აღაჯი. აქ დავით სოსლანმა აეშაგთა (ჯაშუშები) შემწეობით შეიტყო რომ მტერს განჯის იქითა მთები დაუგდია, თვით განჯის ციხეც მიუტოვებია და გამომგზავრებულა შამქორისკენ. აეშაგთა ამას დაურთეს კიდევ ის გარემოებაც, რომ აბუბექრის ჯარი მრავლისაგან უმრავლესიაო, დაახლოვებითაც ვერ დაითვლებაო, როგორც ვერ აღირიცხება ქვიშანი ზღვისა და ვარსკვლავნი ზეცისანიო. მაგრამ შამქორიდამ დაწყობილი მთლად განჯის

იქით, და მთებიდამ მტკვრამდე ადგილი სულ მტერს უჭირავსო. სოსლანს თვითონაც შეეძლო შეემჩნია მტრის სიმრავლე. მეგამის მარჯვენა ნაპირზედ ამართულ მთიდამ ცხადად სჩანდა მტვრის კორიანტელი, რომელიც განჯიდამ შამქორს უახლოვდებოდა. ამირ-მირანი ამას მიაწერდა იმ გარემოებას, რომ აბუბექირი დარწმუნებულია თავის ძალაშიო; მაგრამ გავიდნენ თუ არა ვაკეზე, შამქორიდამ სამის ალაჯის სიშორეზე, ქართველნი მსწრაფლ დაეწყვნენ ჩვეულებრივ საომარ წესით. ნახევარ ალაჯზე მიუახლოვდენ თუ არა შამქორის კარსა და ხიდსა, პირველი ორი მეომარი მწკრივი გაემართა ქალაქისა და მის გარშემო მდებარე ბაღებისაკენ, მაშველა ჯარი მეფის მოთავეობით შეჩერდა უკან და თვალ-ყურს ადევნებდა ომის მსვლელობას. მტერს ძალიან გამაგრებული ადგილი ეჭირა, რომლის წინ იყო: ქალაქის ზღუდე, ბაღები და თავი ჯარი მტრისა ჯერ ისევ სიარულში იყო და ნაწილ-ნაწილ უახლოვდებოდა ბრძოლის ველს, სადაც იჭერდა ადგილს თავიანთის ლაშქრის მემარცხენედ, როგორც უფრო დაახლოვებულს. ქართველი სპანი ძალიან დაბრკოლდენ ქვიანი ადგილისა და ბაღებისაგამო, რომელთაც არიეს სპათა წყობა. ამის გამო იგინი ვერ გადვიდენ შამქორის მარჯვენა ნაპირზედ და ცოტა არ იყო უკან დაიხიეს. მაშინ ამირ-სპასალარმა ზაქარიამ, რომელსაც გარშემო საუკეთესო მეომარნი ქართველთა სპათანი ერტყუნენ, იშიშლა ხმალი და ქართველნი მემარჯვენე ფრთისანი პირველ ორის მწკრივისანი ჩვეულებრივ ზახილით[1]) ხელ-ახლავ მივიდნენ იერიშით. ამ მეორე დაჯახებამ დიდი ძალა იჩინა; ქართველნი გა-

[1]) «ქართლი'ს ცხოვრება», გვ. 306: «აჰა ჩვენცა ხელნი ხრმალსა და სულნი ღმერთსა, და ნუ ვრიდებთ თავთა ჩვენთა».

ვიდნენ მდინარეს ქალაქის მარჯვნივ და გაშალეს თუ არა მარჯვენავე ფრთა ანუ წვერი, რომელსაც შეადგენდნენ ამირმირანისა და შირვან-შაჰის მხედარნი, განწირულებით აღსავსე ხელ-ჩართულით ეკვეთნენ მტერს. ამით მთელი თავისი ყურადღება ძალა-უნებურად მათ მხოლოდ ამ ადგილისთვის მიაპყრობინეს. დავით სოსლანმა შენიშნა თუ არა, რომ მისი ამირ-სპასალარი მარჯვედ არის, დასძრა ჯარები, შემოუარა განჯას მარცხნივ იმავ ბაღების მოფარებით, რომელნიც წინად ქართველთ ჯარს უშლიდენ გაშლას და პირის-პირ მტერზედ იერიშით მისვლას, გავიდა შამქორს, მოასხვევინა თავის მარცხენა ფრთას და დაჰკრა უეცრივ მემარჯვენე ჯარს მტრისას. ამ გარემოებამ გადასწყვიტა ბრძოლის საქმე: მოსლენინნი შეირყნენ და ლტოლვილ იქმნენ. ყველაზედ წინ თვით აბუბეკირი მიისწრაფოდა და უკან მისდევდა მდევარი ქართველთ ცხენოსანთა, და სდია, ვიდრე განჯის კარამდე $4\frac{1}{2}$ აღაჯის სიშორეზე. ხევნი და ხნარევნი, რომელნიც შამქორს იქით მრავლად ხვდებოდათ მეოტთა და ლტოლვილთა, უფრო სრულიად ღუპავდენ მათ. ამის გამო ვერა მიჰქონდათ რა თან და ყოველივე ძალა-უნებურად უნდა დაეტოვებინათ გამარჯვებულთათვის: სარჩო, ქვეითი ხალხი, ალამი და თვით ხალიფას დროშა, რომელიც დაიპყრო ერთმა მაშინდელმა საუკეთესო სპასალართაგანმა, შალვა ახალციხელმა. ამ გვარად დატრიალდა ამ ბრძოლის საქმე. ქართველთ გამარჯვების მიზეზი იყო, მათ სპასალართა ვაჟკაცობის გარდა, რასაც მაშინდელ დროში არა მცირედი მნიშვნელობა ჰქონდა, უმთავრესად მაშველი ჯარის რიგიანი მომხრეობაცა. ამ გარემოების წყალობით არამც თუ გაასწორეს ქართველთ თავიანთი პირველი შეცდომა, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ იმოდენა ჯარი 60 ათას კაცამდე შეიჭყლიტა

ვიწრო სივრცეში 1—1½ აღაჯის სიგანისაში, სადაც მრავალი ცხენოსანი და ქვეითი კი არ ომობდნენ რიგიანად, უმლიდენ ერთმანეთს, არამედ კიდეც გაიმარჯვეს ასე შესანიშნავად.

ეს ბრძოლა, 1204 წ., შამქორის ომის სახელ-წოდებით ცნობილი, სავსე იყო მნიშვნელობით და სასახელოდ მისაჩნევი ქართველთა მიერ. ჯერ არც ერთხელ, ისლამის დაარსებიდან დაწყობილი, მუსულმანთ ასეთი დამარცხება არა სწვევიათ ქრისტეანეთაგან. ხალიფას დროშა, რომელიც თამარმა სახულისა ღვთის-მშობლის ხატს გელათის მონასტრისას შესწირა, პირველად დაკარგეს მათ შამქორის ომში. ნურას ვიტყვით იმაზედ, რომ ამ გამარჯვებამ კარგა დიდ-ხანს, მონგოლთ საასპარეზოდ გამოსვლამდე, გაახრუმა აღმოსავლეთის კერძო ხალიფატისა; ამ გამარჯვებას შემდეგ ბევრჯელ მოიგონებდენ ხოლმე ქებით და დიდებით. ამ ომზე მიუთითებდა იოანე მრისხანე, როდესაც ყაზანის ომის დროს მოაგონა თავის მეომართ გასამხნევებლად ივერიის მეფის ასულის გამარჯვების ამბავი სპარსელებზედ [1]). ხოლო მაშინდელ თანამედროვე მოსლემინობაზე რა გვარი ზედ-მოქმედება იქონია შამქორის ბრძოლამ, მარტო იმ გარემოებიდამ სჩანს, რომ შემდეგ წელს თამარი იძულებული იყო ბაღდადის ხალიფატის მეორე ნახევართან ებრძოლნა—ე. ი. ასურეთის და პელესტინის სულტანთა წინააღმდეგ.

1204 წ. იგინი აღმსხედრდენ და აღიჭურვნენ მათ შორის ძლიერთ უძლიერესის სულტნის ალეპოელი ნუქარდინის წინამძღოლობით. ამ უკანასკნელმა გაუგზავნა თამარს ელჩი და წერილი, რომელშიაც მოიხსენიებდა იმ მიზეზებს, რა მიზეზებისა გამოც იგი საჭიროდ სთვლიდა საქართველოს წინააღმ-

[1]) Brosset. Hist de le georg. I par. 445 p.

დეგ გამოელამქრნა. ნუქარდინის წერილი მოყვანილია საქართ-ველოს მატიანეში, და ვგონებთ სიტყვა-სიტყვითაც, რადგან ისე დაწვრილებით და ნიშანდობლივ არის მოთხრობილი ამბავი იმის მიღებისა მეფის მიერ, აღწერილი შთაბეჭდილება, რომელიც მან მოახდინა თამარზე და აღშფოთება ამირ-სპასალარის ზაქარიასი და სხვათა ერისთავთა და სპასალართა, რომელნიც ითხოულობდენ ელჩის დასჯას, მისის უმართებულო და ამაყ სიტყვა-პასუხისა და წერილის შინაარსისა გამო. ეს წერილი მეტად ახირებული წერილია და მისი შინაარსი ცხადად ამტკიცებს, რა გვარად იყვნენ თავგასულნი და გაამაყებულნი მაშინდელი სელჯუკელი სულტნები, რომელნიც მთელს ქვეყანას თავის საკუთრებად სთვლიდნენ.

«მე ნუქარდინ, სულტანი ყოვლისა ცასა-ქვეშისა, უმაღლესი, მიმსგავსებული ანგელოზთასა, თანამდგომი ღვთისა, მოვლინებული დიდისა მოქმედისაგან, მოგიმცნობ მეფესა ქართუჱლთასა თამარს. ყოველი დიაცი რეგვენია: შენ გიბრძანებია ქართუჱლთა აღებად კრმლისა, და ღუთისაგან საყვარელისა ისლემთა ერისა დაკოცად მუსულმანთა, და გვალად ნათესავსა ზედა თავის-უფალსა დადებად ხარკი უმებური: აწ მე მოვალ, რათა უსაჯო სამართალი ხალხსა სპარსთასა და განგწვართო შენ და ერიცა შენი, არაოდეს აღებად კრმლისა, რომელი ღმერთსა ჩვენდა უბოძებია: ხოლო ცხოვრებით იგი ოდენ ვაცხოვნო, რომელმან უწინარეს მოსვლისა ჩემისა თაყუანის-მცეს წინაშე კარვისა ჩემისა, და აღიაროს ქადაგება მოქმად მოციქულისა, და უარ-ჰყოს სჯული შენი და კელითა თვისითა იწყოს წინაშე ჩემისა ლეწვად ჯუარისა, რომლისა მიმართ დაგიცსთ ცუდი სასოება: აწ მოელოდი ნაცვალსა ჩემსა, რომელი შეამთხვიე სპარსთა.»

წერილის მიღებისათანავე თამარი მხნედ შეუდგა ყოველ გვარ თადარიგს ომისას და ლაშქრობისას გოროზ და თავგასულ ნუქარდინის წინააღმდეგ: გასცა ბრძანება და გაგზავნილ იქმნენ შიკრიკნი და მალე-მსრბოლნი ყოველ კუთხეში მისის სამეფოისა, ნიკოფსიიდამ დარუბანდამდე, რათა ერისთავთ მალიად შეეიარაღებინათ მთლად ერი და ქვეყანა. თავ-მოსაყრელ ადგილად მან დანიშნა სამცხე და ჯავახეთი და თავისთან მყოფ ჯარებით გასწია იქ. თან მისდევდა უმაღლესი სამღვდელოება და საუკეთესო სპასალარნი — ზაქარია და ივანე მხარგრძელნი, შალვა და ივანე ახალციხელნი. მეფე დავით სოსლანს უნდა ეტვირთნა მთავარი წინამძღოლობა ასი ათასის მეომართაგან შემდგარის და თამარის მიერ გაშლილ დროშას ქვეშ შეკრებილის ლაშქრისა. ვიდრე ლაშკარი შეკრბებოდა, თამარი იმყოფებოდა ვარძიის მონასტერში [1]), ხოლო ნუქარდინი უდიდესის ლაშქარით, რომელიც შეიცავდა ნახევარ მილიონს მეომარს, მოადგა არზრუმს ანუ კარნუ-ქალაქს. ნუკრედინისა და თამარის შორის ბრძოლის ველის მდებარეობა დიაღ ცნობილია უკანასკნელ რუსთ-ოსმალოთ ომისაგამო და ამისათვის მისი აღწერა საჭირო არ არის. რაც შეეხება თამარის ჯარს, რომელიც შეიკრიბა თავისუფლად ახალციხის, ახალქალაქის და არტანისის ციხეებითა დაცული, იგი გაემართა ყარსისაკენ. ამ ქალაქიდამ ოც-და-ათ ვერსზედ თამარი შედგა ერთს მაღალს გორაზედ, რათა ერთხელ კიდევ ელოცნა და ჯვარი გადაეწერა მის წინ გამომვლელ რაზმთათვის, რომელთ წინამძღოლნი, მასთან დაპირდაპირებისათანავე, ჩამოხდე-

---

[1]) მტკვრის მარცხენა ნაპირზედ მდებარეობს ხერთვისის ხეობაში რომელიც მტკვრის აყოლებით არდაგანამდის ასდევს.

ბოდენ ცხენიდამ ჯვარის სამთხვევლად და მარჯვენისა მისისა საამბორებლად. ამის შემდეგ თამარი დაბრუნდა ოძრახეს [1]) და ჯარმა განაგრძო გზა. ნუქარდინს ფიქრათაც არ მოსდიოდა, რომ ქართველნი გაჰბედავდენ დაეტოვებინათ თავიანთი მთანი და ხეობანი და გავიდოდნენ იმის პირის-პირ ასე დაახლოვებით არზრუმს და ყარსს შორის; ამისათვის ის არხეინად იყო დაბანაკებული დიდ და გრცელ ბასიანის მთა ვაკეზე, არზრუმიდამ 7 აღაჯის სიშორით და სრულიად არავითარი თადარიგი არ ჰქონდა დაჭერილი უეცარის თავს-დასხმის წინააღმდეგ. როცა ქართველთ წინად-მბრძოლნი იმის ბანაკის სიახლოვეს გამოჩნდენ ზაქარია მხარგრძელის, შალვა და ივანე ახალციხელთ წინამძღვრობით, ადვილათ წარმოიდგენს ყოველი, რა არევ-დარევა მოხდა მუსულმანთა შორის. უეცარი თავდასხმა საშიშარია არამც თუ დაუწყობელ ურდოთათვის, არამედ სრულიად განწყობილის და ჩვეულებრივის ჯარისათვისაც, რომელსაც ომის დროს დაუბანაკნია, დარაჯნი თავის საქმეს კარგად ასრულებენ, წინადვე მოსაზრებული სიმაგრე უჭირავს, მხედართ ცხენები მზადა ჰყავთ, ერთის სიტყვით, ყოველ გვარი წესი სამხედრო დადგენილობისა დაცულია უეცარის თავს დასხმის შესასუსტებლად, მსწრაფლად ბრძოლისთვის გასამზადებლად. მაშ, თუ მართებულის და სრულიად გამართულის ჯარისათვის საშიშოდ ითვლება უეცარი თავ-დასხმა მტრისა, ნუქარდინის დაუწყობლის და არეულ-დარეულის ბრბოსთვის ქართველთა წინად-მებრძოლ 30-40 ათასის კაცისგან შემდგარ რაზმთა თავზედ წადგომა უნდა დამღუპველი ყოფილიყო. მართლაც, დაინახეს თუ არა ზაქარია მხარგრძელმა, შალვა და

[1]) ახლანდელ აბასთუმანის ახლოს.

ივანე ახალციხელთ ათი და ათი ათასი გაშვებულის ცხენების ჯოგი, უაზროდ აქეთ-იქით მოყიალე ხალხის გროვანი, აყირავებული ვარები და საზოგადოთ ყოველ გვარი ნიშნები უწესოების მოსლემინთ ურდოში, მაშინათვე შეატყობინეს თავ ჯარსა; ხოლო თვით მალიად გაშალეს რაზმნი, დაეწყვნენ საომარს მწკრივად, ააჩქარებინეს ფეხი მეომართ და გადაეშვნენ წინ, შიგ მტრის შუა-გულ, ნუქარდინის სამყოფ-კარავისკენ, რომელზედაც ფრიალობდა დიდი სულტანის დროშა. ამასობაში, დაინახა თუ არა ნუქარდინმა წინ გაშლილი საომარ მწკრივად ქართველთ რაზმები, მაშინათვე დაიწყო ხელ-და ხელ წყობა და საომრად დგენა სხვაზედ უფრო მომზადებულ მეომართა, ბასიანის მთაგორის აღმოსავლეთის კალთებზე, რადგან თვითონ დიახ გულადი და მოსწრებული გონების პატრონი იყო. ქართველთ მთელი თავისი ძალა და ღონე დაატანეს ამ ადგილს, რომ სხვა უწესო მუსულმანთ ხროვათ არ შესძლებოდათ მომზადება და მოწინააღმდეგე რაზმების მიშველება. შენივთდა გაცხარებული ურთიერთ დაუზოგველი ხელ-ჩართული ბრძოლა; ყველა ქართველთ მხედართა უფროსთ ცხენები მოკლულ იქმნენ; მაშინ მხედართაც დაანებეს ცხენებს თავი და დაქვეითებულებმა დაიწყეს ბრძოლა თავიანთ უფროსებთან ერთად. ნუქრედინმა, თუმცა თავ განწირული მამაცობა გამოიჩინა და თუმცა მრავალი ჯარი ჰყავდა, ვერ შეარყია ქართველთ წინა-მბრძოლ, მიმსვლელ-მცემელთ რაზმი, რომლის მამაცობას და მედგრობას უფრო ის იმედი აძლიერებდა, რომ ჩქარა მოეშველებოდა თავი და თავი ჯარი. დავით სოსლანმა შეტყობისათანავე წინად-მებრძოლთ რაზმისაგან ბრძოლის ვითარებისა, ააჩქარა თავა და თავი ჯარი. ქვეითმა ჯარმა სიარულს მოუმატა, ცხენოსანთ მოჰქუსლეს ცხენები, მაგრამ ოღრო-ჩოღრო ადგილი აბრკოლებდა

მათ. ბოლოს, როცა ჩავიდნენ ბასიანის მდინარის მთა გაკეზე, დაუყოვნებლივ დაეწყვნენ ჩვეულებრივ საომარ წესით. ე. ი. მემარჯვენედ დადგა-აბხაზ-იმერეთის ჯარი, ხოლო მემარცხენედ—ჯარი ქართლ-კახეთისა. აღარ მოუცადეს უკან ჩამორჩენილთ და გაეშურნენ წინად-მებრძოლ-მიმსვლელ-მცემელთ გამოსახსნელად; შემდეგ გამწარებულის ჩხუბისა, მაჰმადიანთ ვეღარ გაუძლეს ქართველთა მიერ შეერთებულის ძალით მიტანილს იერიშს და არეულ-დარეულად ლტოლვილნი იქმნენ არზრუმისკენ.—ვინც ვერ მოასწრო ცხენზედ შეხტომა, ტყვედ შეიპყრეს. თვით ნუქრედინი კინაღამ ტყვედ არ დაიჭირეს და გადარჩა მხოლოდ თავის არაბულის ტაიჭის წყალობით. მაგრამ მისი დროშა, ქონება და ურიცხვნი ტყვენი, რომელთა შორის რამდენიმე სელჯუკთა თავადი ერია, ყოველივე ესე დარჩათ გამარჯვებულთ.

ამ ომს ქართველებმა უწოდეს ბოლოსტიკის ომი, უთუოდ რომელსამე ბასიანის სიახლოვეს მდებარე სოფლის სახელწოდების გამო· თუმცა გამარჯვება ქართველთ დარჩათ შემთხვევის წყალობით, ე. ი. იმ გარემოების მეოხებით, რომ ქართველნი მტერს ანაზდად თავს დაესხნენ, მაინც წინად-მებრძოლთ უფროსთ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათი ქცევა და მიხვედრილობა გარემოებათა შესაფერ, სწორედ შესანიშნავი იყო. ცოტა რომ დაეგვიანათ, ან ეყოყმანათ, მანამ თავი და თავი ჯარი მოესწრობოდათ, უეჭველია რომ ნუქრედდინი დააწყობდა ჯარს მართებულის წესით და მაშინ ომი შეიძლებოდა ქართველთ სასარგებლოდ არ გათავებულიყო.

შამქორის ომით **1203** წ. და ბოლოსტიკის ბრძოლით **1204** წ. თამარმა დიდის-ხნით დააწყნარა აზიის წინა-მხარის მაჰმადიანნი, როგორც ამას წინად ჩვენ მოვიხსენეთ. ამ ბრძოლათა შემდეგ სპარსელნი და თურქნი-სელჯუკნი მხოლოდ

ქურდულის თავდასხმით აწუხებდენ ქართველებს. ასურელთ სულტანს, ბოლოსტივის ომის შემდეგ, აღარა ჰქონდა ღონე დაეშალნა თამარისთვის ყარსის აღება და ტრაპიზონის იმპერიის შედგენა პავფლაგონიის დ პონტის ქალაქებისაგან: სახელად, ტრაპიზონისა, სინოპისა და ლიმონისაგან, და სხვ. ეს იმპერია თამარმა მისცა თავის ნათესავს, ალექსის, რომელიც მის სასახლეში იმყოფებოდა და იყო შვილის-შვილი ბიზანტიის იმპერატორის ანდრონიკ I. ამ ისტორიულ ფაქტებს მოწმობენ გარდა საქართველოს მემატიანეთა მრავალნი თანამედროვე და შემდეგნი მწერალნი საბერძნეთისა და სხვათა ხალხთა. [1]).

ასე წარიმართებოდნენ საქმენი საქართველოსანი ვიდრე სიკვდილამდე ამ დიდებულის დედოფლისა (1212 წ.) და, არამც თუ მის დროს, მის შვილთა პირველ მეფობის დროსაც: გიორგი ლაშასი და რუსუდანისა, იმ დრომდე, ვიდრე საქართველოს არ მოევლინა საქვეყნო რისხვა—ესე იგი, მონგოლთ შემოსევა.

თ. თათარ ყან დადიშკელიანი.

---

[1]) Brosset. Hist. de la Georg. 461 p.

# შინაური მიმოხილვა

ცვლილება—ვინ კითხულობს—უჯერონი და ურწმუნონი—რა გვეღირსა—დიდი საქმე—ქმნა უქმნელისა—რადაო?—ფიცი ხომ გვწამს—ორი მინისტრი—მოკლე ხანი—ჩვენი ქვეყანა სულ სხვაა—უქმი ფიქრი და გაფლანგული ღონე—საგანი რთულია—მაგრამ ვინ იცის—რით ვინუგეშოთ—ღვთის წყალობა—კახეთისკენ რკინის გზა—არყის გამოხდის ბაჟი—იჯარით გაცემა სახელმწიფო მამულებისა—სახელმწიფოს მხრით დავის გამოცხადება მამულების გამიჯვნის დროს—მინისტრის პროექტი ტყეების დაცვის შესახებ—სახელმწიფო ტყიდამ სარგებლობა—სამეურნეო სკოლები სოფლისა.

---

გაუქმდა განსაკუთრებული მთავარ-მმართებლობა კავკასიისა. იგი მთავარ-მართებლობა მოირიგეს თავ-თავად შიდა რუსეთის სამინისტროებმა. შეიცვალა უთვალისფერი ქაღალდზედ და რა დაეტყო მით აქაურს ცხოვრებასა, რით იჩინა ამ ცვლილებამ თავი, ამას არც არავინ კითხულობს და არც არავისა აქვს სურვილი რომ იკითხოს. ან რა გამოვა ბევრიც თავი რომ ვიცხელოთო, იტყვიან ზოგიერთნი უჯერონი და ურწმუნონი.

ჩვენ ამ უკანასკნელთ არას დროს და არას მხრით არ მივცემთ ბანსა და არც დავეთანხმებით. როგორ თუ რა გამო-

ვაო? ეგ ცვლილება რომ არ მომხდარიყო განა ჩვენ ოდესმე გვეღირსებოდა იმისი ნახვა, რაც ამ ზაფხულს ვნახეთ! ორი მინისტრი ზედა-ზედ ეწვივნენ ჩვენს ქვეყანასა და განა ეგ ცოტაა. აბა როდის გვღირსებია ეგ იშვიათი დიდება? უწინ, როდესღაც ყოფილა თურმე, რომ ჩვენ გვწვევია სამხედრო მინისტრი, მაგრამ ეს ასეთი ძველის-ძველი ამბავია, რომ არც კი გვახსოვს. მას აქეთ იმოდენა დრო ჩაჰბარდა თავის პატრონსა, რომ დღეს არც კი ვიცოდით, მინისტრი ჩვენებრივი სიკვდილის-შვილი კაცია, თუ ზესთა-ქვეყნური.

არა, ბატონებო, ამ ცვლილებამ დიდი საქმე ჰქმნა; ამ ზაფხულს ორი მინისტრი ჩვენის თვალით დაგვანახვა. ჩვენის საკუთარის ყურით გაგვაგონა. დიდი უმადურობა იქმნება ჩვენის მხრით რომ მოხდენილს ცვლილებას ალმაცერად დავუწყოთ ყურება, არ დავენდოთ და მისგან კიდევ ბევრს ამისთანა სიკეთეს არ მოველოდდეთ. ჯერ ახალი ხილია და ამ სიდიდე გზა გაუხსნა ჩვენს სახოვებასა; მაინცათ, ერთი ცოტა ოდნავ მოძველდეს და მაშინ ნახავთ, რაც გამოვა ამ ცვლილებისაგან.

დიახ, ბატონებო!... ამ ცვლილებამა ჰქმნა ის ყოვლად-უქმნელი საქმე, რომ წლევანდელ ზაფხულში ორი მინისტრი— ერთი გზათა მინისტრი და მეორე სახელმწიფო ქონებათა— ზედა ზედ მობძანდნენ ჩვენს ქვეყანაში. რადაო? იკითხავთ თქვენ. ჯერ იმიტომ-რომ ცვლილება მოხდა. მეორე იმიტომ, რომ ჯერ მათგან არ ცნობილი ქვეყანა თავის თვალით ენახათ, მისი ავ-კარგიანობა შეეტყოთ, მისი ჭირი და ლხინი გაეგოთ და ყოველივე ამით აბჯარ ასხმულნი შესდგომოდნენ თავ-თავიანთ საქმეს ჩვენის ქვეყნის სამოთხედ გადაქცევის შესახებ. ნუ თუ ამას იქით კიდევ ვინმე გაბედავს თქმას: რა გამოვაო? თუ აქა-

დამაც არა გამოუვა რა, მაშ სხვა საიდამღა უნდა რამ გამო-ვიდეს!

დავწყნარდეთ და სახეში ვიქონიოთ, რომ ეს ორი მინისტ-რი იმისთანა უწყებისანი არიან, რომელნიც ასე თუ ისე მი-რეულად შეეხებიან თითქმის ყოველს დონეს ეკონომიურის წარმატებისას. ერთის თავი და ბოლო გზების სიკეთეა და მეორისა — სახელმწიფოთა ქონების იმ რიგად მოხმარება და გამგეობა, რა რიგადაც მოუხდებოდა სახელმწიფოსა და ქვეყა-ნასა. ამიტომაც ეკონომიურის წარმატების მონატრულმა იმა-თი მოსვლა ჩვენში საყურადღებო ამბავად უნდა ჩასთვალოს. ფიცი ხომ გვრწამს და ბოლო გვაკვირვებს თუ არა, ეგ ვის-თვის რა ხელ-საყრელია!...

მოდი და ნუ იტყვით!... ის მოკლე ხანი, რაც ამ მი-ნისტრებმა ჩვენში დაჰყვეს, იქნება ქვეყნის თვალ-და-თვალ და-სახედავად საკმარისი იყო, მაგრამ ქვეყნის ამბის შესატყობად კი რა მოგახსენოთ. ერთხელ და უკანასკნელ საცოდნელად სა-ჭიროა, რომ ჩვენი ქვეყანა ყოველის მხრით და ყოვლისფრით სულ სხვაა. იმის ცხოვრებას, მოქალაქურს, თუ ეკონომიურს, თავისი საკუთარი დერიტა აქვს, თავისი საკუთარი დედა, რო-მელსაც შეუდლედებია მისი აწმყო, რომელმაც აწ უნდა შეუდლე-დოს მისი მომავალი. ჩვენს ქვეყანას თავისი გრძელი ისტო-რია აქვს. ამ ისტორიამ შეჰქმნა ჩვენის ქვეყნის საკუთარნი წესნი კაცთა ერთმანეთში მოთავსებისათვის მოქალაქურად, თუ ეკონომიურად. ეს წესნი ისე გამჯდარია ჩვენის ქვეყნის ძვალსა და რბილში, რომ ჩვენის ქვეყნისავე სიტყვით, რჯულთ უმტ--კიცესნი არიან. ამა განსაკუთრებულთა რჯულთა ზედ-მოქმედე-ბა ისეთი ძლიერია ერის ცხოვრებაში, რომ უყურადღებოდ და გდება მათი მაშინ, როცა ჰფიქრობ ქვეყნის წარმატებას და

განკარგებას, შეცდომაზედ მეტია. მაშინ ფიქრიც და თვით მოქმედებაც უქმია, რადგანაც უნიადაგოა და ფეხ-მოუკიდებელი; მაშინ ყოველი ჯაფა და გარჯა ტყუილად დაკარგული, ტყუილად გაფანტული ღონეა. როგორც ჭაერში დაკიდებული ხე არ იხეირებს, ისე არ იხეირებს არა რა ფიქრი, არა რა მეცადინეობა, არა რა ცვლილება, თუ ფესვის მოსაკიდებლად იგი დვრიტა, იგი დედა არა აქვს, რომელიც ზემოდ მოვიხსენიეთ.

აშკარაა, რკინის გზით გარბენ-გამორბენა თავიდამ ბოლომდე და ბოლოდამ თავამდე ვერაფერი მასწავლებელია ამ შემთხვევაში. საგანი იმოდენა სიგრძე-სიგანისაა, იმოდენა რთულია და, ზოგიერთა მიზეზთაგამო, იმოდენად შეკუმშულია და შინ-შეკეტილი, რომ მის გამოსაკვლევად ხანგრძლივი დაკვირვება უნდა; უნდა ბეჯითი, მცოდნე და თავიდამ ფეხამდე მართლ-გამჭვრეტავი თვალი. მაგრამ ვინ იცის? საცა მდაბიურს სიკვდილის შვილს წელიწადები მოუნდება, იქ, იქნება, მინისტრისათვის წუთიც საკმარისი იყოს. თუ მართლა ეგრეა, ვინუგემოთ ამით და მინისტრების ჩვენში ყოფნა ღვთისწყალობად ჩავთვალოთ. ამინ და კირიე ელეისონ!

ჩვენმა თავად-აზნაურობამ, გულ-დაჯერებულმა (რა კაი გულისანი ვართ!) რომ მინისტრები მართლა ქვეყნის ამბის შესატყობრად მოსულან, ხელთ იგდო დრო და მინისტრებს შეატყობინა ჩვენის ქვეყნის დარდი, იმოდენად, რამოდენადაც მას ამ საგანზედ თვალი უჭრიდა და დროთა ვითარება ნებას აძლევდა. არა გამოვა რა, ყვიროდნენ აქაც უჯერონი და ურწმუნონი, მაგრამ პასუხად ეს უთხრეს: ჩვენ ჩვენს ვალს მაინც მოვიხდითო.

გზათა მინისტრს წარუდგა თავად-აზნაურობა და სთხოვა

თბილისისა და კახეთის შუა რკინის გზა გაიყვანეთო. რა უთხრა თავად-აზნაურობამ ამ საგანზედ ბ-ნს მინისტრს და რა პასუხი მიიღო, ეს უკვე ცნობილი უნდა ჰქონდეს მკითხველს «დროებიდამ», რომელმაც ამის შესახებ ყოველივე საჭირო ცნობა მართლა და გარკვევით გვაუწყა. ხოლო «დროებაში», როგორც გვახსოვს, ერთი რამ არ იყო მოხსენებული. თავად-აზნაურობამ სხვათა შორის ესეც მოახსენა მინისტრს, რომ თუ ჩვენი თხოვნა თქვენგან პატივ-სადებია და არა უარ-საყოფელი, ამ საგანზედ ვრცელს წერილს მოგართმევთო, თუ თქვენი ნებაც იქნებაო. მინისტრმა ნება დართო. მას აქედ კარგა წყალმა ჩაიარა და ამ წერილის შედგენისათვის არამც თუ თითო არავის შეუნძრევია, არამედ ჩამი-ჩუმიც არ ისმის. რას ჰფიქრობს თავად-აზნაურობა? გაუცრუვებს მინისტრს, თუ დაპირებულს აუსრულებს?

თუ გვინდა რომ ამ წერილს შესაფერი ღირსება მიეცეს, ყურადღება მიიზიდოს და თვითონ საგანს მთავრობაში გზა გაუხსნას, საჭიროა ორი რამ: ერთი საბუთები ტეხნიკური, რომელნიც ინჟენერებისაგან მოიპოვება და მეორე — სტატისტიკური და ეკონომიური, რომელთაგანიც ზოგნი ათასგან აქა იქ გაფანტულნი არიან და ზოგნი ახლად შესაკრებნი. ერთსაც და მეორესაც ხარჯი მოსდევს და სახსარჯო კი არსადა ჰსჩანს. ამიტომაც მეტი არ იქნება ჩვენმა გუბერნიის მარშალმა მიჰმართოს თელავისა და სიღნაღის მაზრის მარშლებს, რათა მათ თავ-თავიანთ მაზრებში საგანგებო კრება მოახდინონ, აუწყონ მდგომარეობა საქმისა, მისი საჭიროება და მოსთხოვონ თავად-აზნაურობას ღონის-ძიება ამა პირველ საჭიროების დასაკმაყოფილებლად. რაკი ერთხელ თავად-აზნაურობამ აღძრა ეს ფრიად სასარგებლო საქმე, რაკი აღუთქვა მინისტრს საბუთიანი წე-

რილი ამ საქმის შესახებ, ეხლა გაჩუმებს და გაყუჩებს ცოდვას და სირცხვილიცა. ასე თუ ისე ამ საქმეს უნდა უსათუოდ მო-ქვლოს, რომ ჯერ ქვეყნის საქმეს არ ეღალატოს და მერე თა-ვად-აზნაურობამ პირი არ შეირცხვინოს.

წავიდა გზათა მინისტრი და მოვიდა სახელმწიფო ქონე-ბათა. ამ უკანასკნელს თავად აზნაურობამ აუწყა წერილით ჩვე-ნის, ქვეყნის დარდი. ხოლო დროთა სიმოკლისაგამო, თუ სხვა რამე მიზეზისა, იგი წერილი უფრო მაგ დარდების ნუსხასა ჰგვანდა, ვიდრე ვრცელს და საბუთიანს გამოკვლევასა. თვითონ წერილის სათაურიც (ПАМЯТНАЯ ЗАПИСКА) ამტკიცებს, რომ იგი დაწერილია მარტო იმისათვის, რომ მინისტრმა გაიხსე-ნოს, რა და რა საგანს შეეხება თავად-აზნაურთა თხოვნა და რა და რა საგანზედ უნდა მიიქცეს მთავრობის ყურადღება.

ამისთანა საგანი იმ წერილში შვიდია. ჩვენ ვეცდებით გაცნობოთ მკითხველებს საბუთები, რომელიც თუმცა მოკლედ, მაგრამ კი გარკვევით სარჩულად დაუდვა თავად-აზნაურობამ თვითეულს საგანსა.

პირველი საგანი ტფილისსა და კახეთს შუა რკინის გზის გაყვანაა.

კახეთი და ერთობ ალაზნის ველი მთელს თავის სიგრძე-სა და განზიდულებაზედ ერთი იმისთანა მხარეა, რომლის ბუ-ნებით სიმდიდრეს არ შეედრება არამც თუ რომელიმე მხარე ამიერ და იმიერ კავკასიისა, არამედ მთელის იმპერიისაცა. ჰავა და მიწა ისეთია ამ მხარეში, რომ ყოველისფერი მოვა, რაც კი შეადგენს საგანს პირველ საჭიროებისას და სიმდიდრისას. თუმცა იგი მხარე ეხლა ცნობილია მარტო ღვინითა, მაგრამ ძველ დროს იგი ყოფილა ბოლაზი თითქმის მთელის საქართ-ველოსი. საქართველოს ბაზართათვის მას უზიდნია ღვინის

გარდა არაყი, ყოველ-გვარი ხორბალი, სიმინდი, ფეტვი, ბრინჯი, დიდის ღირსების აბრეშუმი, თამბაქო, სამღებრო და სააფთექო ნივთი, საკლავი-საქონელი, მატყლი, ხილი და სხვანი და სხვანი.

ეს მხარე, ყოველის სიკეთით დაჯილდოებული ბუნებისაგან, ესლა იქამდინ დაეცა, რომ მხოლოობითს წყაროს მისთა მკვიდრთა არსებობისას შეადგენს მარტო ღვინო, რომელიც აგრეთვე თან-და-თან ფოლდება. ამისი მიზეზი უმთავრესად ის არის, რომ ამ მშვენიერს და მდიდარს კუთხეს ქვეყნისას არა აქვს უჭირველი გზა, ესე იგი, სწრაფად სასიარულო და იეფი. ამის გამო კახეთი საქართველოს მაზრებს გამოაკლდა, დაშორდა და თვით რუსეთისაგან განზედ, მოჭრით დარჩა.

ამით იმისი თქმა არ გვინდაო, ამბობს თავად-აზნაურთა წერილი, რომ ვითომც უწინ უკეთესი გზები ჰქონოდა კახეთსა და ამიტომაც კახეთი მაშინ კარგს ყოფაში იყოო. პირიქით ესლანდელი გზები კახეთისა ბევრად უკეთესნი არიან უწინდელზედა. მხოლოდ ეს გზები უმთავრეს ბაზრებთან არ აერთებს კახეთსა და, თუნდაც აერთებდეს, ხელს არ აძლევს იქაურ მკვიდრთა თავისი საქონელი ზიდონ, რადგანაც გზები საურმენი არიან და ამისათვის დიდს დროს ითხოვენ და დიდს ხარჯსა საქონლის ზიდვისათვის. ფოთი-ბაქოს რკინის გზამ შეაერთა რა ორი ზღვა, შავი და კასპიისა, დიდი ბაზარი გაუხსნა სხვა ნაწილებს ამიერ კავკასიისას, ალაზნის ველი კი დიდს მანძილზედ მორს დასტოვა და ამით დააშორა იგი არამც თუ რუსეთს, რომლისათვისაც კახეთს შეეძლო მიეწოდინა ყოველივე ნაწარმოები, რაც კი მოჰყავს მადლიანს სამხრეთსა, არამედ ტფილისსაცა, საცა სხვა ნაწილთ ამიერ კავკასიისათა უფრო მალე და უფრო იეფად მოაქვთ თავისი რკი-

ნის გზითა. თვითონ ღვინოც კი იმ ადგილებისა, რომელთ ზედაც გადის რკინის გზა, უფრო ადვილად და უკეთესად საღდება, უფრო მალე პოულობს მუშტარსა, ვიდრე კახური ღვინო, რომელიც ღირსებით უფრო აღემატება და რომელიც უგზოობით მარნებშივე რჩება და ხშირად მუშტრის ლოდინში ფუჭდება და გადასაღვრელად ხდება. ეს ამბავი მით უფრო სამწუხაროა, რომ კახეთს შეუძლიან გაუძღვეს ღვინით თითქმის მთელს რუსეთსა, რომელიც მილიონებსა ხარჯავს საზღვარგარეთის ღვინოების სასყიდლად და ამ სახით მილიონები შინიდამ გარედ გადის.

ეხლანდელი მდგომარეობა სასოფლო მეურნეობისა კახეთში მეტად დაცემულია. დიდი შეცდომა იქნება კაცისაგან, რომ ამ მდგომარეობის მიხედვით შეადგინოს თვისი აზრი იმ წარმოების მალ-ღონეზედ, რომელიც კახეთს ბუნებითად მინიჭებული აქვს. იგივ დიდი შეცდომა იქნება, რომ კაცი ამ აზრს დაემყაროს და აქედამ გამოიყვანოს ის თუ—რამდენი გამოსაზიდავი საბაზრო საქონელი ექნება კახეთს, რომ რკინის გზის ხარჯი დაჰფაროს და სარგებელიც მოიტანოს რკინის გზის მფლობელთათვის. კახეთს ეხლა ის მოჰყავს, რაც მისთვის აუცილებელია და იმოდენად მოჰყავს, რამოდენადაც საჭიროა. იმიტომ რომ ყოველი ნამეტანი ერთს შემთხვევაშიც და მეორეშიც უგზოობით და მაშასადამე უბაზრობით გადასაყრელად ხდება. თუ რამე ეხლა მოჰყავს ნამეტანობით, ეგ მარტო ღვინოა, რომელიც თავისის სიკეთისა და ღირსების წყალობით ზოგჯერ უძლებს საურმე გზით ზიდვას, იმის ჭირსა და ხარჯსა, თუმცა კი დიდის გაჭირებით და ვაი-ვაგლახითა. ამას ვამბობთ ჩვენ მარტო იმისთანა ღვინოზედ, რომელიც თავი-და-თავი და ძვირ-ფასი ღვინოა, თორემ დაბალი და იეფი ფასის ღვინო

ამასაც მოკლებულია, შინა რჩება და ტყუილ-უბრალოდ ფუჭდება. ამ გარემოებამ აიძულა იქაურნი მკვიდრნი შეამცირონ ვენახების სივრცე, ღვინო ნაკლებად მოიყვანონ. ამით აიხსნება ის უეჭველი გარემოება რომ კახეთში ახლა ღვინის წარმოებამ იკლო, ღვინო ახლა ნაკლებად მოდის და თუ ამას არა ეშველა რა, ეგ სასარგებლო წარმოება ძალიან დაეცემა კახეთში, მაშინ, როდესაც ყოველის-მხრით მას ძალ-ღონე აქვს ბუნებითად, რომ თითქმის მთელს რუსეთს მიაწოდინოს ჯან-მრთელი, შეურყვნელი და შეუმკეთებელი ღვინო.

რადგანაც რკინის გზები გაჰყავთ ერთისა და ორის წლისათვის კი არა, არამედ სამუდამოდ, ამიტომაც მის შეატყობლად თუ—რა გამორჩომა ექმნება კახეთის რკინის გზას, დროებითის ვითარებას კი არ უნდა შეაჩერდეს კაცი, არამედ მას, რაც სამუდამოს ძალ-ღონეს წარმოებისას შეადგენს. ამისათვის საფუძვლად მიღებულ უნდა იყვნენ იგი თვისებანი ჰავისა და მიწისა, რომელთაც ერთად კრებს ამცნევს კაცს, ქვეყანას რა წარმოება შეუძლიან და რა არა. ამ ჰავისა და მიწის ბუნების თვისებასთან ერთად იმედი ნაწარმოების ადვილად გასაღებისა თითქმის ერთად-ერთი მიზეზია, ერთად ერთი სათავეა ეკონომიურ ცხოვრების განვითარების, ყოველ-გვარ საწარმოებელის აღორძინებისა და გაძლიერებისა. გაუხსენით კარგი, სასწრაფო და იაფი გზა ბაზრისა და მაშინ ქვეყანა რის შემძლებელიც არის, უეჭველად ყოველსფერს შექმნის ადრე თუ გვიან. ვისაც თუნდა თვალ-და-თვალ გადუხედავს კახეთისათვის, იგი, რასაკვირველია, ვერ იტყვის, რომ საწარმოებელი ძალ-ღონე მისის ჰავისა და მიწისა თავისის სიკეთით და უხვებით ყოვლად საიმედო არ იყოს.

აი ის საბუთები, რომელნიც წარუდგინა თავად-აზნაურო-

ბამ სახელმწიფო ქონებათა მინისტრს კახეთის რკინის გზის შესახებ და სთხოვა, რომ მანცა თავის მხრით ამ საქმეს შემწეობა აღმოუჩინოს ხელმწიფე იმპერატორის წინაშე, თუ ვინიცობაა ამ საქმემ მის დიდებულებამდე მიაღწია.

მეორე საგანი არაყის გამოხდის ბაჟსა და წესებს შეეხება.

არაყის ხდა ტფილისის გუბერნიაში და ყველგანაც ამიერ კავკასიაში ზედ-მისდევს ღვინის წარმოებას, რადგანაც აქ არაყს ხდიან განსაკუთრებით ჭაჭისაგან. ჭაჭისაგან ხდა არაყისა მით უფრო პატივ-სადებია და საყურადღებო, რომ ჭაჭა სხვა ფრივ არასფერში გამოსადეგი არ არის. ჭაჭიდამ არაყისა, თუ სპირტის კეთება ხალხს პირიდამ არ აცლის იმისთანა საზრდოს, როგორც პური და სხვა ხორბალეული; ამ გზით არაყის წარმოებას ბაზრიდამ არ გამოაქვს და არაყად არ აქცევს მას, რაც ხალხისა და ქვეყნისათვის საჭმელად აუცილებლად საჭიროა. მარტო ამ გარემოებას უნდა მიემართა აქაური კანონმდებლობა ბაჟისა გადასახადის და წესების შედგენის დროს, რომ არაყის ხდას ჭაჭისაგან დიდი შეღავათი მისცემოდა, დიდი ფართო გზა და გაძლიერებულიყო, რადგანაც ჭაჭა, როგორც ვსთქვით, ხალხისათვის სხვა ფრივ გამოუსადეგია და პურისაგან ხდა კი შეევიწროებინა და სრულიადაც დაებრკოლებინა. ეხლანდელი კანონები აქციზისა ისეთები არიან, რომ ჭაჭისაგან არაყის ხდას არამც თუ უპირატესობა მიეცა, არამც თუ გზა გაეხსნა, არამედ დაუვარდა, დაუმარცხდა პურისაგან ხდასა. და თუ კიდევ ცოტად თუ ბევრად ჭაჭისაგან ხდა ვაინაჩრობით წარმოებს და უძლებს ეხლანდელის აქციზის სიმძიმეს ისიც მაშინ, თუ ჭაჭის არაყის მხდელი ძვირად ღირებულს ქარხანას გაიმართავს, ესე იგი, იმისთანა ქარხანას, რომელიც ისე უნდა იყოს მომართული, რომ ცოტა ხანში რაც

შეიძლება ბევრი გამოხადოს. ამ გარემოებამ ისე დასცა ძირს ჭაჭის არაყის ხდა, ისე დააფოლა, რომ ჭაჭა, რომელსაც აქამომდე გლეხ-კაცობა არაყის სახდელად ხმარობდა, რომელიც კაი ფასადაც გადიოდა და ვენახების პატრონებს—ერთს მესამედ შემოსავალს ჰმატებდა, ზოგიერთს ალაგას გადასაყრელად გახდა, როგორც, მაგალითებრ, დუშეთის და ტფილისის მაზრაში და სხვა მაზრებში კი წვრილთა მწარმოებელთ, ესე იგი, გლეხ-კაცობას ხელიდამ გამოეცალა, ფულის პატრონებს ჩაუვარდათ ხელში და ამ გზით ყველა წვრილთა მწარმოებელთა საწარმოებელი ქარხნის წარმოებად გარდაიქცა, როგორც, მაგალითებრ, თელავისა და სიღნაღის მაზრაში. იმ დრომდე, ვიდრე აქციზის უწინდელი წესდებულება ხელს უწყობდა ჭაჭის არაყის ხდასა და შესაძლოდა ჰქმნიდა ჭაჭიდამ არაყი ეხადნათ იეფი ფასის ქვაბებში და არა ძვირ-ფას ქარხნებში, ხალხს ამ წარმოების წყალობით იმოდენი გამორჩომა ჰქონდა, რომ თითქმის ამის გამონარჩომით უძღვებოდა სახელმწიფო ხარჯსა. ახლა კი ეგ წყარო, რომელიც ხალხს უძლიერებდა ღონეს ხარჯის გადახდისას, მოსწყდა, იმიტომ-რომ ახლანდელის აქციზის სიმძიმეს ვერ უძლებს არამც თუ იეფის ფასის ქვაბი, რომელიც ასე თუ ისე ადვილად მოსაპოვებელია გლეხ-კაცის მიერ, არამედ ძლივს იტანს თვითონ ძვირფასი ქარხანაცა, რომელსაც გლეხ-კაცი ხელსაც ვერ მიაწვდენს და რომელიც მარტო ფულიანის კაცისათვის არის შესაძლებელი. ამის გამო იქაც, საცა ჭაჭა ჯერ კიდევ გადასაყრელად არ გამხდარა, გლეხ-კაცობა იძულ შეიქმნა მოესპო ქვაბით ხდა და ეს წარმოება დაეთმო იმ პირთათვის, ვისაც ჯიბე ღონეს აძლევდა დაედგა ძვირად ღირებული ქარხანა. ამ სახით ხალხი, რომელსაც ჩამოერთო ყოველივე ღონის-ძიება ჭაჭის არაყის ხდისა და რომელსაც ვეღარ

ძალუძს თვითონ ხადოს ჭაჭის არაყი, იძულებულ შეიქმნა თითონ ჭაჭაც ჩალის ფასად ჰყიდოს. იმიტომ-რომ ქარხანების პატრონები იმოდენად ცოტანი არიან რიცხვით, რომ ყოველთვის ახერხებენ პირის შეკვრას ჭაჭის ფასის დასაწევად, რადგანაც მუშტარი მათ მეტი სხვა არავინ არის. ეს ახალი წესი აქციზისა, რომელმაც დააკლო თითქმის ერთი მესამედი შემოსავალი იმ ადგილებს, სადაც ხალხი ვენახობას მისდევს, შეუძლებელია ხალხის გაღარიბების მიზეზად არ შექმნილიყო. ეგ აშკარად დაეტყო ხალხის ეკონომიურს ყოფა-ცხოვრებასა.

ამიტომაც საჭიროა ხელ-ახლად გადისინჯოს აქციზის წესები და ახალი კანონები მიიმართოს იმაზედ, რომ ჭაჭის არაყის ხდას ფართო, დაუბრკოლებელი გზა გაეხსნას, უპირატესობა და ყოველივე შემწეობა მიეცეს.

მესამე საგანი სახელმწიფო მამულების იჯარით გაცემაა. ეხლანდელის წესების წყალობით სახელმწიფო მამულები საიჯაროდ გადადის იმისთანა კაცების ხელში, რომელნიც მიწათმოქმედთ არ ეკუთვნოდა და იმის ცდაში არიან, რომ თვითონ მამულს კი არ გამოარჩნენ რასმეს, არამედ თვითონ მიწათმოქმედს ხალხს, რომელსაც საიჯარო მამული უჭირს. იჯარადარი გადასცემს ხოლმე იჯარით აღებულს მამულს თვითონ ხალხს, რაც შეიძლება დიდის სარფით და დიდის მოგებითა. ამ სახით იჯარადარი მხოლოდ შუა-მავლობს სახელმწიფოსა და მიწათ-მოქმედს ხალხსა შორის და ისიც უღონო ხალხს ამ შუა-მავლობისათვის დიდს ფეხის ქირას ახდევინებს. ხალხი ამის გამო მეტსა ხდილობს, იჯარადარი თვალ-მოუწურავად მდიდრდება და ხაზინაც ზარალობს, იმიტომ რომ სხვა წესი რომ იყოს, ის ნამეტანი, ის სარფი, რასაც ეხლა ხალხი ტყუვილ-უბრალოდ ხდილობს იჯარადრის ასაშენებლად, ზოგი ხაზინას შეემატებოდა და ზოგი თვითონ ხალხს შერჩებოდა. ვინ არ იცის რომ პირდაპირი მუშა მიწისა, პირ-და-პირი

მკეთებელი მამულისა, რაც უნდა ღარიბი იყოს, უფრო მეტს იჯარას გაიმეტებს, ვიდრე იგი, ვინც მამულს მარტო იმისათვის იღებს იჯარით, რომ სხვას გარდასცეს მოგებითა. ამ შემთხვევაში თვითონ ხალხიც მოგებაშია, რადგანაც ის ნაწილი სართისა, რომელსაც მოიჯარადრე ახდევინებს თავის შუამავლობისათვის, თვითონ ხალხსვე დარჩება ჯიბეში.

რომ ეს ასე იქმნას, საჭიროა სოფლის ხალხს გაეხსნას ფართო, დაუბრკოლებელი გზა სახელმწიფო მამულების იჯარით აღებისათვის. ამისათვის აუცილებელია თვითონ საქმის წარმოება იჯარით გაცემის შესახებ განმარტივდეს, შესაძლოდ შექმნას სოფლის ხალხს უშუა-გაცოდ, უშქილოდ; მეტის-მეტი მიწერ-მოწერა მოისპოს; რაც შეიძლება შორს მანძილზედ მოიფინოს ხმა, რა მამულია საიჯაროდ გასაცემი და სად არის; რა დღეა დანიშნული სავაჭროდ და რა ადგილას; განსაკუთრებული უწყება ყოველს ამაზედ უნდა გაიგზავნოს იმ სოფლებში, რომელთაზედაც უფრო ახლოა თვითონ საიჯარო მამული; დრო და ადგილი სავაჭროდ ისე შერჩეული უნდა იყოს, რომ მსურველთ გაჭირებულ მუშაობის დროს მოცდენა და შორს სიარული ვაჭრობაზედ დასასწრობლად არ მოუხდეთ. გარდა ამისა ზოგიერთ მამულებზედ იჯარის ვადა უნდა მეტი იყოს, ვიდრე ეხლა. მაგალითებრ, ზამთრის საძოვრები გაიცემა ხოლმე მარტო სამის წლით. რადგანაც ზამთრის საძოვრებს გომები, ფარეხები და ბინები უნდათ და ამათს აშენებას დიდი ხარჯი მოსდევს, ამის გამო ეგ საძოვრები ღირებულ ფასად არ გადის და ხალხს კი მაინც-და-მაინც ძვირად უჯდება. მოიჯარადრე, რომელიც ამისთანა მამულს იღებს, იძულებულია გომით, ფარეხით და ბინებით მოაწყოს ზამთრის საძოვარი. ამაზედ დიდი ხარჯი მოსდის და იძულე-

ბუნდ ხდება ეს ხარჯი თავისის სარგებლით სამს წელიწადში დაიბრუნოს. ვის გადასახდელია ეს ხარჯი, თუ არ ხალხს, რომელსაც ზამთრის სამოვარი უჭირს. ამ სახით ხალხს ბევრი ერთმევა და ამით ხაზინას არა ემატება რა, თუ არ აკლდება. აკლდება იმიტომ რომ მოიჯარადრე, რომელსაც გამოჩომისათვის მარტო სამი წელიწადი უდევს წინ და იმოდენა ხარჯი სამოვრის მოწყობისათვის, ვერ შეჰბედავს დიდის იჯარის შემლევას.

სხვაფრივ კი რომ მოეწყოს სახელმწიფო მამულების იჯარით გაცემის საქმე, კანონები და წესნი რომ ხელს უწყობდნენ სოფლის ხალხს სახელმწიფო მამულები უშუა-გაროდ ხელში ჩაიგდონ, ხაზინაც მოგებაში იქნება და ხალხიცა.

მეოთხე საგანი შეეხება დავის ატეხას სახელმწიფოს მხრით მამულების გამიჯვნის დროსა.

ერთი უდიდესი ბოროტება, რომელიც ძირს უთხრის ტფილისის გუბერნიის და საერთოდ ამიერ-კავკასიის ეკონომიურს კეთილ-დღეობას, რომელიც ხალხს ფეხსა და ხელს უბრკოლებს წარმატების გზაზედ და ყოველს ღონეს უქმად ალევინებს დაუსრულებელ დავიდარაბაში—ეგ განუსაზღვრელობაა მამულების კუთვნილებისა. გამოჩნდება თუ არა სადმე მიწის მზომავი (землемѣръ), უმალვე ათასი დავი-დარაბა ატყდება ხოლმე იქ, სადაც ათადამ ბაბადამ მშვიდობიანი და უცილობელი მფლობელობა იყო მიწისა. იქ, საცა მანამდე კაცის ცხოვრება მიდიოდა უჩხუბრად და მშვიდობიანად, გაჩნდება ხოლმე ჩხუბი, მტრობა, ზოგჯერ თოფ-იარაღის ტრიალი და კაცის კვლაცა.

ვიდრე ამისთანა მტრობა ცალკ-ცალკე კაცთა ერთმანეთში მოსდით, ისე საშიში არ არის, როგორც მაშინ, როცა სო-

ფელი სოფელს დაეჯახება, ერთი წოდება მეორესა. ეგ იქ მოხდება ხოლმე, სადაც ხაზინა თავის აგენტების პირით თავის დავას გამოაცხადებს ხოლმე გასამიჯნავ მიწებზედა. რასაკვირველია, ამბობს ამ შემთხვევაში თავად-აზნაურთა წერილი: თავად-აზნაურობა ტფილისის გუბერნიისა შორს არის იმაზედ, რომ სახელმწიფომ არ იპოოს თავის მამულები და სადაც საჭიროა, დავა არ გამოაცხადოს; მაგრამ სამწუხაროდ ესა გვაქვსო, რომ აქაურს სახელმწიფო ქონებათა გამგეობას თითქოს ჩვეულებად და წესად მიუღია, სადაც უნდა და არ უნდა, უსათუოდ დავა გამოაცხადოს იქაც კი, სადაც უცილო, ცხადი და შეურყეველი საბუთია სხვის კუთვნილებისა და მფლობელობისა. მაგალითებრ, არა ერთხელ მომხდარა, რომ ხაზინის აგენტს გამოუცხადებია დავა არამც თუ ტყესა და მინდორზედ, რომელთაც ძნელად დაახნდება ხოლმე ნიშნები მფლობელობისა და ხმარებისა, არამედ სახლ-კარსა და ვენახებზედაც, სადაც ასწლოვანი შენობანი და დიდი ხნის დანარგულევი უტყუვრად, თვალდა-თვალ მოწმობენ რომ ეკუთვნიან მას, ვინც შიგ არის და ჰფლობს.

ამისთანა დავა სახელმწიფოს მხრით, დავა, რომელსაც, ცხადია, სასარგებლო ბოლო არ ექმნება ხაზინისათვის, ტყუილ-უბრალოდ გაუბავს ხოლმე მემამულეთ საქმეს, დაუსრულებელს სამართალში გააბამს და თვითონ სასამართლოსაც აუარებელ საქმეებს მოახვევს ხოლმე კისერზედ. ამის გამო თითონ გამიჯვნა ქვეყნისა ბრკოლდება, მამულები შეუმუშავებლად რჩება დავის გათავების ლოდინში და მემამულენიც პროცესებზედ იხარჯებიან ტყუილ-უბრალოდ და ამით თითქმის იცარცვებიან. ამისთანა უხეიროდ და ამაოდ დაკარგვა დროისა, შეძლებისა, ჯაფისა, რომელიც უნდება ხანგრძლივს პროცესსებს, ისე ღრმად

და მტკივნეულად ახნდება მიწათ-მფლობელთა და მიწათ-მომქმედთა ეკონომიურს ყოფას, ცხოვრებას, რომ არ შეიძლება ამ გარემოებამ არ მიიზიდოს ყურადღება მთავრობისა...

ეს ყურადღება მით უფრო საჭიროა, რომ სახელმწიფოსაგან გამოცხადებულს დავას თითქმის ყველგან ზედ მოსდევს გადამტერება ორთა წოდებათა შორის: ერთ-მხრივ მიწათ-მფლობელნი მოექცევიან ხოლმე და მეორეს მხრით—მთელი წყობა სახასო გლეხთა. არა ერთხელ მიუღწევია გადამტერებას იქამდის, რომ მოუთხოვნია ძალით დამშვიდება არეულობისა, ძალით მოსპობა ძალ-მომრეობისა და ცემა-ტყეპისა. რავი ხაზინა დავას გამოაცხადებს ხოლმე მამულზედ, რომელიც ჯერ ისევ მოპირდაპირეს ხელშია, მაშინვე სახასო გლეხნი, რომელთ სახელმწიფო მამული თავის საკუთრებად ჰგონიათ, დაეცემიან სადავოდ გამხდარს მამულს და სარგებლობენ, რამოდენაც შეუძლიანთ. იშვიათი ამბავი არ არის, რომ ამ სახით მშვენიერი ტყეები ძირს არ დაეცათ; იშვიათი ამბავი არ არის, რომ ხელ ალებით არ გადეკაფნათ იგი ტყეები, რომელსაც დღეს აქამომდე იცავდა და ინახავდა საყოველთაო რწმენა მასზედ, რომ იგი ეკუთვნოდა მის მფლობელსა. ბოლოს ის გამოვა ხოლმე, რომ უსაბუთოდ ხაზინისაგან ნადავი მამული ისევ თავის პატრონსა ჰრჩება, ხაზინა განზედ დგება და სახასო გლეხთა კი ზედ აწვებათ წანასხედის ზღვევა.

რასაკვირველია, არიან შემთხვევანი, სადაც ხაზინა მოვალეა თავისი ინტერესი დაიცვას, სადაც არ შეიძლება მან დავა არ გამოაცხადოს. ბევრი ტყვილად დაობს ხოლმე სახელმწიფო მამულებს. მაგრამ სანატრელია ქვეყნის კეთილ-დღეობისათვის, ქვეყნის მშვიდობიანობისა და მყუდროებისათვის ხაზინამ მოილოს იმისთანა რამ ზომიერება, რომ უსაბუთოდ უმართლო

დავის გამოცხადება მის მხრით შეუძლებელ იქმნას. ამისათვის, თავად-აზნაურთა აზრით, კარგი იქნებოდა დაწესდეს, რომ დავა მამულებზედ ხაზინისაგან არ გამოცხადდეს უიმისოდ, ვიდრე კამისიამ, სამთა სახელმწიფო ქონების მოხელეთაგან შემდგარმა, არა ჰსცნას, რომ დავა საბუთიანია. ან არა და სახელმწიფო ქონებათა გამგეობა იძულებულ იყოს თვისის მოპირდაპირის სასარგებლოდ იგივე ჯარიმა იხადოს უმართლო დავის გამოცხადებისათვის, რომელსაც კერძო პირნი ერთმანეთის სასარგებლოდ იხდიან აქაურის წესდების ძალითა.

მეხუთე საგანი შეეხება კერძო მფლობელთა ტყეების დაცვასა.

ყოვლად შეუწყალებლად, დაუნდობლად და წინ-დაუხედავად კაფვა ტყეებისა ტფილისის გუბერნიაში დიდს უბედურებას შეგვამთხვევს. ჩვენი მინდვრები, მამულ დედულები უწყლობით ხრიოკებად გადიქცევა. ძლიერი გვალვები, რომელიც ამ ბოლოს ხანენში ასე ხშირად გვეწვევა ხოლმე, წინა-მორბედია ამ საუბედურო მერმისისა. რა საჭიროა მეტად გაგრძელება სიტყვისა მასზედ თუ, — რა უბედურობა მოსდევს ტყეების ხელაღებით კაფვასა და რა კეთილი — მათის გაფთხილებასა. ერთიც და მეორეც კარგად მოეხსენება თვითონ სამინისტროსა, ამბობს თავად-აზნაურთა წერილი. სამინისტროს უკვე შეუდგენია წესდება, მიმართული მასზედ, რომ არამც თუ სახელმწიფო ტყეები, არამედ კერძო პირისაც, დაცულ იქმნას და ფთხილად ხმარებულ. თავად-აზნაურნი ჰთხოვენ ბ—ნს მინისტრს მარტო მას, რომ იგი წესდება ტფილისის გუბერნიაშიაც შემოიტანოს და ამოქმედოს.

მეექვსე საგანი სახელმწიფო ტყეებიდამ შეშისა და სხვა მასალის გამოტანას და სარგებლობას შეეხება.

არ არის არც ერთი ნაწილი კანონმდებლობისა, რომლი-

სათვისაც ისე საჭირო იყოს შეთანხმება აქაურს ვითარებას-
თან, როგორც ის ნაწილი, რომლის ძალითაც დადგენილია
უფლება და რიგი სახელმწიფო ტყეებიდამ სარგებლობისა
ტფილისის გუბერნიაში. მარტო ის გარემოება, რომ აქაური
მკვიდრი თავის-თავის გასათბობად კერასა ხმარობს და არა
ფეჩსა, საკმაოდ პატივ-სადები მიზეზია განსაკუთრებულ კანო-
ნების დასადგენად სახელმწიფო ტყეებიდამ სარგებლობის შე-
სახებ. ამას ისიც რომ დავუმატოთ, რომ აქ თორნეში აცხო-
ბენ პურსა, რომ უფრო მომატებულს ნაწილს ტფილისის გუ-
ბერნიისას ვენახები აქვთ, რომელთაც ჭიგო, სარი, მარგილი
და ღობე უნდებათ, მაშინ უფრო ცხადად დავინახავთ, რომ
ფრიად და ფრიად საჭიროა კანონმდებლობა სახელმწიფო
ტყის ხმარების შესახებ შეეფეროს აქაურთა მკვიდრთა ში-
ნაურს, საოჯახოს და სამეურნეო მოთხოვნილებასა და იგი
ხმარება იმოდენად გაუადვილდეთ და გაუიეფდეთ, რამოდენა-
დაც შესაძლებელია ერთის მხრით ტყის გაფთხილებისათვის
და მეორეს მხრით გლეხ-კაცობის ჯიბისათვის.

მეშვიდე და უკანასკნელი საგანი სამეურნეო სკოლების
დაარსებას შეეხება.

თავად-აზნაურობამ უწყე იცისო, ამბობს მათი წერილი,
თქვენის მაღალ-აღმატებულების გულითადი მეცადინეობა და გა-
ნათლებული მზრუნველობა მასზედ, რომ, რაც შეიძლება, მომა-
ტებულად და ვრცლად მოეფინოს მთელს იმპერიას სამეურნეო
ცოდნა სამეურნეო სკოლების შემწეობითა. არ არის სხვა მხა-
რე იმპერიისა იმისთანა, რომ ასე უჭირდეს მაგგვარი სა-
სოფლო სკოლები, როგორც უჭირს ამიერ კავკასიას საერთოდ
და ტფილისის გუბერნიას საკუთრივ. მთელი ამიერ-კავკასია
საერთოდ და ტფილისისა ცალკედ ძველადგანვე სულდგმულობს
მარტო იმ წარმოებითა, რომელიც პირ-და-პირ დამოკიდებუ-
ლია მიწასა და მიწათ-მოქმედობაზედ. მხოლოობითი წყარო
ეკონომიურის არსებობისა აქაურ მკვიდრთათვის სამეურნეო

წარმოებას. მასზედ არის დამოკიდებული ქვეყნის ღონე, როგორც სახელმწიფო ხარჯის გასაძღოლად, ისეც თავის-თავის საცხოვრისად. ამიტომაც ყოველის მხრით ხელის შეწყობა ამ ერთად-ერთის წარმოებისა განსაკუთრებულ მზრუნველობის საგნად უნდა შეექმნას მთავრობასა. ერთი ძლიერი და გამოსაცადი საშუალება ამ შემთხვევაში არის გავრცელება მიწათ მოქმედთა შორის სამეურნეო ცოდნისა, თუნდაც პრაქტიკულად. უკეთესი გამავრცელებელი კიდევ სამეურნეო სკოლების სოფლებში.

ჯერ ხანად ძნელია იფიქროს კაცმა, რომ თაოსნობა ამ საქმეში კერძო პირთაგან წარმოსდგეს, ანუ თვითონ საზოგადოებისაგან. თუ კანტი-კუნტად სადმე ან ერთს, ან მეორეს თავი უჩენია ამ საქმეში, მაგრამ მყისვე უკუქცეულან უღონობისა, უქონლობისა და შეუძლებლობისა გამო. უქმად ჩაუვლია მათს გარჯას და მეცადინეობას ამ გვარის სკოლების დაარსებისათვის უქონლობის, უფულობის გამო.

თავად-აზნაურობა ტფილისის გუბერნიისა დარწმუნებულია, ამბობს წერილი, რომ მისი სიკეთე და კეთილ-დღეობა მჭიდროდ დამოკიდებულია მის და გარემო მცხოვრებთა მიწათ-მოქმედთა სიკეთესა და კეთილ დღეობაზედა: და რადგანაც უკვე იცით თქვენი განათლებული აზრი მაზედ, თუ რა საჭიროა მთელის იმპერიისათვის ზემოხსენებული სკოლები, იმედოვნებსო, რომ ტფილისის გუბერნიაც, რომელსაც უფრო მეტად უჭირს ეგეთი სკოლები, არ დარჩება თქვენის მზრუნველობის გარეთო.

დასასრულ ამას ეუბნება ბ-ნს მინისტრს წერილი თავად-აზნაურობისა: თუ თქვენი მაღალ აღმატებულება კეთილ ინებებს და საჭიროდ დაინახავს, რომ რომელიმე საგანი, აქ ხსენებული, უფრო ვრცლად ახსნილ იყოს და ამასთან უფრო გარკვევით ნაჩვენები იყოს მიზეზი, რომელმაც ჩვენ გვაიძულა ამ წერილის მორთმევა, თავად-აზნაურობა ტფილისის გუბერნიისა ყოველთვის მზად იქნება ერთისაცა და მეორისათვისაცა.

# ივერია

1883

№ X, ოქტომბერი

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ.
ექვთიმე ხელაძის სტამბა.
1883

03
ი-32.

# ივერია

## საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი

წელიწადი მეშვიდე

**№ 10**

963.

თბილისი
ექვთიმე ხელაძის სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე
1883

Дозволено цензурою. Тифлисъ, 6 ноября 1883 г.

# შინაარსი:


I. განცხადებანი («ივერიისა», «დროებისა», «ნობათისა,» და «იურიდიკული მიმოხსილვისა» გამოცემაზე 3 —7

II. ქართველ ხალხის მწერლობა და განათლება მ-VI საუკუნემდე მღ. დიმ. ჯანაშვილისა . . 8

III. წერილები ლორენცო ბენონისა (შემდეგი) თარგმანი ქლ. მამულაშვილისა. . . . . . . . 27

VI. ბერუას ჩივილი (ლექსი) თ. რაფ. ერისთვისა . 66

V. მოკლე განხილვა საქართველოს მხედრობისა 1089—1222 წლამდე თ. თათარ-ყან დადიშქელიანისა . . . . . . . . . . 67

VI. შინაური მიმოხილვა . . . . . . . 100

ცვლილება—ვინ კითხულობს—ურჯერონი და ურწმუნონი—რა გველირსა—დიდი საქმე—ქმნა უქმნელისა—რადაო?—ფიცი ხომ გვწამს—ორი მინისტრი—მოკლე ხანი—ჩვენი ქვეყანა სულ სხვაა—უქმი ფიქრი და გაფლანგული ღონე—საგანი რთულია—მაგრამ ვინ იცის—რით ვინუგეშოთ—ღვთის წყალობა—კახეთისკენ რკინის გზა—არყის გამოხდის ბაჟი—იჯარით გაცემა სახელმწიფო მამულებისა—სახელმწიფოს მხრით დავის გამოცხადება მამულების გამიჯვნის დროს—მინისტრის პროექტი ტყეების დაცვის შესახებ—სახელმწიფო ტყიდამ სარგებლობა—სამეურნეო სკოლები სოფლისა.